მაია გოგოლაძე, ეკა სიმსივე, მანანა ჯინჭარაძე, შორენა ტყემალაძე

# მოქალაქეობა

# 9

## მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2021 წელს

**მაია გოგოლაძე, ეკა სიმსივე, მანანა ჯინჭარაძე, შორენა ტყემალაძე**

# მოქალაქეობა

IX კლასი, მასწავლებლის წიგნი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
**ელენე ვარამაშვილი**

© გამომცემლობა „კლიო“, 2021

© მაია გოგოლაძე, ეკა სიმსივე, მანანა ჯინჭარაძე, შორენა ტყემალაძე, 2021

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-496-15-8

პირველი გამოცემა (2021)

შპს „გამომცემლობა კლიო“
ალმაშენებლის გამზ., №181-2,
თბილისი, 0112
ტელ.:(+995 32) 234 04 30
E-mail: book@klio.ge; www.klio.ge

# სარჩევი

შესავალი ........ 4
კურიკულუმი ........ 5
კონსტრუქტივიზმის პრინციპები ........ 5
თემატური მატრიცა ........ 8
კომპლექსური დავალების მახასიათებლები........11
შეფასების სისტემა – SOLO ტაქსონომია........13
საყურადღებო რეკომენდაციები........20
თემები – სასწავლო ერთეულები ........20
თემა 1. ცენტრალური ხელისუფლება ........20
თემა 2. ეკონომიკა ........48
თემა 3 სამშვიდობო პროცესები........74
თემა 4. გარემოს დაცვა ........97

## საზოგადოებრივი მეცნიერებები საბაზო საფეხურზე

## მოქალაქეობა

# შესავალი

საგანი მოქალაქეობა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საზოგადოების მიმართ პასუხისმგებელი მოქალაქის ჩამოყალიბებას, საფუძველს იღებს სკოლაში შინაარსიანი და გამოცდილების შეძენაზე დაფუძნებული აქტივობებით აგებული სასწავლო პროცესიდან. მოზარდებმა, მოქალაქეებმა პოლიტიკურად სწორი გადაწყვეტილებები რომ მიიღონ, ისინი განათლებულნი და ინფორმირებულნი უნდა იყვნენ, ამისთვის კი საჭიროა მათთან სხვადასხვა მიმართულებითა და მიდგომით მუშაობა. სწორედა ამიტომაც, მოცემული სახელმძღვანელო, მასწავლებლისთვის გზამკვლევია სამოქალაქო განათლების, როგორც სასკოლო საგნის ეფექტური სწავლების გზების საძიებლად.

თუ განათლების სფეროში საერთაშორისო კვლევის მონაცემებს გავეცნობით, აშკარად დავინახავთ საგან მოქალაქეობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს: („სწავლის მრუდის კვლევა“, რომელიც დაფუძნებულია კოგნიტური უნარებისა და განათლებაში მიღწევების გლობალურ ინდექსზე (Global Index of Cognitive Skills and Education Attainment), ნათქვამია: „კოგნიტური უნარებისა და განათლებაში მიღწევების გლობალური ინდექსი განათლების ორ კატეგორიაში ერთმანეთს ადარებს 39 ქვეყნისა და ერთი რეგიონის (ჰონკონგი) მონაცემებს: კოგნიტურ უნარებსა და განათლებაში მიღწევებში. ინდექსი წარმოგვიდგენს ქვეყნების შედარებას მათში განათლების შედეგებზე დაყრდნობით“).

**მომავალი მოსწავლის 8 უნარი**

- ლიდერობა;
- ციფრული წიგნიერება;
- კომუნიკაცია;
- ემოციური ინტელექტი;
- მეწარმეობა;
- გლობალური მოქალაქეობა;
- პრობლემების გადაწყვეტა;
- გუნდური მუშაობა.

სახელმძღვანელო ემსახურება როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე აქტიური მოქალაქის აღზრდას; თანამედროვე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბებას. ასევე, უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს დემოკრატიული პრინციპების გაცნობიერებასა და დაუფლებაში, რათა შეძლონ ცხოვრებაში მისი გამოყენება.

წიგნი დაგეხმარებათ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. ის პასუხობს კითხვებს კონკრეტული ინსტრუმენტების დახმარებით, თუ რას ნიშნავს კომპლექსური დავალება, როგორ დავგეგმოთ, რა ფაქტორები გავითვალისწინოთ, როგორ განვახორციელოთ პრაქტიკაში, როგორ ვმართოთ პროცესები და როგორ შევაფასოთ კომპლექსური დავალების პროდუქტები და მოსწავლეთა მიღწევები.

გისურვებთ წარმატებებს!

## კურიკულუმი

**რა არის სასკოლო კურიკულუმი?** კურიკულუმი მოსწავლის განვითარების გზაა. გზა, რომელიც ისეთ მოქალაქეებად აყალიბებს მოსწავლეებს, როგორსაც გვავალებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები.

კურიკულუმი – გზას, მოძრაობას ნიშნავს. ის არის თემატური სასწავლო ერთეულების (თემატური მატრიცების) ერთობლიობა. მას არ ქმნის მხოლოდ ერთი მასწავლებელი, არამედ იგი მთელი სასკოლო საზოგადოების გამოცდილებისა და თანამშრომლობის შედეგად იქმნება. ამ გზით სასკოლო კურიკულუმი ინარჩუნებს უნიკალურობას და ერგება მასწავლებელთა და მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იგი არ წარმოადგენს სტატიკურ დოკუმენტს, არამედ ვითარდება და იხვეწება ყოველ წელს. ამიტომ იგი ცოცხალი დოკუმენტია და მასწავლებელს საშუალებას აძლევს რეფლექსურად აწარმოოს კვლევითი სამუშაოები სასწავლო ერთეულების ფარგლებში. მოსწავლეები კი მიიღებენ სხვადასხვა აქტივობით დატვირთულ, ყველა ტიპის მოსწავლეზე მორგებულ აქტივობათა ერთობლიობით შედგენილ, მეთოდოლოგიურად გამართულ და საინტერესო გაკვეთილებს. გარდა ამ მნიშვნელოვანი ცვლილებისა, დოკუმენტზე მუშაობა გახსნის სხვადასხვა მასწავლებელს შორის საკომუნიკაციო არხებს და სკოლას აქცევს თანამშრომლობითი კულტურის მქონე ერთ ორგანიზმად.

## კონსტრუქტივიზმის პრინციპები

ამ მიდგომის მიხედვით, ადამიანები სწავლობენ აზროვნებისა და გამოცდილების საფუძველზე, რის შედეგადაც მათ უფრო რთული შემეცნებითი უნარები უვითარდებათ. აქედან გამომდინარე, კონსტრუქტივიზმი ორიენტირებულია მოსწავლის ძალისხმევაზე. მოსწავლე სწავლის (ან შემეცნების) პროცესის აქტიური მონაწილეა. იგი პასიურად კი არ ისრუტავს ინფორმაციას, რომელიც მოწოდებულია მასწავლებლის მიერ, არამედ მწყობრად აშენებს საკუთარ ცოდნას მისთვის უკვე ცნობილისა და წინა გამოცდილებების საფუძველზე.

ცოდნის შენების პროცესში მასწავლებელი ისევე ეხმარება მოსწავლეს, როგორც ხარაჩოები – მშენებელს. ხარაჩოების ფუნქციას ასრულებს მასწავლებლის მიერ შემუშავებული აქტივობები, მასწავლებლის მიერ შექმნილი გარემო და სასწავლო სიტუაციები, რომელშიც მოსწავლე დამოუკიდებლად აგებს საკუთარ ცოდნას.

**კონსტრუქტივისტული პარადიგმა აერთიანებს შემდეგ ხუთ პრინციპს:**

ა) *სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.* მხოლოდ შინაგანი აქტიურობის საფუძველზე გარდაიქმნება ინფორმაცია ცოდნად.

ბ) *სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.* თუ მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაცია სრულიად უცნობი იქნება მისთვის, ის ამ ინფორმაციაში რაიმე აზრს, მნიშვნელობას ვერ ჩადებს.

გ) *სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.* გონებაში ცოდნის ორგანიზების ფორმებს აზრობრივ სქემებს უწოდებენ. რაც უფრო ორგანიზებულად და იერარქიზებულად უკავშირდება ერთმანეთს აზრობრივი სქემები, მით უფრო ძლიერდება სააზროვნო რესურსები და დამახსოვრების უნარები.

დ) *სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა).* მოსწავლეს შეძენილ ცოდნაზე მეტად ზრდის და განავითარებს სააზროვნო პროცესების გაცნობიერება და მათი ეფექტიანად მართვის სწავლა. სწავლაში მეტი მიღწევა იმას აქვს, ვინც ცოდნის განვითარების საშუალებებს ეუფლება.

ე) *სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს (რა ეწოდება?), პროცედურულს (როგორ შევასრულო?) და პირობისეულს (როდის გამოვიყენო?).*

ამ მიდგომის თანახმად, მოსწავლეს სწავლაში ენიჭება აქტიური და დამოუკიდებელი როლი. სასწავლო აქტივობის შერჩევა, მისი შესრულების ტემპის განსაზღვრა და შეფასება ხდება მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ერთობლივი შეთანხმებით. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მოსწავლის ინტერესზე და სწავლა უფრო ინდივიდუალიზებულია. ცოდნის და უნარ-ჩვევების შეძენა ხდება მოსწავლის და მასწავლებლის მიერ ერთობლივად შერჩეულ თემებზე, კომპლექსურ დავალებებზე და შემეცნებით, საინტერესო და სახალისო აქტივობებზე. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციისა და სასკოლო ჩართულობის გაზრდას, რაც განაპირობებს მოსწავლის უფრო მაღალ აკადემიურ მოსწრებას.

ამ პარადიგმაში ერთიანდება სწავლა-სწავლებისა და განვითარების ყველა თეორია, რომელიც აღიარებს ორ უმთავრესს პრინციპს:

- მოსწავლე სწავლა-სწავლების სუბიექტია;
- სწავლა ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესია.

კონსტრუქტივისტული პედაგოგიკა ინტერვენციული ხასიათისაა. პედაგოგი აქტიურად მონაწილეობს მოსწავლის ცოდნისა და კოგნიტური სისტემის კონსტრუირების პროცესში. მოსწავლე ყველაზე უკეთ მაშინ ითვისებს, როდესაც საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით წყვეტს პრობლემას; სწავლა გულისხმობს მნიშვნელობის წვდომას. მასწავლებლის მიზანია, ისე წარმართოს სასწავლო აქტივობები, რომ მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი იდეები და აღმოჩენები კარგად გაიაზრონ. სწავლა სოციალური ურთიერთობების გზით აიგება. შესაბამისად, სასწავლო გარემოში ცოდნის კონსტრუირების საუკეთესო საშუალება თანამშრომლობითი სწავლების გამოყენებაა, მაგ. ჯგუფური მუშაობები – დისკუსიები... თუმცა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ მოსწავლემ დამოუკიდებლად შექმნას კომპლექსური დავალების პროდუქტი და წარმოადგინოს.

**ცნებების პედაგოგიკა:** ცნების, როგორც პედაგოგიკური ინსტრუმენტის ეფექტიანობას, განაპირობებს მისი სტრუქტურა, რომელიც სასწავლო პროცესში ხუთივე საგანმანათლებლო პრინციპის განხორციელების საშუალებას იძლევა.

ცნების სტრუქტურა სამი ელემენტისაგან შედგება. ეს ელემენტებია:

- სახელი, ანუ ეტიკეტი;
- არსებითი თვისებები, რითაც ის ემიჯნება სხვა ცნებებს;
- მაგალითების/შემთხვევების სიმრავლე, რომლებსაც ეს ნიშან-თვისებები მიესადაგება (ანუ ცნების მოცულობა).

ცნების ეს სტრუქტურა საშუალებას იძლევა, მოსწავლე ცოდნის კონკრეტული, მისთვის ნაცნობი ფორმებიდან მივიყვანოთ მისთვის უცნობი აბსტრაქტული, განზოგადებული ცოდნის აღმოჩენამდე (ცნების არსებით თვისებებამდე). მოსწავლე, მასწავლებლის მიერ მიწოდებულ მაგალითებზე დაკვირვებისა და მათი შედარების საფუძველზე, დაადგენს იმ თვისებებს, რომლებიც ყველა მათგანს ახასიათებს, გამიჯნავს შემთხვევით, ანუ არაარსებით თვისებებს არსებითისგან, კონტრასტისთვის განიხილავს კონტრმაგალითებსაც და საბოლოოდ საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით და აქტიური შემეცნებითი პროცესების წყალობით მივა ცნების არსებითი თვისებების წვდომა-გააზრებამდე, ანუ კონკრეტული ცოდნის განზოგადებამდე, კონტექსტუალიზებული ცოდნის დეკონტექსტუალიზებამდე.

ცნება თავისი მოცულობის, ანუ მაგალითების წყალობით საშუალებას იძლევა, სწავლის პროცესი მოსწავლის წინარე ცოდნაზე დავაფუძნოთ (მეორე პრინციპი – წინარე ცოდნაზე დაფუძნება). ნაცნობიდან წასვლა უცნობისკენ, მოსწავლეს საშუალებას აძლევს, საკუთარ ცოდნაზე დაყრდნობით გაააქტიუროს შემეცნებითი პროცესები და განავითაროს ახალი ცოდნა (პირველი პრინციპი – შინაგანი ძალების გააქტიურება).

ცნების არსებითი თვისებების გააზრება ნიშნავს კონტექსტუალიზებული ცოდნის დეკონტექსტუალიზებას. მოსწავლე თავისუფლდება კონკრეტული კონტექსტის ვიწრო მოცემულობებიდან და ახ-

ერხებს ცოდნის ტრანსფერს განსხვავებულ კონტექსტში, რადგან არსი კონკრეტული კონტექსტის მიღმაა, არსი უნივერსალურია. ცნება თავად წარმოადგენს ორგანიზებულ იდეას, აზრობრივ კონსტრუქტს და, ბუნებრივია, მისი დაუფლება განაპირობებს აზროვნების სტრუქტურირებას, საკითხთა შორის მიმართებების გააზრებას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას (მეოთხე პრინციპი – ცოდნათა ურთიერდაკავშირება და ორგანიზება ხანგრძლივ მეხსიერებაში).

ცნების არსებითი ნიშან-თვისებების გააზრება აადვილებს დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობას. მაგ., ცნების განსაზღვრება გულისხმობს მისი არსებითი თვისებების სიტყვიერად ჩამოყალიბებას. მას შემდეგ, რაც მოსწავლე გაიაზრებს ცნების არსებით თვისებებს, იგი თავისუფლად შეძლებს გააზრებულად ჩამოაყალიბოს და დაიმახსოვროს განსაზღვრება. რაც შეეხება პროცედურულ ცოდნას, ცნების გააზრების შედეგად, მოსწავლეს გაუადვილდება პროცედურული ოპერაციების განხორციელება (მეოთხე პრინციპი – ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობა).

გააზრებული და აქტიური სწავლა-სწავლებისას მასწავლებელს საშუალება ეძლევა, დააკვირვოს მოსწავლეები სწავლის პროცესზე, გააცნობიერებინოს აზროვნების ის მეთოდები და სტრატეგიები, რომლებსაც ცოდნამდე მიჰყავს ისინი. ამ მეტაკოგნიტური აქტივობის შედეგად მოსწავლეები აღმოაჩენენ საკუთარ პოტენციალს და სწავლობენ სააზროვნო პროცესების გაცნობიერებულად მართვას, რაც მათი სწავლის ქმედუნარიანობას ზრდის და მიღწევებს აუმჯობესებს (მეხუთე პრინციპი – სწავლის სწავლა).

ცნებების სწავლება ფუნქციურ, შინაარსიან კონტექსტებში უნდა ხდებოდეს. ასეთ კონტექსტებს წარმოადგენს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული წლიური თემები, რომელთა საშუალებითაც უნდა დაიგეგმოს წლიური საგანმანათლებლო პროცესი. თემები ნაყოფიერი ნიადაგია ცნებების პედაგოგიკისთვის: ისინი დარგობრივი ცნებების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლა-სწავლების საშუალებას იძლევა.

**რა განსხვავებაა ინდიკატორსა და მკვიდრ წარმოდგენებს შორის?**

ინდიკატორი ქცევას ასახავს, მკვიდრი წამოდგენა – გონებაში ჩამოყალიბებულ ცოდნის სტრუქტურას – და ცოდნის ეს სტრუქტურა ცნების შინაარსს, მის არსებით მახასიათებლებს უკავშირდება. როცა ცოდნის ეს სტრუქტურა ყალიბდება, ის საფუძვლად ედება ბევრ სხვადასხვა ქცევას.

თუ ჩემი მკვიდრი წარმოდგენა იქნება შემდეგი: „ბავშვმა რომ ისწავლოს, მის გამოცდილებას უნდა დავეფუძნოთ და შინაარსიანი დავალება მივცეთ“, მაშინ მივცემ პრაქტიკულ, მისთვის შინაარსიან დავალებას, რომლის შესრულება ცოდნის აგებაში დაეხმარება. შემდეგ ვთხოვ, გაასიტყვოს მიღებული გამოცდილება – აღწეროს, რა და როგორ გააკეთა; ახსნას, რატომ გააკეთა ასე და შეაფასოს, რამდენად გაართვა თავი დავალებას, რა დაეხმარა, რამ დააბრკოლა. ამ პროცესებში მოსწავლეს ჩემი თანადგომის იმედი ექნება. მე საჭიროებისამებრ, ხარაჩოებს შევთავაზებ, რადგანაც ვიცი, რომ ცოდნის კონსტრუირება მხადაჭერას საჭიროებს.

ამ მაგალითიდან ჩანს ქცევის საფუძველი – მკვიდრი წარმოდგენები, ისინი განაგებს ჩვენს საქმიანობას, ინდიკატორები კი დაკვირვებად ქცევებს აღწერს.

მკვიდრი წარმოდგენები ცნების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ცნება და მკვიდრი წარმოდგენები ერთი მთლიანობაა. თუ ერთ მკვიდრ წარმოდგენას გამოვაცალკევებთ, გამოვყოფთ უკვე ცნებას, ცნების შინაარსს ვკარგავთ და ისევ დაქუცმაცებული „მიზნების“, ანუ საკითხების სიმრავლეში ვეხვევით და გეზი იკარგება.

ინდიკატორი ქცევას ასახავს და ქცევა მრავალგვარია, უამრავი ქცევის აღწერა შეიძლება, რომელიც შეიძლება ერთ მიზანს, ერთ ცნებას მიემართებოდეს; მკვიდრი წარმოდგენები კი ცნების არსებით მახასიათებლებს ესატყვისება, ცნების არსებითი მახასიათებლები კი განსაზღვრავს თავად ცნებას, მათ ინდიკატორივით ვერ აწარმოებ.

თემები ნაყოფიერი ნიადაგია ცნებების პედაგოგიკისთვის: ისინი დარგობრივი ცნებების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლა-სწავლების საშუალებას იძლევა.

## თემატური მატრიცა

**ცნებების სწავლება** ფუნქციურ, შინაარსიან კონტექსტებში უნდა ხდებოდეს. ასეთ კონტექსტებს წარმოადგენს **თემები**, რომელთა საშუალებითაც უნდა დაიგეგმოს წლიური საგანმანათლებლო პროცესი.

<table>
<tr><td colspan="4">საგანი:<br>რა არის თემა? მოსწავლისთვის ნაცნობი ფენომენი, რომელზე მუშაობაც დროის ვრცელ მონაკვეთში (მაგალითად, 2 კვირის განმავლობაში მიმდინარეობს). ის ღირებულებითი განათლების მიღწევის წინაპირობაა.<br>კლასი:<br>საათების სავარაუდო რაოდენობა:<br>სკოლა:<br>პედაგოგი:</td></tr>
<tr><td rowspan="3">სამიზნე ცნება და ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td><td>საკითხი/ საკითხები</td><td>საკვანძო შეკითხვა/საკვანძო შეკითხვები</td><td rowspan="3">კომპლექსური დავალება/ დავალებების შეფასების კრიტერიუმები</td></tr>
<tr><td>რა არის საკითხი?<br>საშუალება, ის არ უნდა იქცეს თვითმიზნად; ყველა სკოლასა და პედაგოგს შეუძლია სამიზნე ცნებაზე მისთვის სასურველი საკითხებით გავიდეს.</td><td rowspan="2">რა არის საკვანძო შეკითხვა?<br>რატომ? როგორ?<br>რა გზებით და საშუალებებით?<br>ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად; ყველა აქტივობა საკვანძო შეკითხვის პროვოცირებაზე უნდა იყოს ორიენტირებული;</td></tr>
<tr><td>ცნებები / ქვეცნებები</td></tr>
<tr><td>რა არის ცნებები?<br>მთავარი სამიზნე ობიექტი, რომელიც მთელი საფეხურის ფარგლებში რჩება ორიენტირად; მუშავდება სხვადასხვა თემატურ კონტექსტებში. სამიზნედ არ შეიძლება იქცეს ცნებების დიდი რაოდენობა.<br>რა არის მკვიდრი წარმოდგენები?<br>შემოსაზღვრავს საბაზო საფეხურზე ცნების მოცულობას, ცოდნის ყველაზე უფრო ღრმა შრე (გათავისება,</td><td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები)<br>რა არის აქტივობა?<br>ემსახურება საკვანძო შეკითხვის პროვოცირებას; დგას კომპლექსურ დავალებასა და სამიზნე ცნებას შორის;<br>ორიენტირებულია უფრო მეტად ახალი მასალის აღქმაზე, ვიდრე ცოდნის შემოწმებაზე.<br>ეტაპი 1. კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია).<br>საკვანძო შეკითხვა: რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?<br>რეკომენდაცია მასწავლებელს: დეტალურად გააცანით მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და შეთანხმდით ვადებზე. თუ რა დროის განმავლობაში უნდა</td><td>რა არის კომპლექსური დავალება?<br>დავალება, რომელიც ცოდნის სამივე კატეგორიაზეა ორიენტირებული (განსაკუთრებით პირობისეულზე); ანუ არ არის ორიენტირებული მხოლოდ პროცედურულ და დეკლარატიულ ცოდნაზე; გამოიყენება ცოდნის აგებისთვის და არა მხოლოდ ნასწავლის შესამოწმებლად;<br>კონკრეტული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომ ფორმაში გამოხატული ცოდნაა, რომელიც</td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| გასისხლხორცება, გონებითი ჩვევა). არ შეიძლება მკვიდრი წარმოდგენების ერთმანეთისგან და სამიზნე ცნებისგან მოწყვეტა. მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ საკუთარი სიტყვებით უნდა ჩამოაყალიბოს. | შესრულდეს კომპლექსური დავალების პროდუქტი. ასევე შეთანხმდით, თუ რა ფორმით მოხდება წარდგენა.<br>გადაამოწმეთ ყველა მოსწავლემ სწორად გაიგო თუ არა კომპლექსური დავალების პირობა დამაზუსტებელი და შემათანხმებელი ტიპის შეკითხვებით. შემდეგ კი მიზნობრივად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული კითხვები, რომელიც დაგეხმარებათ მოსწავლეებმა გააცნობიერონ თუ რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დაადასტურონ, თუ რა ისწავლეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით? კომპლექსური დავალების პროდუქტისთვის პრაქტიკული და ტექნიკური დეტალების დაზუსტებისას.<br>მასწავლებელი მოსწავლეებთან განსაზღვრავს კომპლექსური დავალების მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროსა და შეფასების რუბრიკებს.<br>**ეტაპი 2.** კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა. სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება.<br>საკვანძო შეკითხვები: როგორ შევასრულო მოცემული დავალება? | სამიზნე ცნებაზე მუშაობისთვის გამოიყენება და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტს წარმოადგენს. |
| | | **შეფასების კრიტერიუმები** |
| | | **რა არის შეფასების კრიტერიუმები?**<br>კრიტერიუმი, რომლითაც მოწმდება, თუ რამდენად აქვს მოსწავლეს გათავისებული სამიზნე ცნებებითა და მკვიდრი წარმოდგენებით განსაზღვრული ცოდნა.<br>კრიტერიუმი შესრულებულია მაშინ, როცა მოსწავლემ კომპლექსური დავალება შეასრულა და შექმნის პროცესი გაასიტყვა (საკუთარი სიტყვებით აღწერა რა გააკეთა; ახსნა, თუ რატომ გააკეთა ასე და არა სხვაგვარად; შეაფასა რამდენად მართებულად შეასრულა დავალება);<br>კრიტერიუმი მჭიდრო კავშირშია სამიზნე ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან, მაგრამ არ არის გრძელვადიანი სამიზნე ორიენტირი. |

P.S. კომპლექსურ დავალებებში, შეფასების კრიტერიუმებს თან ახლავს შემოკლებული ვერსიებით შესაბამისი ცნების მკვიდრი წარმოდგენები: მაგ.,

ცნება – **სოციალიზაცია** შემოკლებით – **სოც.**

ცნება – **დემოკრატია** შემოკლებით – **დემ.**

ცნება – **ინიციატივა** და **მეწარმეობა** შემოკლებით – **ი.მ.**

ცნება – **სამოქალაქო მონაწილეობა** შემოკლებით – **ს.მ.**

ცნება – **მდგრადი განვითარება** შემოკლებით – **მდგ.**

**რას უნდა ემსახურებოდეს აქტივობა?**

- ემსახურება საკვანძო შეკითხვის პროვოცირებას;
- დგას კომპლექსურ დავალებასა და სამიზნე ცნებას შორის;
- ორიენტირებულია უფრო მეტად ახალი მასალის აღქმაზე, ვიდრე ცოდნის შემოწმებაზე.

**რას ნიშნავს საკვანძო შეკითხვა?**

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
- სასწავლო თემის სამიზნე ცნებაზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა; ყველა აქტივობა საკვანძო შეკითხვის პროვოცირებაზე უნდა იყოს ორიენტირებული;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ნაბიჯების/ეტაპების განსაზღვრა; საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

**რა დატვირთვა აქვს შეფასების კრიტერიუმს?**

- კრიტერიუმი, რომლითაც მოწმდება, თუ რამდენად აქვს მოსწავლეს გათავისებული სამიზნე ცნებებითა და მკვიდრი წარმოდგენებით განსაზღვრული ცოდნა.
- კრიტერიუმი შესრულებულია მაშინ, როცა მოსწავლემ კომპლექსური დავალება შეასრულა და შექმნის პროცესი გაასიტყვა (საკუთარი სიტყვებით აღწერა რა გააკეთა; ახსნა, თუ რატომ გააკეთა ასე და არა სხვაგვარად; შეაფასა რამდენად მართებულად შეასრულა დავალება);
- კრიტერიუმი არ არის ინდიკატორი. იგი არ შეიძლება კომპლექსური დავალებისგან მოწყვეტილად არსებობდეს;
- კრიტერიუმი მჭიდრო კავშირშია სამიზნე ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან, მაგრამ არ არის გრძელვადიანი სამიზნე ორიენტირი.

**რა არის კომპლექსური დავალება?**

- დავალება, რომელიც ცოდნის სამივე კატეგორიაზეა ორიენტირებული (განსაკუთრებით პირობისეულზე); ანუ არ არის ორიენტირებული მხოლოდ პროცედურულ და დეკლარატიულ ცოდნაზე;
- გამოიყენება ცოდნის აგებისთვის და არა მხოლოდ ნასწავლის შესამოწმებლად;
- კონკრეტული მოსწავლისთვის ხელმისაწვდომ ფორმაში გამოხატული ცოდნაა, რომელიც სამიზნე ცნებაზე მუშაობისთვის გამოიყენება და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტს წარმოადგენს.

**რა არის საკითხი?**

- წარმოადგენს სამიზნე ცნების ტრანსფერის არეალს/მაგალითთა წრეს.
- უკავშირდება იმავე მკვიდრ წარმოდგენებს, რასაც სამიზნე ცნება.
- ცნება მიზანია, საკითხი – საშუალება. საკითხის სწავლება არ უნდა იქცეს თვითმიზნად.
- ყველა სკოლასა და პედაგოგს შეუძლია სამიზნე ცნებაზე მისთვის სასურველი საკითხებით გავიდეს.

**რა არის ცნებები / ქვეცნებები?**

- ქვეცნებები წარმოადგენს იმ ცნებებსა და ტერმინებს, რომლებიც სამიზნე ცნებებიდან გამომდინარეობენ და რომლებით ოპერირებაც მოსწავლეს ამ კონკრეტული თემის ფარგლებში/კონკრეტულ საკითხთან მიმართებით მოუწევს.

**რა არის მკვიდრი წარმოდგენები?**

- შემოსაზღვრავს ოთხწლედისთვის ცნების მოცულობას საბაზო საფეხურზე;
- ცოდნის ყველაზე უფრო ღრმა შრე (გათავისება, გასისხლხორცება, გონებითი ჩვევა);
- არ შეიძლება მკვიდრი წარმოდგენების ერთმანეთისგან და სამიზნე ცნებისგან მოწყვეტა;
- მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ საკუთარი სიტყვებით უნდა ჩამოაყალიბოს.

## კომპლექსური დავალების მახასიათებლები

**„პანდორას კითხვები“**

- რატომ ჰქვია „კომპლექსური“?
- რა უნდა გავითვალისწინო კომპლექსური დავალების შექმნამდე?
- რა დროში იქმნება, ხორციელდება კომპლექსური დავალება?
- რა ფაზებად შეიძლება დაიყოს პერიოდი მასწავლებლისთვის და მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალებაზე სამუშაოდ?
- როგორ ხდება კომპლექსური დავალების წარდგენა მოსწავლეებთან?
- როგორ ავირიდო გაუგებრობები მშობლებთან? რისკი: რამდენიმე დღე ან კვირა ერთ საკითხზე შეჩერება.
- მოსწავლეებმა აუცილებლად ინდივიდუალურად უნდა წარადგინონ თუ არა საკუთარი კომპლექსური დავალება? აუცილებელია თუ არა ის? როგორ მოვასწრო ყველა მოსწავლის გამოძახება თუ მრავალრიცხოვანი კლასია?
- როგორ დავიცვა მოსწავლეებში პლაგიატის და ეთიკის წესები კომპლექსური დავალების შექმნის დროს?
- როგორ ავარიდოთ თავი კომპლექსური დავალებისას ზედაპირული ცოდნის მიღებას?
- რით ემსგავსება ის ჩემს წინა პრაქტიკულ გამოცდილებას, რა განასხვავებს?
- რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს?
- რა გამოწვევები ახლავს კომპლექსურ დავალებას და როგორ დავძლიო ისინი?

**რა არის კომპლექსური დავალება?**

- კომპლექსური დავალება მოსწავლის მიერ შექმნილი შემეცნებითი და შემოქმედებითი პროდუქტია;
- კომპლექსური დავალების შესრულება ბუნებრივად უნდა აღძრავდეს მოსწავლეებში ცნობისმოყვარეობას, ფიქრით უნდა წარმართავდეს სააზროვნო პროცესებს შეკითხვებისკენ: რატომ? როგორ?
- კომპლექსური დავალების პირობა ლაკონიურად, მკაფიოდ, მოსწავლისთვის გასაგები ენით უნდა იყოს ჩამოყალიბებული; ის ასევე უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ საკითხს;
- ხელს უნდა უწყობდეს გონებაში სამიზნე ცნებებით გათვალისწინებული მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას; ასევე საგნობრივი ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას;
- დავალება დასრულებულად მაშინ ითვლება, როცა მოსწავლე მას წარმოადგენს და ახსნის, რა გააკეთა, რატომ გააკეთა, რა აღმოაჩინა, რა დაასკვნა.
- კომპლექსური დავალება უნდა გულისხმობდეს დამოუკიდებლად შესასრულებელ სამუშაოს. შეიძლება იყოს ჯგუფურიც, თუმცა სასურველია, დამოუკიდებელი სამუშაო რაღაც ეტაპზე, ინდივიდუალურად შესრულდეს, რომ თითოეული მოსწავლის სააზროვნო პროცესები ამოქმედდეს.

კომპლექსური დავალების საფუძველია – სამიზნე ცნება, მკვიდრი წარმოდგენები და შერჩეული საკითხი/საკითხები;

### ნაბიჯები კომპლექსურ დავალებამდე

**№1** ნაბიჯი: ვქმნი კომპლექსური დავალების პირობას;

**№2** ნაბიჯი: ვაანონსებ კლასში კომპლექსური დავალების პირობას, სხვადასხვა ტიპის კითხვებით ამოვიცნობთ პროდუქტის ბუნებას და ფორმატს. შევიმუშავებთ ტექნიკურ და პრაქტიკულ რეკომენდაციებს, ვთანხმდებით ვადებზე, დროზე.

**№3**: ვიწყებთ აქტივობების განხორციელებას და მუდმივ კავშირს ვამყარებ მოსწავლეების ჩართულობით კომპლექსური დავალების პროდუქტთან, შეფასების კრიტერიუმებთან, ვცდილობ ეტაპობრივად მივუახლოვდე ცნებას და მკვიდრ წარმოდგენებს;

**№4**: აქტივობების მსვლელობისას ვიყენებ საკვანძო შეკითხვებს – რატომ? როგორ?

**№5**: ბოლო აქტივობას განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ, იქმნება კომპლექსური დავალების პროდუქტის შექმნის გეგმა, მოდელირება, ინსცენირება. ვრწმუნდები მოსწავლეთა მზაობაში.

**№6**: ყველა მოსწავლე ინდივიდუალურად წარმოადგენს კომპლექსურ დავალებას; აღწერენ, მსჯელობენ და აფასებენ საკუთარ პროდუქტს.

**№7**: მოსწავლეთა პრეზენტაციის დროს ვიხსენებ ცნებას, მის მკვიდრებს, რაზეც აგებულია კომპ. პროდუქტი და ვაკვირდები, აცოცხლებს თუ არა მკვიდრებს მოსწავლე საკუთარი გამოცდილებით და შესაბამისი ლექსკური ერთეულებით, როგორ, რა ხარისხით.

**№8**: ვაფასებ მოსწავლეს SOLO ტაქსონომიით. თუ დაბალ დონეზეა, ვცდილობ შედარებით მაღალ დონეზე გადავიყვანო მიზნობრივი კითხვებით და დამხმარე საშუალებებით, ინსტრუმენტებით-სკაფოლდინგი.

**№9**: საკუთარ თავთან ვახდენ თვითრეფლექსიას და შემდეგ კოლეგებთან ურთიერთრეფლექსიას.

**№10**: ვიწყებ ახალი კომპლექსური დავალების პირობის დაანონსებას კლასში და №1 ნაბიჯიდან ისევ მივყვები რეკომენდაციებს.

**ყველა მოსწავლე ინდივიდუალურად წარადგენს პროდუქტს და ახდენს მის პრეზენტაციას.**

კომპლექსური დავალების პრეზენტაციისას დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვები და ჩართეთ მთელი კლასი.

მაგ., ვის აქვს ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულება ან ვარიანტი?

აბა, შენ როგორ გაქვს ეს წარმოდგენილი?

კარგია, აქ ორი განხვავებული მოსაზრებაა!

აბა, შენ ასე რატომ ფიქრობ?

შეგიძლია დაასაბუთო?

კიდევ ხომ არ არის რაიმე განსხავებული მოსაზრება?

ხომ, არ გახსენდებათ რაიმე პირადი გამოცდილებიდან... შეგიძლიათ დააკავშიროთ...

დაასაბუთე ...

მოდით მოსაზრებების შეჯერება მოვახდინოთ;

დამეხმარეთ ბუნდოვანი ასპექტების გარკვევაში;

და როცა კლასში ასე მიმდინარეობს ცოცხალი, ძიებითი პროცესი, სწორედ ამ დროს ხდება ცოდნის კონსტრუირებაც. მოსწავლეთა ნამუშევრებში წარმოდგენილი განსხვავებები არის საუცხოო საშუალება, იმ ძიებითი, აქტიური პროცესების დასაძრავად და ასამოქმედებლად, რომელშიც მთელი კლასი მონაწილეობს.

**ინსტრუქცია:** მოცემული ცხრილი დაგეხმარებათ სწორად დაგეგმოთ კომპლექსური დავალება.

| კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები |
|---|
| 1) მკაფიოა რა ფორმით/რა პროდუქტის სახით უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ დავალება (რა ფორმაში უნდა გამოხატოს საკუთარ ცოდნა). |
| 2) კომპლექსური დავალების კონტექსტი ახლოს დგას მოსწავლის ყოველდღიურ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან:<br>მოსწავლისთვის ნაცნობია/იოლად აღქმადია დავალების ფორმა (არ სჭირდება იმაზე დაფიქრება, თუ რა ფორმაში უნდა გამოხატოს საკუთარი ცოდნა);<br>მოსწავლისთვის ნაცნობია/იოლიად აღქმადია ცხოვრებისეული სფერო/კონტექსტი, რომელშიც მას ახალი ცოდნის ტრანსფერი ევალება (ბუნებრივი და იოლად აღქმადია ცხოვრებისეული სიტუაცია, რომელსაც მოსწავლეს კომპლექსური დავალების პირობა სთავაზობს). |
| 3) კომპლექსური დავალებისთვის კონტექსტი იმგვარადაა შერჩეული, რომ ის ბუნებრივად უკავშირდება საგნობრივ საკითხს, რომლის შესწავლასაც კომპლექსური დავალება ემსახურება. |
| 4) მკაფიოდ ჩანს ერთი კონკრეტული (და არა ზოგადი) საგნობრივი საკითხი, რომელსაც კომპლექსური დავალება შეეხება. |
| 5) საკითხი იმგვარადაა შერჩეული, რომ ლოგიკურია მისთვის სასწავლო პროცესის ვრცელი მონაკვეთის დათმობა. |
| 6) დავალების პირობა იმგვარადაა ჩამოყალიბებული, რომ მოსწავლეს მის შესასრულებლად აუცილებლად სჭირდება საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი ცოდნის შეძენა და პროცედურებზე მუშაობა |
| 7) მკაფიოა, თუ რა რესურსზე დაყრდნობით უნდა შეძლოს მოსწავლემ კომპლექსური დავალების პირობასთან მიმართებით საგნობრივი საკითხის შესწავლა. |
| 8) შეფასების კრიტერიუმები მკაცრ კორელაციაშია სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან. |
| 9) შეფასების კრიტერიუმები ბუნებრივად ერწყმის კომპლექსური დავალების პირობას. |
| 10) შეფასების კრიტერიუმები ფორმულირებულია იმგვარად, რომ მათი დაკმაყოფილებისთვის მოსწავლეს ფაქტობრივი და პროცედურული ცოდნა სჭირდება. |

## შეფასების სისტემა – SOLO ტაქსონომია

ყოველი ინდივიდი კონკრეტულ მოცემულობასა და გამოცდილების ნაკადში იბადება. განათლება კი, როგორც სახელმწიფოს მიერ მართული პროცესი, ამ ნაკადში ნავიგაციისა და არსობრივი „გამოცდილებების" წვდომის და მოსწავლის მიერ ამ ცოდნის საკუთარ შემეცნებით იარაღად გარდაქმნის პროცესია. განსაკუთრებით დიდი გამოწვევებით ხასიათდება XXI საუკუნე. თანამედროვე საგანმანათლებლო პარადიგმის თანახმად, XXI საუკუნის განათლება, სამყაროში თვითრეალიზაციისა და ადაპტაციისთვის, ჩვენგან ითხოვს კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარს, შემოქმედებითობას, კომუნიკაბელურობას, თანამშრომლობასა და მოქალაქეობრივ ცნობიერებას (Michael Fullan & Sylvia Duckworth, 2017).

ამოსავალი წერტილი არის ის, თუ როგორ სწავლობს მოსწავლე, რა ასპექტებია მნიშვნელოვანი მისი სწავლის პროცესში, რა ფაქტორები ქმნის მის მოტივაციას და ეფექტიანობას. ამისათვის უნდა შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც მოსწავლე შემმეცნებელი, მაძიებელი და შემოქმედია.

„თუ გვსურს, რომ შეფასება იქცეს პოზიტიურ ძალად განათლებაში, მაშინ ის უნდა განხორციელდეს ჯეროვნად. არ შეიძლება შეფასება გამოყენებული იქნას მოსწავლეების რანჟირების ან განათლების პროცესის კრიტიკისათვის, მისი მიზანი უნდა იყოს განათლების მხარდაჭერა და მისი გაუმჯობესება. ნაცვლად იმისა, რომ „ვასწავლოთ ტესტებისთვის", აუცილებელია შევაფასოთ, „რა ვასწავლეთ" (Lockwood & Mclean, 2014).

სიტყვა „სოლო“ მომდინარეობს ინგლისური აბრევიატურიდან, რაც გულისხმობს დაკვირვებადი სწავლის შედეგების სტრუქტურას (SOLO - Structure of Observed Learning Outcome). SOLO ტაქსონომია, როგორც დაკვირვებადი შედეგების შეფასების მეთოდიკა, შემუშავდა ჯონ ბიგსისა და კევინ კოლისის მიერ ჯერ კიდევ 1982 წელს („სწავლის ხარისხის შეფასების მიზნით“). მას შემდეგ გაიარა განვითარების დიდი გზა და დღეს ის საფუძველია ყველა იმ განათლების სისტემისა, რომლის მიზანიც მუდმივი განვითარება და მოსწავლეზე ორიენტირებული განათლებაა. „სწავლა რაც უფრო წინ მიდის, მით უფრო კომპლექსური და მრავლისმომცველი ხდება. სწავლის დაკვირვებადი შედეგების სტრუქტურა (SOLO – Structure of the Observed Learning Outcome) წარმოადგენს სწავლის შედეგების კლასიფიცირების საშუალებას მათი კომპლექსურობის თვალსაზრისით და შეცდომების დათვლის ნაცვლად, იძლევა მოსწავლის ნამუშევრის ხარისხის (თვისებრივად) შეფასების საშუალებას. სწავლის პროცესში თავდაპირველად ჩვენ ვწვდებით ამოცანის ერთ ან მცირე რაოდენობის ასპექტს (უნისტრუქტურული), შემდეგ მრავალ ასპექტს, მაგრამ ისინი ერთმანეთთან დაუკავშირებელია (მულტისტრუქტურული), შემდეგ ჩვენ ვსწავლობთ, როგორ უკავშირდება ეს ასპექტები ერთმანეთს და ინტეგრირდება მთელში (მიმართებითი) და ბოლოს, ჩვენ შეგვაძლია მთელი იდეის განზოგადება და მისი სხვა, არადასწავლილ გარემოებებში გამოყენება (გაფართოებული აბსტრაქტი)“ (Biggs, J. B., & Collis, K. F., 2014). როგორც თავად ტაქსონომიის ავტორების ციტატიდან ჩანს, სწავლა-სწავლების პროცესში ცოდნის დაუფლება პირობითად, ორ მოცემულობად არის გაყოფილი: დეკლარაციული ცოდნა, ფაქტებისა და ინფორმაციის ფლობა (უნისტრუქტურული, მულტისტრუქტურული) და გაგება, წვდომა (მიმართებითი და გაფართოებული აბსტრაქტი). სამიზნე დონე სწორედ გაგება-გააზრება, ფუნქციური ცოდნის შეძენაა და არა მხოლოდ დეკლარატიული ცოდნა.




**მოსწავლის შეფასების ინსტრუმენტი კომპლექსური დავალების პრეზენტაციის დროს**

ცხრილში მოცემული ჩანაწერები, აღწერილობა და კომენტარი აღნიშნავს შემდეგს:

**„აღწერილობა“** – რა გააკეთა კომპლექსური დავალების წარდგენისას მოსწავლემ, როგორ დაამუშავა შეფასების კრიტერიუმები რაოდენობრივი და ხარისხობრივი, შინაარსობრივი მაჩვენებლით, რა დასკვნის გაკეთების საშულებას აძლევს მასწავლებელის მოსწავლის მხრიდან განხორციელებული ქმედებები.

**„კომენტარი“** – მოცემულ ველში მასწავლებელი განათავსებს ეფექტურ განმავითარებელ შეფასებას. მასწავლებელი კონკრეტულად აღნიშნავს ძლიერ მხარეს, მიუთითებს გასაუმჯობესებელ მხარეზე და აქვე აძლევს მისი გაუმჯობესებისთვის კონკრეტულ რეკომენდაციას მარტივად, მკაფიოდ და გასაგებად.

<table>
<tr><td colspan="7">მოსწავლის სახელი, გვარი ---------------------------------------------------------------<br>საგანი და სამიზნე ცნება ---------------------------------------------------------------<br>საკითხი ---------------------------------------------------------------<br>კომპლექსური დავალება ---------------------------------------------------------------</td></tr>
<tr><td>სამიზნე ცნება კრიტერიუმი</td><td colspan="2">სამიზნე ცნება 1 (მაგ., სოციალიზაცია)</td><td colspan="2">სამიზნე ცნება 2 (მაგ., დემოკრატია)</td><td colspan="2">სამიზნე ცნება 3 (მაგ., სამოქალაქო მონაწილეობა)</td></tr>
<tr><td>აბსტრაქტული დონე<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. განსახილველ საკითხს უკავშირებს საკუთარ პირად გამოცდილებას.</td><td colspan="6">აღწერილობა კომენტარი</td></tr>
<tr><td>მიმართებითი დონე<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.</td><td>აღწერილობა</td><td>კომენტარი</td><td>აღწერილობა</td><td>კომენტარი</td><td>აღწერილობა</td><td>კომენტარი</td></tr>
<tr><td>მულტისტრუქტურული დონე<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.</td><td>აღწერილობა</td><td>კომენტარი</td><td>აღწერილობა</td><td>კომენტარი</td><td>აღწერილობა</td><td>კომენტარი</td></tr>
<tr><td>უნისტრუქტურული დონე<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.</td><td>აღწერილობა</td><td>კომენტარი</td><td>აღწერილობა</td><td>კომენტარი</td><td>აღწერილობა</td><td>კომენტარი</td></tr>
<tr><td>პრესტრუქტურული დონე<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.</td><td>აღწერილობა</td><td>კომენტარი</td><td>აღწერილობა</td><td>კომენტარი</td><td>აღწერილობა</td><td>კომენტარი</td></tr>
</table>

### განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ შემდეგ ნიუანსებს კომპლექსური დავალების დროს

| ფოკუსები |
|---|
| **მოსწავლე:** |
| იცავს დროის ლიმიტს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში; |
| მონაწილეობს კომპლექსური დავალების შესრულებაზე ორიენტირებულ საკლასო აქტივობებში; |
| დამოუკიდებლადაც მუშაობს კომპლექსურ დავალებაზე; |
| თანამშრომლობს მასწავლებელთან (უსვამს შეკითხვებს, ითვალისწინებს მის რეკომენდაციებს); |
| თანამშრომლობს თანაკლასელებთან კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში (იღებს და გასცემს რეკომენდაციებს, ინტერესდება სხვების ნამუშევრებით); |
| დავალებაზე მუშაობის პროცესში ცდილობს სწავლის სტრატეგიების დახვეწას; |
| მართებულად იაზრებს, თუ რა პროდუქტი უნდა შექმნას და როგორ; |
| ყურადღებას ამახვილებს კომპლექსური დავალებით განსაზღვრულ შეფასების კრიტერიუმებზე. |

### პრაქტიკული რეკომენდაციები SOLO ტაქსონომიაზე



**SOLO ტაქსონომიის დროს**

დავაკვირდეთ შეფასების კრიტერიუმებს, გასცა თუ არა თქვენმა მოსწავლემ ყველას პასუხი პროდუქტით ან პრეზენტაციით.

## რა არღვევს სოლო ტაქსონომიის უნივერსალურობას? სოლო ტაქსონომიას არღვევს არასწორად ფორმულირებული შეფასების კრიტერიუმები?





## რას მივაქციო სოლო ტაქსონომიის გაწერისას განსაკუთრებული ყურადღება?

აღწერის ველს, მეტი კონკრეტიკა, მეტი არგუმენტები.

უპასუხეთ შეკითხვებს :

რა გააკეთა მოსწავლემ, როგორ წარმოადგინა, არის კი კრიტერიუმის ადეკვატური?

რაც გააკეთა საგნობრივი საკითხის დახმარებით?აღწერეთ ან მიყევით კრიტერიუმებს და გადათვალეთ, რომელი წარმოადგინა, როგორ და რომელი არა.

- არ იჩქაროთ მოსწავლის შეფასება, ვიდრე კომპლექსური დავალების პროდუქტს და პრეზენტაციას არ წარმოადგენს, დაუშვებელია მხოლოდ პროდუქტით შეფასება ან მხოლოდ პრეზენტაციით, უნდა მოხდეს ორივეს ერთად წარმოდგენა;
- პრეზენტაციის დროს ან დასრულებისას, თუ მოსწავლეს უჭირს კრიტერიუმების ადეკვატურად მსჯელობა, მაგრამ ვლინდება მოსწავლის მხრიდან პოტენციალი, ამ შემთხვევაში დაეხმარეთ მოსწავლეს სხვადასხვა ტიპის შეკითხვებით: პრაქტიკული, დამაზუსტებელი, შემათანხმებელი, აღმოჩენითი და ა.შ. თქვენ ამით ხელს შეუწყობთ მოსწავლეს SOLO ტაქსონომიის ქვედა დონიდან ზედა დონისკენ გადასვლაში, ეფექტურ განმავითარებელ შეფასებაში;
- მაქსიმალური ყურადღება გადაიტანეთ ცოცხალ პროცესზე, სხვადასხვა ტიპის შეკითხვებით დაეხმარეთ მოსწავლეებს ცნების განზოგადებაში, საკუთარი პრაქტიკული მაგალითების გახსენებასა და გაანალიზებაში.
- შეეცადეთ ეტაპობრივად შეაჯამოთ მოსწავლეთა მიღწევები;
- დაწერეთ მოსწავლეთა მიღწევები ფლიფჩარტზე დინამიკაში – კომპლექსური დავალების პრეზენტაციამდე, თუ რომელი მკვიდრი წარმოდგენა/შეფასების კრიტერიუმი იქნა დაძლეული, ჩანაწერი იყოს ბავშვებისთვის გასაგები ენით. აუხსენით მოსწავლეებს მარტივად და აგროვეთ ეს მცდელობები;
- კონცენტრირდით ცალკეულ შეფასების კრიტერიუმზე. წინასწარი ფორმულარი, მოლოდინების გეგმა გააკეთეთ რას ელოდებით ცალკეული კრიტერიუმისგან. კიდევ ერთხელ დაუკვირდით, არის ის მკაფიო, ცნებასა და მკვიდრზე მიმართული?

**განმავითარებელი შეფასების ეფექტურად წარმოებისთვის საჭიროა ორი არსებითი ნიუანსი:**

ა) გრძელვადიანი მიზნობრივი ორიენტირი;

ბ) დავალება, რომელიც ავთენტურ (და არა ზედაპირულ) ცოდნას ამოწმებს.

პირველის როლს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სამიზნე ცნება ასრულებს, მეორეს ფუნქცია კი კომპლექსურ დავალებას ეკისრება. თუკი მასწავლებელი მოსწავლეს წლის განმავლობაში ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე (რომელიც თემიდან თემამდე და წლიდან წლამდე ფორმას არ იცვლის) ორიენტირებულ რამდენიმე კომპლექსურ დავალებას გააკეთებინებს, მაშინ ის შემაჯამებელი და მიმდინარე განმავითარებელი შეფასების გამოყენების გზით იოლად შეძლებს სამიზნის მიმართულებით მოსწავლის მიღწევების, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების, მისი საჭიროებების შემჩნევასა და აღწერას.

**რა განსხვავება/მიმართებაა კომპლექსურ დავალებასა და შემაჯამებელ დავალებას შორის?**

კომპლექსური დავალება არის დავალების ტიპი, ტერმინით „შემაჯამებელი" კი განისაზღვრება სტატუსი/ფუნქცია, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესში ზოგიერთ დავალებას ენიჭება. მაგალითად, სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელმა შესაძლოა საკუთარ მოსწავლეებთან 10 კომპლექსური დავალება განახორციელოს, აქედან სამს კი შემაჯამებელი დავალების სტატუსი მიანიჭოს (იმის მიხედვით, თუ რამდენი შემაჯამებელია სავალდებულო მის საგანში ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით).

ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, ყველა შემაჯამებელი დავალება კომპლექსური ტიპის უნდა იყოს (არ შეიძლება შემაჯამებლის სტატუსი მიენიჭოს მხოლოდ პროცედურულ და დეკლარატიულ ცოდნაზე ორიენტირებულ სავარჯიშოებს).

**კერძოდ, კომპლექსური დავალებების საშუალებით მოსწავლე:**

1) აქტიურია და ჩართულია აქტიურ შემოქმედებით პროცესებში (პრინციპი 1);

2) ახალ ცოდნამდე მიდის წინარე ცოდნის (დავალების ფორმა და კონტექსტი) საშუალებით (პრინციპი 2);

3) ახალ ცოდნას უკავშირებს რეალურ ცხოვრებასა და სხვა საგნობრივ საკითხებს (პრინციპი 3);

4) მასწავლებელს საშუალება აქვს განსაზღვროს არა მხოლოდ ის, თუ რას სწავლობს, არამედ როგორ სწავლობს მოსწავლე (პრინციპი 4);

5) ორიენტირებულია არა მხოლოდ დამახსოვრებასა და პროცედურების გააზრებაზე, არამედ ცხოვრებასთან მათ დაკავშირებაზე (პრინციპი 5).

## შეფასების ფოკუსები

*საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებისას ამოვიდეთ მატრიცის თითოეული კომპონენტის მახასიათებლებიდან.*

| № | კომპონენტი | ვაკვირდებით: |
|---|---|---|
| | თემა | • რამდენად არის მოსწავლისთვის საინტერესო და ნაცნობი ფენომენი;<br>• მოსწავლის საჭიროებებსა და ინტერესს მორგებული კონტექსტი, ავთენტური არეალი. |
| | საკითხი/ ქვეცნება | • რამდენად უკავშირდება იმავე მკვიდრ წარმოდგენებს, რასაც ცნება;<br>• რამდენადაა გზა, საშუალება მიზანზე გასვლისთვის (ცნება მიზანია, საკითხი – საშუალება);<br>• რამდენად მრავალფეროვანი, კონკრეტული და რესურსის შესაბამისია. |
| | სამიზნე ცნება | • რამდენად უწყობს ხელს მოსწავლეს, ახალი ცოდნა დააკავშიროს წინარე ცოდნა-გამოცდილებასთან და მასზე დააფუძნოს;<br>• რამდენად იძლევა საშუალებას, ცალკეული ცნებები, დამოკიდებულებები, ტერმინები – განყენებული ცოდნა – პირად გამოცდილებად ვაქციოთ;<br>• რამდენად ხდება აღქმის უნარის, გაგება-გააზრების, გაგების აქტების განხორციელების ხელშეწყობა;<br>• რამდენად ხდება ცნების დამუშავება სხვადასხვა კონტექსტში;<br>• რამდენად ემსახურება ცოდნის ტრანსფერს. |
| | მკვიდრი წარმოდგენები | • რამდენად ხდება ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათავისება, გასისხლხორცება;<br>• რამდენად ახერხებს მოსწავლე მკვიდრი წარმოდგენების საკუთარი სიტყვებით ჩამოყალიბებას. |
| | კომპლექსური დავალება | • რამდენადაა ორიენტირებული ცოდნის სამივე კატეგორიაზე (განსაკუთრებით პირობისეულზე); ანუ არ არის ორიენტირებული მხოლოდ პროცედურულ და დეკლარატიულ ცოდნაზე;<br>• რამდენად ეხმარება მოსწავლეს ცოდნის გაგებაში (და არა მხოლოდ ნასწავლის დამახსოვრებაში);<br>• რამდენად ატარებს მოსწავლის განმავითარებელ (და არა შემაფასებელ) ეფექტს. |
| | საკვანძო შეკითხვა | • რამდენად სწორად ხდება მაპროვოცირებელი და სააზროვნო კითხვების დასმა;<br>• მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;<br>• რამდენად სწორადაა მორგებული საკვანძო კითხვა და განხორციელებული აქტივობები, არის თუ არა ლოგიკური კავშირები-ბმა მათ შორის; |
| | აქტივობა | • რამდენადაა ინტერაქტიული, მრავალფეროვანი;<br>• რამდენად უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოტივირებასა და ჩართულობას;<br>• რამდენადაა ორიენტირებული ახალი მასალის აღქმაზე. |

## საყურადღებო რეკომენდაციები

**თითოეულ თემაში სავალდებულოდ დასამუშავებელია ყველა ცნება:**

- **სოციალიზაცია;**
- **დემოკრატია;**
- **ინიციატივა და მეწარმეობა;**
- **სამოქალაქო მონაწილეობა;**
- **მდგრადი განვითარება.**

**ცალკეულ თემაში მოცემული ან თქვენ მიერ შედგენილი კომპლექსუ-რი დავალებები შეგიძლიათ აქციოთ შემაჯამებელ დავალებად.**

## თემები – სასწავლო ერთეულები

**IX კლასი**

თემატური ბლოკი: **მოქალაქე, სახელმწიფო და გლობალური პროცესები**

1. **ცენტრალური ხელისუფლება**
2. **ეკონომიკა და სახელმწიფო**
3. **სამშვიდობო პროცესები**
4. **გარემოს დაცვა**

## თემა 1.

| |
|---|
| სავარაუდო დრო –12-14 სთ.<br>**თემა:**<br>**ცენტრალური ხელისუფლება** |
| **საკითხები:**<br>1. თანასწორობასა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სახელმწიფო პოლიტიკა.<br>2. კონსტიტუციის შექმნისა და გამოყენების მექანიზმები.<br>3. სამართლიანი არჩევნები.<br>4. ხელისუფლების დანაწილება;<br>5. ხელისუფლების კონტროლი; მედია, „როგორც მეოთხე ხელისუფლება“;<br>6. არასამთავრობო საზოგადოებრივი და სამეწარმეო ორგანიზაციები.<br>7. ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა; |

**თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები:**

• რატომ და როგორ იქმნება კონსტიტუცია?
• რატომ ვმონაწილეობ არჩევნებში?
• რატომ არის აუცილებელი ხელისუფლების დანაწილება? როგორ აბალანსებენ ხელისუფლების შტოები ერთმანეთს?
• როგორ ატარებს მთავრობა თანასწორობასა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ სახელმწიფო პოლიტიკას?
• რატომ და როგორ უნდა ვაკონტროლოთ ხელისუფლება?
• როგორ უნდა ვითანამშრომლოთ ცენტრალურ ხელისუფლებასთან?
• რატომ იქმნება ქვეყანაში არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციები? რა განასხვავებს მათ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციებისგან?

**თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:**

- კარგი კონსტიტუცია აუცილებლად ფართო საზოგადოებრივი შეთანხმების შედეგია;
- სახელისუფლებო შტოების დანაწილება და ბალანსი სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი პირობაა;
- დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლება ანგარიშვალდებულია მოსახლეობის წინაშე;
- მოქალაქეები სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში არჩევნების, პეტიციების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა საშუალებით მონაწილეობენ;
- ხელისუფლებისათვის ადმინისტრაციული განცხადებით მიმართვა პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი ეფექტიანი მექანიზმია.
- მედია და არასამთავრობო სექტორი ხელისუფლების კონტროლის საშუალებებია.

**თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები** — მოსწავლემ უნდა შეძლოს:
**სოციალიზაცია (პიროვნება, ინდივიდი, საზოგადოება)**

- სათემო აქტივობების დაგეგმვისას ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობის ფორმების (ინფორმაციის მოპოვება, მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში) გააზრება **(მოქ.საბ.1,3,4,5,8,9,12,13)**;

**დემოკრატია** (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)

- სახელმწიფოს მოწყობის, ხელისუფლების დანაწილებისა და პოლიტიკური პროცესების გაანალიზება დემოკრატიის პრინციპების (ადამიანის უფლებების (საარჩევნო უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება, მიმოსვლის და გამოხატვის თავისუფლება) დაცვა, თანასწორობა, სამართლიანი არჩევნები, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინებით **(მოქ.საბ.3,4,7,9,10,11,12,13).**

**ინიციატივა და მეწარმეობა**

- სახელმწიფოში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, საგანგებო სიტუაციები) იდენტიფიცირება; საკუთარი ჩართულობით მათი გადაჭრის გზებისა და ამისათვის საჭირო რესურსების დაგეგმვა **(მოქ.საბ.1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13);**

**სამოქალაქო მონაწილეობა**

- სახელმწიფოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებით მოქალაქის დაინტერესების და მათში აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობის გაცნობიერება **(მოქ.საბ.2,6,8,9)**;

**მდგრადი განვითარება**

- სახელმწიფოს მოწყობის, ხელისუფლების დანაწილებისა და პოლიტიკური პროცესების გაანალიზება მდგრადი განვითარებისა პრინციპების გათვალისწინებით **(მოქ.საბ.3, 7,9,10,11,12,13)**.

| სამიზნე ცნება და ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები | საკითხი/საკითხები | | შეფასების კრიტერიუმები კომპლექსური დავალების პირობა |
|---|---|---|---|
| | საკითხი/საკითხები<br>როგორ ატარებს მთავრობა თანასწორობასა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ სახელმწიფო პოლიტიკას?<br>**მოსწავლის წიგნი §1.1.** | **საკვანძო შეკითხვა/საკვანძო შეკითხვები** | |
| | **ქვეცნება/ქვეცნებები:**<br>• უფლებები და მოვალეობები;<br>• საზოგადოებრივი ინტერესები;<br>• სოციალური პასუხისმგებლობა;<br>• სამართლებრივი კულტურა; | • რატომ არის მნიშვნელოვანი ყველამ იცოდეს მისი უფლებები და მოვალეობები?<br>• რა უზრუნველყოფს შენს და შენ გარშემო ადამიანების უფლებების დაცვას?<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობის გააზრება, სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებისათვის?<br>• სად ჩანს სახელმწიფოს დამოკიდებულება მოქალაქის მიმართ, სად და როგორ ვლინდება ის? | |
| **სოციალიზაცია (პიროვნება, ინდივიდი და საზოგადოება)**<br>**შედეგები: საბაზო საფეხური: 1, 2.**<br>1. ადამიანი არის პიროვნება, საკუთარი მსოფლმხედველობითა (იდეები, ღირებულებები) და მისწრაფებებით; მას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება;<br>2. ადამიანს გააჩნია სხვადასხვა (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური კონტაქტების და სხვა) მოთხოვნილება, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე ის ვერ შეძლებს პიროვნულ განვითარებას; | **კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები):**<br>**ეტაპი 1.** კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია).<br>საკვანძო შეკითხვა: *რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?*<br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** დეტალურად გააცანით მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და შეთანხმდით ვადებზე, თუ რა დროის განმავლობაში უნდა შესრულდეს კომპლექსური დავალების პროდუქტი. ასევე შეთანხმდით, თუ რა ფორმით მოხდება წარდგენა.<br>გადაამოწმეთ, ყველა მოსწავლემ სწორად გაიგო თუ არა კომპლექსური დავალების პირობა (დამაზუსტებელი და შემათანხმებელი ტიპის შეკითხვებით), შემდეგ კი მიზნობრივად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული კითხვები, რომელიც დაგეხმარებათ, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ თუ რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დაადასტურონ, თუ რა ისწავლეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით? ასევე, კომპლექსური დავალების პროდუქტისთვის პრაქტიკული და ტექნიკური დეტალების დაზუსტებაში.<br>მასწავლებელი მოსწავლეებთან განსაზღვრავს კომპლექსური დავალების მიზნებს, შესრულებისთვის განკუთვნილ დროსა და შეფასების რუბრიკებს. სთხოვს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ და უპასუხონ კითხვებს:<br>1. შეგიძლია თუ არა ამოიცნო და დაასახელო ფაქტები, სადაც რომელიმე ინსტიტუცია ზრუნავს მოქალაქეებზე?<br>2. სად ხედავთ და როგორ, სად ვლინდება, რომ სახელმწიფო იცავს მოქალაქეთა უფლებებს? | | წარმოიდგინე, რომ რამდენიმე მეგობარი მოხვდით დაუსახლებელ კუნძულზე, გადაწყვიტეთ შექმნათ *თანასწორობასა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული* **სამართლებრივი წესების კრებული**, რომელსაც გამოიყენებთ მშვიდობიანი, სამართლიანი და ჰარმონიული თანაცხოვრებისთვის. კრებულში უნდა ჩაწეროთ ყველა ის მნიშვნელოვანი წესი/ნორმა, რომელიც დაგჭირდებათ სახელმწიფოსთან, სხვა ადამიანებთან/სოციალურ ჯგუფებთან/ინსტიტუციებთან ურთიერთობებისათვის სამართლებრივი კულტურის დასამკვიდრებლად.<br>**ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:**<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი ის წესები და ნორმები, რომელიც სჭირდება საზოგადოებას |

| | | |
|---|---|---|
| 3. სხვა ადამიანებთან/სოციალურ ჯგუფებთან/ინსტიტუციებთან ურთიერთობა ადამიანს პიროვნულ განვითარებაში უწყობს ხელს;<br>4. ასერტულობა (ადამიანის უნარი თამამად გამოხატოს საკუთარი აზრი სხვისი შეურაცხყოფის გარეშე) ხელს უწყობს პიროვნების და სოციუმის ჰარმონიულ ურთიერთობას. | 3. ხომ არ შეხვედრიხართ ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტებს?<br>4. გააპროტესტებდით თუ არა რაიმე დარღვევას ქუჩაში, სკოლაში, სამეზობლოში?<br>**ეტაპი 2.** კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა. სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება.<br>საკვანძო შეკითხვები: *როგორ შევასრულო მოცემული დავალება?*<br>**აქტივობა 1**<br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** მოსწავლეებს სთხოვეთ ყურადღებით წაიკითხონ მოსწავლის წიგნში მოცემული ქეისები და უპასუხონ თქვენ მიერ შეთავაზებულ კითხვებს, რომელიც წინასწარ ფლიფჩარტზე ან დაფაზე, სლაიდზე გექნებათ მომზადებული.<br>ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული ამბავი 1 (გვ. 7-8), განიხილეთ ჯგუფებში და უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს:<br>*1. რატომ არის მნიშვნელოვანი ყველამ იცოდეს მისი უფლებები და მოვალეობები?*<br>*2. რა უზრუნველყოფს შენს და შენ გარშემო ადამიანების უფლებების დაცვას?*<br>*3. რას შეცვლიდი და რატომ?*<br>*4. რატომ არის მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობის გააზრება, სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებისათვის?*<br>*5. სად ჩანს სახელმწიფოს დამოკიდებულება მოქალაქის მიმართ, სად და როგორ ვლინდება ის?*<br>*6. რატომ არის მნიშვნელოვანი და როგორ ვიურთიერთოთ პრობლემის შემთხვევაში სახელმწიფო ინტიტუციებთან/სოციალურ ჯგუფებთან?*<br>**აქტივობა 2**<br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** წინასწარ მოამზადეთ მატერიალური ან ელექტრონული ფორმით მოცემული სქემა №1 (გვ. 8) ორ ეგზემპლიარად, დაურიგეთ ჯგუფებს და სთხოვეთ ქეისების განხილვის შემდეგ სქემის ცალკეული უჯრა თანმიმდევრობის დაცვით შეავსონ.<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** გადაიტანე რვეულში სქემა 1 (გვ. 8) და შეავსე ცალ-ცალკე ორივე ქეისიდან გამომდინარე.<br>**აქტივობა 3**<br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** სთხოვეთ მოსწავლეებს წაიკითხონ „მნიშვნელოვანი საკითხები“ (გვ. 8), წინასწარ გააცანით ინსტრუქცია: წაკითხვის შემდეგ ყველა მოსწავლემ ფერად ფურცელზე დაწეროს სამართლებრივი სახელმწიფოს მინიმუმ ერთი მახასიათებელი. შეკრიბეთ ეს ფურცლები და განათავსეთ ერთ ფლიფჩარტზე. დააკვირდნენ მოსწავლეები ერთად შეკრებილ წესებს და დაუკავშირონ მათ რეალურ ცხოვრებას.<br>**აქტივობა 4**<br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** წაიკითხე წყარო 1, (გვ. 10) გაანალიზე და უპასუხე შეკითხვებს:<br>1. რა როლს ასრულებს კანონი ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით?<br>2. რა შემთხვევაში კარგავს კანონი თავის მთავარ ფუნქციას, დაიცვას ადამიანის უფლებები?<br>3. რატომ არის მნიშვნელოვანი კანონის წინაშე თანასწორობა?<br>4. რა პრობლემების წინაშე დადგება სახელმწიფო, თუ არ იქნება ქვეყანაში აღიარებული კანონის უზენაესობა? | და სახელმწიფოს სამართლებრივი ურთიერთობებისთვის? რა მოთხოვნილებები განსაზღვრავს მათ არსებობას?(1.2)<br>• არის თუ არა მნიშვნელოვანი სახელმწიფოში არსებობდეს სხვადასხვა ინსტიტუცია და რატომ?(3)<br>• შეუწყობს თუ არა ხელს სხვა ადამიანებთან, ჯგუფებთან და ინსტიტუტებთან ურთიერთობას სამართლებრივი წესების კრებული და როგორ? მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები. (2.3)<br>• რატომ არის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი წესების კრებულის დაცვა და რა კავშირი ექნება მას სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებასთან?(1.2)<br>• მნიშვნელოვანი იქნება თუ არა ასერტულობის უნარის ფლობა კუნძულზე მცხოვრებლებისთვის ერთმანეთთან თანამშრომლობისა და ჯანსალი კომუნიკაციისთვის და რატომ? (4) |

**ინსტრუქცია მოსწავლეს:** ილიას პუბლიცისტურ წერილზე დაყრდნობით შექმენი სამართლებრივი წესების მინიკრებული, რომელიც მიმართული იქნება ილიასდროინდელი საქართველოს რეალობაზე. დაუკავშირე წინა აქტივობაზე შეკრებილი წესები და ილიას წერილის განხილვისას გამოკვეთილი წესები ერთმანეთს. იმსჯელე და შეაფასე მათი აუცილებლობა და მნიშვნელობა.



**ჯგუფური მუშაობა --- პრაქტიკული რჩევები**
მოსწავლეებს სთხოვეთ იმუშაონ ჯგუფებში და ყურადღება გაამახვილონ შემდეგ საკითხებზე:
- დაფიქრდით და გაითვალისწინეთ, რა მიზნით და ვისთვის ქმნით სამართლებრივი წესების კრებულს;
- დაფიქრდით გჭირდებათ თუ არა სამართლებრივი წესების კრებულის შესადგენად დამხმარე პრაქტიკული მასალა;
- შეადგინეთ სამართლებრივი წესების კრებულის გეგმა;
- განიხილეთ ჯგუფებში.

რეკომენდაცია მასწავლებელს:
რეკომენდაცია მასწავლებელს: დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლე მზაობითაა კომპლექსური დავალების პროდუქტის შესაქმნელად.
მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა დაინახონ, რომ ხშირად ინდივიდუალურად მიღებული გადაწყვეტილებები განსხვავდება საზოგადოებაში მიღებული გადაწყვეტილებებისგან და სწორედ მოქალაქედ ჩამოყალიბების მანიშნებელია ის, რომ პიროვნება გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ.

**კომპლექსური დავალების წარდგენა** საერთო საკლასო მუშაობის ფონზე:
- მასწავლებელი ამზადებს მსმენელის დღიურს და აცნობს კლასს. უხსნის, რომ წარდგენისას, მსმენელები მოუსმენენ თითოეულ პრეზენტატორს და თან ე.წ. მსმენელის დღიურში ჩაინიშნავენ სათქმელს.

**მსმენელის დღიური:**

- რაში ვეთანხმები გამომსვლელს?
- რა შევამჩნიე პრეზენტაციის დროს ისეთი, რაზეც არ უსაუბრია გამომსვლელს?
- ან პირიქით, რა ისეთ დეტალზე ილაპარაკა, რომელსაც მე არ მივაქციე ყურადღება? **განსაკუთრე**

**ბული ყურადღება იქნება გამახვილებული შემდეგ ნიუანსებზეც:**

- კომპლექსურ დავალებაზე ერთობლივად მუშაობის დროს რა საერთო მიზანი, საზრუნავი და ინტერესი გვაერთიანებდა?
- გაგვიჭირდა თუ არა ურთიერთშეთანხმება? რა გზებით და საშუალებებით მივაღწიეთ საბოლოო მიზანს?
- განიცადა თუ არა ცვლილება ჩვენმა შეხედულებებმა საკითხზე, შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს საკუთარ გარემოში პოზიტიური ცვლილებების განხორციელება?
- რას შეცვლიდით მომავალში სხვა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში და წარდგენისას?

**შეაფასე შენი ნამუშევარი და გამოკვეთე:**

- იყო თუ არა ეს საკითხი ჩემთვის საინტერესო და რატომ?
- გამომადგება თუ არა მომავალში, რა გამოცდილებაც შევიძინე და რა არის ასეთი კონკრეტულად?
- რა დამეხმარა კომპლექსური დავალების შესრულებაში ყველაზე მეტად?

<table>
<tr><td colspan="3">საგანი და სამიზნე ცნება – სოციალიზაცია<br>საკითხი – როგორ ატარებს სახელმწიფო თანასწორობასა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ სახელმწიფო პოლიტიკას?</td></tr>
<tr><td>სამიზნე ცნება კრიტერიუმი</td><td colspan="2">1. სამიზნე ცნება</td></tr>
<tr><td>აბსტრაქტული დონე<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.</td><td colspan="2">აღწერილობა კომენტარი<br>მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ რამდენიმე/ყველა სამიზნე ცნებაზე.<br>მოსწავლე ასახელებს ყველა იმ მნიშვნელოვან წესს, რომელიც საჭიროა საზოგადოებასა და სახელმწიფოს ურთიერთთანამშრომლობისთვის. ასევე ჩამოთვლის სამართლებრივი საზოგადოების მახასიათებლებს, ასევე ასაბუთებს არგუმენტების საფუძველზე, თუ რატომ არის ეს წესები მნიშვნელოვანი; მსჯელობს, თუ როგორ ატარებს სახელმწიფო თანასწორობასა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ სახელმწიფო პოლიტიკას. მისი მსჯელობა სტრუქტურირებულია, ლოგიკური, მიზეზ-შედეგობრივი და ყოველი ასპექტი ურთიერთმიმართებული ერთმანეთზე.<br>აფასებს და წარმოადგენს საკუთარ დამოკიდებულებებს, თუ რატომ არის ეს თანამშრომლობა ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანი. მოსწავლის მსჯელობაში მოყვანილია ბევრი პრაქტიკული მაგალითი რეალური ცხოვრებიდან და მის მსჯელობაში იკვეთება ცალკეული ცნების მიმართულებით შინაარსობრივი კონცეპტები, რომ სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი კანონის უზენაესობის დაცვაა, ასახელებს და აკავშირებს სამართლებრივ დოკუმენტს, კონსტიტუციას მის მიერ მოყვანილ მაგალითებთან, ასევე მსჯელობს ამ თანამშრომლობისთვის, რომ აუცილებელია აქტიური სამოქალაქო საზოგადოება; მსჯელობს ორივე მხარის პასუხისმგებლობაზე, ინიციატივებზე, რომელიც მიმართული იქნება დემოკრატიული პროცესების მდგრადობისკენ.</td></tr>
<tr><td>მიმართებითი დონე<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.</td><td>აღწერილობა<br>მოსწავლე ასახელებს ყველა იმ მნიშვნელოვან წესს, რომელიც საჭიროა საზოგადოებასა და სახელმწიფოს თანამშრომლობისთვის. ასევე ჩამოთვლის სამართლებრივი საზოგადოების მახასიათებლებს. ასევე, არგუმენტების საფუძველზე ასაბუთებს თუ რატომ არის ეს წესები მნიშვნელოვანი, მსჯელობს თუ როგორ ატარებს სახელმწიფო თანასწორობასა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ სახელმწიფო პოლიტიკას. მისი მსჯელობა სტრუქტურირებულია, ლოგიკური, მიზეზ-შედეგობრივი და ყოველი ასპექტი ურთიერთმიმართებული ერთმანეთზე.<br>თუმცა უჭირს შეფასება, განზოგადება არგუმენტების მოშველიებით, თუ რატომ არის ეს თანამშრომლობა ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანი.</td><td>კომენტარი<br>მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს განმავითარებელ კომენტარს ზუსტი და მკაფიო აღწერილობით. ის ძირითადად ეფუძნება შეფასების კრიტერიუმებს, მოსწავლის პასუხიდან გამომდინარე რეკომენდაციებს აძლევს დარჩენილ კრიტერიუმებზე, რომელიც მისი ყურადღების მიღმა დარჩა.<br>მაგ.: შენ არაჩვეულებრივად გაართვი თავი დავალებას. შენ მიერ შექმნილ კრებულში გამოკვეთილია კრიტერიუმები:<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი ის წესები და ნორმები, რომელიც სჭირდება საზოგადოებას და სახელმწიფოს სამართლებრივი ურთიერთობებისათვის? რა მოთხოვნილებები განსაზღვრავს მათ არსებობას?<br>• გააანალიზე და იმსჯელე სამართლებრივი საზოგადოების მახასიათებლებზე?<br>• როგორ ატარებს სახელმწიფო თანასწორობასა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ სახელმწიფო პოლიტიკას?<br>• რატომ არის საზოგადოების კეთილდღეობის პირობა ინდივიდების განვითარებაზე ზრუნვა?<br>თუმცა, ნაკლებად ჩანს აქცენტი შემდეგ კრიტერიუმზე* შეაფასეთ რატომ არის ეს თანამშრომლობა ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანი?</td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| | | იქნებ გეცადა დაგესახელებინა, ამოგეცნო საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებიდან, მოსმენილიდან, წაკითხულიდან, რა მნიშვნელობა აქვს თანამშრობლობას სამართლებრივი ნორმების დაცვით საზოგადოებისთვის და სახელმწიფოსთვის? |
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | **აღწერილობა**<br>მოსწავლე ასახელებს რამდენიმე წესს, ასევე ჩამოთვლის სამართლებრივი საზოგადოების რამდენიმე მახასიათებელს, თუმცა ისინი ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში არ არის. იკვეთება უსისტემო მსჯელობა.<br>მოსწავლეს ვერ მოჰყავს არგუმენტები, თუ როგორ ატარებს სახელმწიფო თანასწორობასა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ სახელმწიფო პოლიტიკას. ვერ აკეთებს დასკვნებს კონკრეტული არგუმენტებით, თუ რატომ არის ეს თანამშრომლობა ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანი. | **კომენტარი**<br>მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს განმავითარებელ კომენტარს ზუსტი და მკაფიო აღწერილობით. ის ძირითადად ეფუძნება შეფასების კრიტერიუმებს, მოსწავლის პასუხიდან გამომდინარე რეკომენდაციებს აძლევს დარჩენილ კრიტერიუმებზე, რომელიც მისი ყურადღების მიღმა დარჩა.<br>მაგ.: შენ სწორად გაიგე დავალების პირობა. პარაგრაფში მოცემული მასალაც წაგიკითხავს და დავალებასთან დაგიკავშირებია, თუმცა, გთხოვ დავალებაში ხაზგასმით გამოკვეთო არგუმენტები, თუ როგორ ატარებს სახელმწიფო თანასწორობასა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ სახელმწიფო პოლიტიკას. ჩამოაყალიბე დასკვნები კონკრეტული არგუმენტებით, თუ რატომ არის ეს თანამშრომლობა ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანი. |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | **აღწერილობა**<br>მოსწავლემ შეასრულა დავალების პირობა, შეექმნა სამართლებრივი წესების ჩამონათვალი, თუმცა პროდუქტი არ აკმაყოფილებს კრებულის მოთხოვნებს. მოსწავლე ასახელებს მხოლოდ ერთ წესს, რომელიც სჭირდება საზოგადოებას და სახელმწიფოს სამართლებრივი ურთიერთობებისათვის, თუმცა ამ წესის ჩამოყალიბებისას მოსწავლეს არასტრუქტურირებული წარმოდგენა აქვს. | **კომენტარი**<br>მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს განმავითარებელ კომენტარს ზუსტი და მკაფიო აღწერილობით. ის ძირითადად ეფუძნება შეფასების კრიტერიუმებს, მოსწავლის პასუხიდან გამომდინარე რეკომენდაციებს აძლევს იმ კრიტერიუმებზე, რომელიც ვერ დაძლია.<br>მაგ.: კარგია, რომ სწორად გაიგე დავალების პირობა, თუმცა, კარგი იქნებოდა გაკვეთილზე ამ საკითხის განხილვის დროს ჩაგენიშნა მნიშვნელოვანი დასკვნები, რომელიც პროდუქტის შექმნაში დაგეხმარებოდა. გთხოვ, ყურადღებით წაიკითხო სასწავლო მასალა და ნაშრომში წარმოადგინო, თუ როგორ ატარებს სახელმწიფო თანასწორობასა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. ასევე გთხოვ ელ. რესურსი/ლინკი გახსნა და გაეცნო, თუ როგორ მზადდება კრებული. |
| **პრესტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | **აღწერილობა**<br>მოსწავლემ ვერ გაიგო დავალების პირობა, არ აქვს შექმნილი პროდუქტი-სამართლებრივი წესების კრებული, ასევე მასწავლებლის დასმულ შეკითხვებზე, რომელიც კონკრეტულ საკითხს მიემართება – თანასწორობასა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ სახელმწიფო პოლიტიკას – არარელევანტურ პასუხს სცემს. | **კომენტარი**<br>მასწავლებელი კიდევ ერთხელ უხსნის, რას მოიაზრებდა პროდუქტი და ასევე უთითებს რესურსებს და კონკრეტულ ნაბიჯებს, რომელიც დაეხმარება საკითხის არსის დაძლევაში.<br>მაგ.: გაიხსენე, რა გსმენია სახელმწიფოსა და საზოგადოების თანამშრომლობის შესახებ? მოიძიე დამატებითი ინფორმაცია ან დაფიქრდი, საიდან შეიძლება გაიგო უფრო მეტი.<br>გაიხსენე შემთხვევა, როდესაც შენმა ოჯახმა ან ნაცნობებმა კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად მიმართეს სახელმწიფოებრივ ინსტიტუციებს.<br>შეეცადე დავალება ამ ორი ფაქტორის გათვალისწინებით შეასრულო. |

| სამიზნე ცნება და ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები | საკითხი/საკითხები | საკვანძო შეკითხვა/საკვანძო შეკითხვები | კომპლექსური დავალება/დავალებები შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები |
|---|---|---|---|
| | რატომ და როგორ იქმნება კონსტიტუცია?<br>**მოსწავლის წიგნი §1.2.** | | |
| | **ქვეცნება/ქვეცნებები:**<br>• სამართლებრივი კულტურა;<br>• კანონშემოქმედებითობა, კანონიერება;<br>• სოციალური წესრიგი;<br>• ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება;<br>• სახელმწიფო, სამართალი და საზოგადოება; | • რატომ არის კონსტიტუციის ცოდნა მნიშვნელოვანი?<br>• როგორ უნდა გამოვიყენოთ პრაქტიკაში კონსტიტუცია?<br>• არის თუ არა სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების საფუძველი სამართლებრივად მოაზროვნე საზოგადოება?<br>• რა გზებითა და საშუალებებით შემიძლია ჩავერთო საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში? | |
| **დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები), შედეგები:**<br>**საბაზო საფეხური: 3, 4, 13.**<br>1. ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით;<br>2. ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს; | **კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები):**<br>**ტაპი 1.** კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია).<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> *<u>რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?</u>*<br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** დეტალურად გააცანით მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და შეთანხმდით ვადებზე, თუ რა დროის განმავლობაში უნდა შესრულდეს კომპლექსური დავალების პროდუქტი. ასევე შეთანხმდით, თუ რა ფორმით მოხდება წარდგენა.<br>გადაამოწმე, ყველა მოსწავლემ სწორად გაიგო თუ არა კომპლექსური დავალების პირობა (დამაზუსტებელი და შემათანხმებელი ტიპის შეკითხვებით), შემდეგ კი მიზნობრივად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული კითხვები, რომელიც დაგეხმარებათ, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ თუ რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დაადასტურონ, თუ რა ისწავლეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით? ასევე დაგეხმარებათ კომპლექსური დავალების პროდუქტისთვის პრაქტიკული და ტექნიკური დეტალების დაზუსტებაში.<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** ყურადღებით მოუსმინე დასმულ შეკითხვებს და შეეცადე უპასუხო თითოეულ მათგანს:<br>• თუ გინახავს წესების კრებული ან დოკუმენტი?<br>• რა მიზნით არის ის შექმნილი?<br>• რა სტილი და სტრუქტურა აქვს მსგავსი წესების კრებულს?<br>• გაიხსენე პირადი შემთხვევები და მაგალითები. | | **A ვარიანტი**<br>კანონშემოქმედებით პროცესში საზოგადოების აქტიური ჩართულობის ერთ-ერთი ძირითადი შემაფერხებელი გარემოება მოქალაქეთა არაინფორმირებულობაა. ყველა მოქალაქე ვალდებულია აქტიურად იყოს ჩართული კანონშემოქმედებით პროცესში. თანამედროვე სამყაროში საკანონმდებლო ხელისუფლების საქმიანობის საჯაროობა და მასში საზოგადოების აქტიური ჩართულობა დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს. შენ, როგორც აქტიურმა მოქალაქემ და ბლოგერმა, გადაწყვიტე დაწერო **არგუმენტირებული ესე** სახელწოდებით |

3. დემოკრატიულ საზოგადოებაში/სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა;
4. დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, ხელისუფლების დანაწილება, სამართლიანი არჩევნები, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს.

**ეტაპი 2.** კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა. სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება.
საკვანძო შეკითხვა: *როგორ შევასრულო მოცემული დავალება?*

**აქტივობა 1.** დაწერეთ დაფაზე წინასწარ და გააანალიზებინეთ მოსწავლეებს კონსტიტუციაზე გამონათქვამი, რომელიც წარმოდგენილია №2 გაკვეთილის დასაწყისში. გამოთქმული მოსაზრებები დაწერეთ დაფაზე და მოგვიანებით ის დაუკავშირეთ №2 აქტივობას.

**აქტივობა 2.**
სთხოვეთ მოსწავლეებს წაიკითხონ ამბავი1 (გვ. 13) და იმსჯელონ, გამოკვეთონ პრობლემა, გამომწვევი მიზეზები და დასახონ პრობლემის გადაჭრის გზები.
უპასუხეთ კითხვებს:
1. რა არის წესების შექმნის მიზანი?
2. ვინ ქმნის (წერს) წესებს?
3. რას უზრუნველყოფს შექმნილი/დაწერილი წესები?
4. როგორ იქმნება წესები?

**აქტივობა 3.**
წაიკითხე რუბრიკა – „მნიშვნელოვანი საკითხები“ (გვ. 14), გააანალიზეთ ტექსტი.
ყურადღება გაამახვილეთ კონსტიტუციის შინაარსზე, ფორმებსა და ვადებზე, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროცედურებზე. აქვე შეავსეთ ცხრილი.

| კონსტიტუციის შინაარსი | კონსტიტუციის ფორმები | კონსტიტუციის ვადები | ცვლილებები კონსტიტუციაში |
|---|---|---|---|
| | | | |

**რეკომენდაცია მასწავლებელს:** მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს ალმოაჩენინოთ კავშირი კონსტიტუციას, სახელმწიფოს, საზოგადოებასა და მოქალაქეს შორის. შესაძლოა, მეტი თვალსაჩინოებისათვის ეს ცხრილი, მოსწავლეთა მოსაზრებებზე დაყრდნობით შეავსოთ დაფაზე და შემდეგ კითხვებით მოსწავლეებსვე განაზოგადებინოთ.

**აქტივობა 4**
მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის გამოცდილება და საერთო – ეროვნული ქართული საწყისების გაცნობა.
სთხოვეთ მოსწავლეებს წაიკითხონ რუბრიკა „ეს საინტერესოა“ (გვ. 16). შეავსონ სქემა, სადაც ჩამოწერენ რომელი ორგანიზაციები, ინსტიტუციები მონაწილეობდნენ კონსტიტუციის შექმნაში?

***„ელექტრონული ჩართულობის განვითარება კანონშემოქმედებით პროცესებში“***,რომლის მიზანია საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ფორმით შეუძლიათ მოქალაქეებს მიიღონ მონაწილეობა კანონშემოქმედებით პროცესში.

**ესეში/ესეს პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**
- რა ფუნქციას ასრულებს კანონი და რა მნიშვნელობა აქვს მას დემოკრატიზაციის პროცესში სახელმწიფოსთვის და საზოგადობისთვის?(4)
- რატომ უნდა იყოს კონსტიტუციის შექმნაში საზოგადოების ფართო წარმომადგენლობა ჩართული?(1)
- არის თუ არა სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების საფუძველი სამართლებრივი და მოაზროვნე საზოგადოება?(4)
- რა გზებითა და საშუალებებით შემიძლია ჩავერთო საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში?(2)




მოსწავლეები შეაჯამებენ თავიანთ მოსაზრებებს და მთავარ თეზისებს, რომ დემოკრატიაში უპირველესი ხალხის ნების უზენაესობაა, რომ კონსტიტუცია მათი ნების სამართლებრივი გამოხატულებაა, რომ კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების საერთო-სახალხო განხილვებში მოქალაქეთა მონაწილეობის მაგალითებია საჭირო. მოსწავლეები გაიაზრებენ, რომ დემოკრატია არის სისტემა, სადაც ხალხი ადგენს წესებს (კანონებს), რომლებსაც შემდეგ თვითონვე ემორჩილება.

**ქტივობა 5**
მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს და აანალიზებს კონსტიტუციის მეორე თავს, ადამიანის უფლებები, კერძოდ, №28 და №29 მუხლებს. სთხოვს მოსწავლეებს, ამ მუხლებზე დაყრდნობით ჯგუფებში მოიფიქრონ პრობლემური სიტუაცია, შემთხვევა, ქეისი, ამბავი, სადაც სწორედ ამ მუხლების გამოყენებას შეძლებენ პრობლემის გადასაჭრელად. მასწავლებელი აწვდის მაპროვოცირებელ ამონარიდს მიმართულების მისაცემად, სავარაუდო თეზისებს, რომელზეც უნდა აიგოს ეს დავალება.

> *ყველა ადამიანს აქვს კონსტიტუციური უფლება ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში ცხოვრობდეს. ასევე აქვს უფლება გამოითხოვოს ინფორმაცია ამ გარემოს უსაფრთხოობის შესახებ და ვალდებულება იზრუნოს მასზე.*

**ჯგუფური მუშაობა – პრაქტიკული რჩევები**
მოსწავლეებს სთხოვეთ იმუშაონ ჯგუფებში და ყურადღება გაამახვილონ შემდეგ საკითხებზე:
- დაფიქრდით და გაითვალისწინეთ, რა მიზნით და ვისთვის ქმნით ესეს;
- დაფიქრდით, გჭირდებათ თუ არა ესეს შესაქმნელად დამხმარე პრაქტიკული მასალა;
- შეადგინეთ ესეს გეგმა;
- განიხილეთ ჯგუფებში;

**რეკომენდაცია მასწავლებელს:** დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლე მზაობითაა კომპლექსური დავალების პროდუქტის შესაქმნელად.

**B ვარიანტი**
როგორც ვიცით, კონსტიტუცია განსაზღვრავს სახელმწიფოს მოდელს და მის მომავალს და პასუხს სცემს კითხვას, როგორი სახელმწიფო უნდა აშენდეს? ის არის „სახელმწიფოს შენებისა და განვითარების“, პოლიტიკური წყობილების მოდელის განმსაზღვრელი. წარმოიდგინე, რომ მიწვეული ხარ დემოკრატიულ სახელმწიფოთა საერთაშორისო ფორუმზე, სადაც მიწვეულია სამართლებრივი სახელმწიფოს დელეგატები: ერთ-ერთი მათგანი ხარ შენ, საერთო კრებაზე უნდა წარმოადგინო **საჯარო სიტყვა ან ესე** და დამსწრე აუდიტორიას უნდა გააცნო და დაუდასტურო მტკიცებულებებით, საქართველოს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს არსი, რომლის სახელმწიფო პოლიტიკა ნამდვილად ეფუძნება კონსტიტუციას და უნდა წარმოადგინო სამოქალაქო საზოგადოების პრაქტიკული მაგალითები, სადაც მკაფიოდ ჩანს, თუ როგორ ხდება ყოფით პრაქტიკაში კონსტიტუციის გამოყენება.

| | | |
|---|---|---|
| | **კომპლექსური დავალების წარდგენა**<br>საერთო საკლასო მუშაობის ფონზე:<br>• მასწავლებელი ამზადებს მსმენელის დღიურს და აცნობს კლასს. უხსნის, რომ წარდგენისას, მსმენელები მოუსმენენ თითოეულ პრეზენტატორს და თან ე.წ. მსმენელის დღიურში ჩაინიშნავენ სათქმელს.<br><br>**მსმენელის დღიური:**<br>• რაში ვეთანხმები გამომსვლელს?<br>• რა შევამჩნიე პრეზენტაციის დროს ისეთი, რაზეც არ უსაუბრია გამომსვლელს?<br>• ან პირიქით, რა ისეთ დეტალზე ილაპარაკა, რომელსაც მე არ მივაქციე ყურადღება?<br><br>**განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული შემდეგ ნიუანსებზეც:**<br>• კომპლექსურ დავალებაზე ერთობლივად მუშაობის დროს რა საერთო მიზანი, საზრუნავი და ინტერესი გვაერთიანებდა?<br>• გაგვიჭირდა თუ არა ურთიერთშეთანხმება? რა გზებით და საშუალებებით მივაღწიეთ საბოლოო მიზანს?<br>• განიცადა თუ არა ცვლილება ჩვენმა შეხედულებებმა საკითხზე, შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს საკუთარ გარემოში პოზიტიური ცვლილებების განხორციელება?<br>• რას შეცვლიდი მომავალში სხვა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში და წარდგენისას?<br><br>**შეაფასე შენი ნამუშევარი და გამოკვეთე:**<br>• იყო თუ არა ეს საკითხი ჩემთვის საინტერესო და რატომ?<br>• გამომადგება თუ არა მომავალში, რა გამოცდილებაც შევიძინე და რა არის ასეთი კონკრეტულად?<br>• რა დამეხმარა კომპლექსური დავალების შესრულებაში ყველაზე მეტად? | **ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>• კონსტიტუციის მნიშვნელობა სახელმწიფოსთვის, საზოგადოებისათვის? (4)<br>• დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები. დააკავშირე ის კანონის უზენაესობასთან.(2.3)<br>• რატომ უნდა იქნეს საზოგადოების კონსესუსის შედეგად მიღებული კონსტიტუცია?(1)<br>• რატომ უნდა იყოს კონსტიტუციის შექმნაში საზოგადოების ფართო წარმომადგენლობა ჩართული?(2) |

<table>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td>
<td>საკითხი/საკითხები<br>რატომ ვმონაწილეობ არჩევნებში?<br>მოსწავლის წიგნი §1.3.</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/საკვანძო შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება/დავალებები შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ქვეცნებები:<br>•სამართლიანობა;<br>•თანასწორობა;<br>•გამჭვირვალობა;<br>•თავისუფლება და პასუხისმგებლობა;<br>•გენდერი;<br>•აქტიური მოქალაქეობა;</td>
<td>• რატომ და როგორ უნდა მივიღო მონაწილეობა არჩევნებში?</td>
</tr>
<tr>
<td>დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)<br>შედეგები:<br>საბაზო საფეხური: 3, 4, 13.<br>1. ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით;<br>2. ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს;</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები):<br>ტაპი 1. კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია).<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?<br>რეკომენდაცია მასწავლებელს: დეტალურად გააცანით მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და შეთანხმდით ვადებზე, თუ რა დროის განმავლობაში უნდა შესრულდეს კომპლექსური დავალების პროდუქტი. ასევე შეთანხმდით, თუ რა ფორმით მოხდება წარდგენა.<br>გადაამოწმე, ყველა მოსწავლემ სწორად გაიგო თუ არა კომპლექსური დავალების პირობა (დამაზუსტებელი და შემათანხმებელი ტიპის შეკითხვებით), შემდეგ კი მიზნობრივად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული კითხვები, რომელიც დაგეხმარებათ, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ თუ რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დაადასტურონ, თუ რა ისწავლეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით? ასევე დაგეხმარებათ კომპლექსური დავალების პროდუქტისთვის პრაქტიკული და ტექნიკური დეტალების დაზუსტებაში.<br>ინსტრუქცია მოსწავლეს: ყურადღებით მოუსმინე დასმულ შეკითხვებს და შეეცადე უპასუხო თითოეულ მათგანს:<br>1. როგორ ტარდება შენს სკოლაში თვითმმართველობის არჩევნები?<br>2. რატომ უნდა მივიღო მონაწილეობა თვითმმართველობის არჩევნებში?<br>ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა. სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება.<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> როგორ შევასრულო მოცემული დავალება?<br>აქტივობა 1:<br>სთხოვეთ მოსწავლეებს წაიკითხონ ამბავი 1. (გვ. 19) დაფიქრდნენ და უპასუხონ შეკითხვებს:</td>
<td>A ვარიანტი<br>წარმოიდგენე რომ ხარ პოლიტიკური პარტიის ლიდერი, არის წინასაარჩევნო პერიოდი და მიიღე მოწვევა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ინიცირებულ ფორუმზე, რომელიც ეძღვნება სამართლიან არჩევნებს და საკითხს – გენდერული თანასწორობის დაცვა არჩევნებში..<br>შეხვედრაზე ასევე იქნებიან შენი ოპონენტები და მასმედიის წარმომადგენლები. ეს არის წინასაარჩევნო კამპანიის ბოლო ღონისძიება და შენ გეძლევა შანსი დამაჯერებელი არგუმენტებით წარმოაჩინო შენი პერსონა და პოლიტიკური პარტია. ამისათვის კი საჭიროა, ამ შეხვედრისთვის მოამზადო და შექმნათ საჯარო სიტყვა.</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| 3. დემოკრატიულ საზოგადოებაში/ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა;<br>4. დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, ხელისუფლების დანაწილება, სამართლიანი არჩევნები, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს. | • რატომ არის მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობის გააზრება ყველა მოქალაქისთვის?<br>• რატომ მიიჩნევა არჩევნებში მონაწილეობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამოქალაქო პასუხისმგებლობად?<br>• უშლის თუ არა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას ცალკეულ მოქალაქეთა ნიჰილისტური დამოკიდებულება?<br>• რატომ უნდა იყოს თავისუფალი მოქალაქე არჩევანსა და ქმედებებში?<br><br>**აქტივობა 2**<br>სთხოვეთ მოსწავლეებს დააკვირდნენ სურათს (გვ. 21). ივარაუდონ, რა კითხვები შეიძლება ჰქონდეთ მათ თანატოლებს. გამოიყენეთ რუბრიკა „მნიშვნელოვანი საკითხები" (გვ. 20).<br>1. რატომ არის მნიშვნელოვანი არჩევნების პერიოდულობა?<br>2. რატომ არის არჩევნები ქვეყნის მართვაში მონაწილეობის ფორმა?<br>3. რატომ განსაზღვრავს არჩევნები ქვეყნის განვითარების კურსს?<br>4. რატომ არის მნიშვნელოვანი ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლა?<br><br>**აქტივობა 3**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** გაეცანი „მნიშვნელოვან საკითხებს" (გვ. 22) ყურადღება გაამახვილე არჩევნების ტიპებზე, არჩევნების ვადებზე, ვის ვირჩევთ და რას ნიშნავს აქტიური და პასიური უფლება. იმუშავეთ წყვილში და შექმენი შენი მეწყვილისთვის „სამახსოვრო მინიბარათი" მოცემულ მნიშვნელოვან საკითხებზე.<br><br><br>**აქტივობა 4**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** წაიკითხე ამბავი 2, (გვ. 23). განიხილე პრობლემა და იმსჯელე სახელმწიფოსა და საზოგადოების როლზე. პრობლემის გადაჭრის საკითხში, ქეისის განხილვაში დაგეხმარება მასალა წყარო 1, (გვ. 23). სქემაში მოცემულია პრინციპები. ამოიცანი, გადაიტანე რვეულში სქემა 1 (მასწ. წიგნი) და შემოხაზე რომელი პრინციპის დარღვევა გამოვლინდა ქეისში. | **საჯარო სიტყვაზე მუშაობისას და წარდგენისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>•როგორც მოქალაქეებმა, რატომ უნდა მივიღოთ არჩევნებში მონაწილეობა?(2, 4)<br>•რატომ არის მნიშვნელოვანი არჩევნების პერიოდულობა?(4)<br>•რატომ არის არჩევნები ქვეყნის მართვაში მონაწილეობის ფორმა?(2)<br>•რატომ და როგორ განსაზღვრავს არჩევნები ქვეყნის განვითარების კურსს?(4)<br>•ადამიანის რომელი უფლება/უფლებები შეიძლება დაირღვეს არჩევნების გაყალბების დროს?(1, 2)<br>•რატომ არის მნიშვნელოვანი გენდერული თანასწორობის დაცვა არჩევნებში?(4)<br>•სახელმწიფოში არსებული ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმები/საშუალებები არჩევნების დროს.(2)<br><br>**B ვარიანტი**<br><br>დემოკრატია და სამართლიანობა ძლიერი სახელმწიფოს შექმნის წინაპირობაა. თავისუფალი არჩევანისა და სამართლიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემდეგ მიიღწევა დემოკრატია. სამართლიანი არჩევნები დემოკრატიული განვითარების პროცესის უმთავრესი შემადგენელი ნაწილია. არჩევნებით განისაზღვრება საზოგადოებისა და მთლიანად ქვეყნის მომავალი. წარმოიდგინე რომ ხართ-ჟურნალისტი და დაგევალა არჩევნების შესახებ დაწერო **300 სიტყვისგან შემდგარი სტატია,** სახელწოდებით „რატომ და როგორ უნდა მივიღოთ მონაწილეობა არჩევნებში"? |



სქემა 1.

თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა.

**აქტივობა 5**
წყარო 2. (გვ. 25) წაიკითხე და იმსჯელე შეკითხვაზე:

***<u>რატომ იყო მნიშვნელოვანი XX საუკუნეებში ქალის მონაწილეობა და გამარჯვება არჩევნებში?</u>***

**რეკომენდაცია მასწავლებელს:** მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მოსწავლეს ყურადღება გაამახვილებინოს, რომ დემოკრატიის შექმნა თითოეული ადამიანის მონაწილეობით/ჩართულობითაა შესაძლებელი, რომ ეს მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალურია არჩევნების დროს, თანაც ყოველ მათგანს, ქალი იქნება თუ კაცი, ამ პროცესში თანაბარი მონაწილეობის უფლება აქვს. განსაკუთრებით უნდა გამოკვეთოს ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობა საზოგადოებრივი საკითხების განხილვაში. ასევე, მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ საზოგადოებრივი საქმეების გადაჭრაში ქალებსა და კაცებს თანაბარი პასუხისმგებლობები გააჩნიათ და ისინი ერთად ქმნიან სამოქალაქო საზოგადოებას.

**ა**
**ქტივობა 7**

**რეკომენდაცია მასწავლებელს**: მიეცით მოსწავლეებს ინსტრუქცია, რომ კომპლექსურ დავალებამდე და მისი წარმატებით წარმოდგენისთვის ინდივიდუალურად შექმნან „რეკომენდაციების ფურცელი“, სადაც დაწერენ საკუთარ თვალსაზრისს, „რატომ უნდა მივიღოთ მონაწილეობა არჩევნებში?“
აუხსენით მოსწავლეებს, რომ თვალსაზრისის გამოხატვისას:
გამოკვეთონ მისი მოსაზრება;
ახსნან, რატომ ფიქრობენ ასე;
მოიყვანონ მოსაზრების დამადასტურებელი მაგალითები.

**სტატიაში/სტატიის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**

- რატომ არის არჩევნებში მონაწილეობის პასუხისმგებლობის გააზრება ყველა მოქალაქისთვის მნიშვნელოვანი?(2)
- უშლის თუ არა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას ცალკეულ მოქალაქეთა ნიჰილისტური დამოკიდებულება?(3,4)
- რატომ უნდა იყოს მოქალაქე თავისუფალი არჩევანსა და ქმედებებში?(1)
- რატომ არის მნიშვნელოვანი არჩევნების პერიოდულობა?(4)
- რატომ არის არჩევნები ქვეყნის მართვაში მონაწილეობის ფორმა?(1)
- რატომ განსაზღვრავს არჩევნები ქვეყნის განვითარების კურსს?(4)
- რატომ არის მნიშვნელოვანი ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლა?(4)

**ჯგუფური მუშაობა – პრაქტიკული რჩევები**
მოსწავლეებს სთხოვეთ იმუშაონ ჯგუფებში და ყურადღება გაამახვილონ შემდეგ საკითხებზე:
- დაფიქრდით და გაითვალისწინეთ, რა მიზნით და ვისთვის ქმნით საჯაროს სიტყვას/ინტერნეტსტატიას;
- დაფიქრდით, რა რესურსები დაგჭირდებათ ამ პროდუქტის შესაქმნელად?
- შეადგინეთ საჯარო სიტყვის/ინტერნეტსტატიის გეგმა;
- განიხილეთ ჯგუფებში.

**რეკომენდაცია მასწავლებელს:** დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლე მზაობითაა კომპლექსური დავალების პროდუქტის შესაქმნელად.
**კომპლექსური დავალების წარდგენა საერთო საკლასო მუშაობის ფონზე:**
- მასწავლებელი ამზადებს მსმენელის დღიურს და აცნობს კლასს. უხსნის, რომ წარდგენისას, მსმენელები მოუსმენენ თითოეულ პრეზენტატორს და თან ე.წ. მსმენელის დღიურში ჩაინიშნავენ სათქმელს.

**მსმენელის დღიური:**
- რაში ვეთანხმები გამომსვლელს?
- რა შევამჩნიე პრეზენტაციის დროს ისეთი, რაზეც არ უსაუბრია გამომსვლელს?
- ან პირიქით, რა ისეთ დეტალზე ილაპარაკა, რომელსაც მე არ მივაქციე ყურადღება?

**განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული შემდეგ ნიუანსებზეც:**
- კომპლექსურ დავალებაზე ერთობლივად მუშაობის დროს რა საერთო მიზანი, საზრუნავი და ინტერესი გვაერთიანებდა?
- გაგვიჭირდა თუ არა ურთიერთშეთანხმება? რა გზებით და საშუალებებით მივაღწიეთ საბოლოო მიზანს?
- განიცადა თუ არა ცვლილება ჩვენმა შეხედულებებმა საკითხზე, შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს საკუთარ გარემოში პოზიტიური ცვლილებების განხორციელება?
- რას შეცვლიდით მომავალში სხვა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში და წარდგენისას?

**შეაფასე შენი ნამუშევარი და გამოკვეთე:**
- იყო თუ არა ეს საკითხი ჩემთვის საინტერესო და რატომ?
- გამომადგება თუ არა მომავალში, რა გამოცდილებაც შევიძინე და რა არის ასეთი კონკრეტულად?
- რა დამეხმარა კომპლექსური დავალების შესრულებაში ყველაზე მეტად?

<table>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td>
<td>საკითხი/საკითხები<br>რატომ არის აუცილებელი ხელისუფლების დანაწილება და როგორ აბალანსებენ ხელისუფლების შტოები ერთმანეთს?<br>მოსწავლის წიგნი §1.4.</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/საკვანძო შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება/დავალებები<br>შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ქვეცნებები:<br>•კონტროლი და ბალანსი;<br>•თანამშრომლობის ფორმები;<br>•ობიექტურობა, სამართლიანობა;<br>•ოპერატიულობა, აქტუალობა.</td>
<td>•რატომ არის სახელისუფლებო შტოების დანაწილება და ბალანსი სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებელი პირობა?<br>•როგორ მონაწილეობენ მოქალაქეები ქვეყნის მართვაში?</td>
</tr>
<tr>
<td>დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)<br>შედეგები:<br>საბაზო საფეხური: 3, 4, 13.<br>1. ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით;<br>2. ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს;</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები):<br>ტაპი 1. კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია).<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?<br>რეკომენდაცია მასწავლებელს: დეტალურად გააცანით მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და შეთანხმდით ვადებზე, თუ რა დროის განმავლობაში უნდა შესრულდეს კომპლექსური დავალების პროდუქტი. ასევე შეთანხმდით, თუ რა ფორმით მოხდება წარდგენა.<br>გადაამოწმე, ყველა მოსწავლემ სწორად გაიგო თუ არა კომპლექსური დავალების პირობა (დამაზუსტებელი და შემათანხმებელი ტიპის შეკითხვებით), შემდეგ კი მიზნობრივად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული კითხვები, რომელიც დაგეხმარებათ, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ თუ რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დაადასტურონ, თუ რა ისწავლეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით? ასევე დაგეხმარებათ კომპლექსური დავალების პროდუქტისთვის პრაქტიკული და ტექნიკური დეტალების დაზუსტებაში.<br>ინსტრუქცია მოსწავლეს: ყურადღებით მოუსმინე დასმულ შეკითხვებს და შეეცადე უპასუხო თითოეულ მათგანს:<br>1. შენ უკვე იცი სკოლის სტრუქტურული ერთეულები, დაფიქრდი და უპასუხე შეკითხვებს: რატომ არის გადანაწილებული ფუნქცია-მოვალეობები სკოლაში სტრუქტურულ ერთეულებს შორის? განაპირობებს თუ არა ასეთი დაყოფის სტილი სკოლის ავტონომიურობას და დემოკრატიულობას?<br>2. როგორ ფიქრობ სახელმწიფოში თუ შეიძლება მსგავსი პრინციპით გადანაწილდეს ფუნქცია-მოვალეობები ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელებს შორის?<br>3. რატომ არ უნდა იყოს როგორც სკოლაში, ისე სახელმწიფოში ძალაუფლება ერთი პირის, მმართველის ხელში?</td>
<td>A ვარიანტი<br>წარმოიდგინე შენ ხარ გაზეთ GeoTimes-ის მთავარი რედაქტორი და წერ საგაზეთო სტატიას სახელწოდებით „ხელისუფლების დანაწილება და ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხი“. სტატია აგებული უნდა იყოს იმ ინტერვიუების საფუძველზე, რომელიც მიმართული იქნება შეკითხვებით შემდეგი რესპონდენტებისკენ: პრემიერ-მინისტრი, მოსამართლე და პარლამენტის თავჯდომარე (შემთხვევითობის პრინციპით გადანაწილდით ჯგუფებში, გაითავისეთ თქვენი სტატუსი და ჟურნალისტის და თანამდებობის პირების როლები). დაფიქრდი, რა შეკითხვებს დაუსვამდი თითოეულ მათგანს? შენ მიერ შემუშავებული სავარაუდო კითხვებისა და პასუხების საფუძველზე შექმენი საგაზეთო სტატია.</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| 3. დემოკრატიულ საზოგადოებაში/ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა;<br>4. დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, ხელისუფლების დანაწილება, სამართლიანი არჩევნები, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს. | **ეტაპი 2.** კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა. სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება.<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> *როგორ შევასრულო მოცემული დავალება?*<br><br>**აქტივობა 1**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** წაიკითხე ამბავი 1, (გვ. 27). გააანალიზე და უპასუხე კითხვებს:<br>1. სად ჩანს ქეისში დემოკრატიული მმართველობის პრინციპები?<br>2. სად ჩანს არადემოკრატიული მმართველობის პრინციპები?<br>3. როგორ განახორციელეს მოქალაქეებმა სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებზე გავლენის მოხდენა და სად ჩანს მათი ჩართულობა?<br>4. რატომ არის მნიშვნელოვანი ხელისუფლების დანაწილება მმართველ შტოებს შორის?<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** მოცემული ქეისის გაანალიზებით, მოსწავლეები უნდა მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ერთი ადამიანის ხელში თავმოყრილმა ძალაუფლებამ მიიყვანა ქვეყანა ავტორიტარულ რეჟიმამდე და სწორედ ამიტომაც, ძალაუფლება უნდა იყოს გადანაწილებული სხვადასხვა სტრუქტურას/შტოს შორის.<br><br>**აქტივობა 2**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** აქტივობა 2 (გვ. 29). გააანალიზე სქემა 1, ლეგენდის პირობითი ნიშნების მიხედვით და განსაზღვრე ხელისუფლების რომელი შტო ირჩევს წარმომადგენელს და რომელ ორგანოში? ხელისუფლების რომელი შტო ნიშნავს წარმომადგენელს და რომელ ორგანოში?<br><br>**აქტივობა 3**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** (გვ. 30) შეუსაბამე ხელისუფლების შტოების ფუნქციები, მოვალეობები ერთმანეთს სქემა I-ის მიხედვით და განსაზღვრე შტოების კონტროლისა და ბალანსის მექანიზმები.<br><br>**აქტივობა 4**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:**<br>წაიკითხე ამბავი 2 (გვ. 30) და უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:<br>1. რატომ ვერ მიიღო აღმასრულებელმა ხელისუფლებამ დამოუკიდებლად გადაწყვეტილება საქართველოში ვაქცინის შემოტანისა და მოსახლეობის აცრის შესახებ?<br>2. რატომ ითვლება ხელისუფლების დანაწილება დემოკრატიის ერთ-ერთ მთავარ განმაპირობებელ ფაქტორად?<br>3. არის თუ არა მოქალაქისთვის მნიშვნელოვანი, როგორ იმართება სახელმწიფო და რატომ? | **ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>• შესაძლო პრობლემები, რა მოხდებოდა, რომ არ ეარსება ხელისუფლების ცალკეულ შტოებს? (1.3)<br>• პრაქტიკული მაგალითები, ჩვენს ცხოვრებაზე ხელისუფლების დანაწილების გავლენის შესახებ? (2,4)<br>• ის სამართლებრივი დოკუმენტი/დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებს, როგორც ხელისუფლების ცალკეული შტოს უფლებამოსილებას, ასევე მათ შორის ურთიერთობებს? (3)<br>• დემოკრატიის მთავარი პრინციპის – ხელისუფლების დანაწილების ახსნა, ანალიზი და შეფასება.(4)<br><br>**B ვარიანტი**<br>წარმოიდგინე, რომ შენ ხარ პრემიერ-მინისტრი, დაბრუნდი წარსულში, გაიხსენე სტიქიური მოვლენა 2015 წ. 13 ივნისი და ეს სტიქიური უბედურება აირიდე თავიდან ხელისუფლების სამი შტოს თანამშრომლობით და მედიის დახმარებით. |

| | | |
|---|---|---|
| | **აქტივობა 5**<br>**რეკომენდაცია მასწავლებელს: ს**თხოვეთ მოსწავლეებს ჯგუფებში იმუშაონ იმ შეკითხვების მოსაფიქრებლად, რომელსაც დაუსვამდნენ სამივე შტოს წარმომადგენლებს. მოაწყვეთ შეკითხვების რანჟირება, განხილვა, ანალიზი და კიდევ ერთხელ შეახსენეთ მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პირობა, პროდუქტი, პროცედურები და სთხოვეთ, მიზნობრივად გამოიყენონ ეს სავარაუდო შეკითხვები ამ მიმართულებით.<br><br>**ჯგუფური მუშაობა – პრაქტიკული რჩევები**<br>მოსწავლეებს თხოვეთ იმუშაონ ჯგუფებში და ყურადღება გაამახვილონ შემდეგ საკითხებზე:<br>• დაფიქრდით და გაითვალისწინეთ, რა მიზნით და ვისთვის ქმნით სტატიას/სტრატეგიულ გეგმას;<br>• დაფიქრდით რა რესურსები დაგჭირდებათ სტატიის/სტრატეგიული გეგმის შესადგენად;<br>• შეადგინეთ სტატიის/სტრატეგიული გეგმის სავარაუდო მონახაზი.<br>• განიხილეთ ჯგუფებში.<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლე მზაობითაა კომპლექსური დავალების პროდუქტის შესაქმნელად.<br><br>**კომპლექსური დავალების წარდგენა** საერთო საკლასო მუშაობის ფონზე:<br>• მასწავლებელი ამზადებს მსმენელის დღიურს და აცნობს კლასს. უხსნის, რომ წარდგენისას, მსმენელები მოუსმენენ თითოეულ პრეზენტატორს და თან ე.წ. მსმენელის დღიურში ჩაინიშნავენ სათქმელს.<br>**მსმენელის დღიური:**<br>• რაში ვეთანხმები გამომსვლელს?<br>• რა შევამჩნიე პრეზენტაციის დროს ისეთი, რაზეც არ უსაუბრია გამომსვლელს?<br>• ან პირიქით, რა ისეთ დეტალზე ილაპარაკა, რომელსაც მე არ მივაქციე ყურადღება?<br>**განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული შემდეგ ნიუანსებზეც:**<br>• კომპლექსურ დავალებაზე ერთობლივად მუშაობის დროს რა საერთო მიზანი, საზრუნავი და ინტერესი გვაერთიანებდა?<br>• გაგვიჭირდა თუ არა ურთიერთშეთანხმება? რა გზებით და საშუალებებით მივაღწიეთ საბოლოო მიზანს?<br>• განიცადა თუ არა ცვლილება ჩვენმა შეხედულებებმა საკითხზე, შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს საკუთარ გარემოში პოზიტიური ცვლილებების განხორციელება?<br>• რას შეცვლიდით მომავალში სხვა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში და წარდგენისას?<br>**შეაფასე შენი ნამუშევარი და გამოკვეთე:**<br>• იყო თუ არა ეს საკითხი ჩემთვის საინტერესო და რატომ?<br>• გამომადგება თუ არა მომავალში, რა გამოცდილებაც შევიძინე და რა არის ასეთი კონკრეტულად?<br>• რა დამეხმარა კომპლექსური დავალების შესრულებაში ყველაზე მეტად? | დასახე გეგმა, როგორ აირიდებდი თავიდან ამ საფრთხეს.შექმენი **სტრატეგიული გეგმა,** რომელიც აგებული იქნება რისკების შემცირებაზე, ხელისუფლების შტოების ბალანსირებულ თანამშრომლობაზე.<br>**ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>•რატომ და როგორ უნდა ზრუნავდეს სახელმწიფო საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობაზე და მათთვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე?(1,2)<br>•როგორ უნდა იცავდეს სახელმწიფო სტიქიური უბედურებების დროს თავის მოქალაქეებს?(3)<br>•რატომ და როგორ უნდა ვიზრუნოთ გარემოსდაცვითი მიმართულებით (კანონიერად) ჩვენს რეგიონში არსებული მდგომარეობის გაუჯობესებაზე?(4)<br>•შეგიძლიათ თუ არა შეცვალოთ არსებული მდგომარეობა კატასტროფების თავიდან ასაცილებლად ხელისუფლებასთან თანამშრომლობით და როგორ?(4) |

<table>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td>
<td>საკითხი/საკითხები<br>რატომ და როგორ უნდა ვაკონტროლოთ ხელისუფლება?<br>მოსწავლის წიგნი §1.5.</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/საკვანძო შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება/დავალებები<br>შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ქვეცნებები:<br>•აქტიური მოქალაქეობა;<br>•ანგარიშვალდებულება;<br>•პასუხისმგებლობა;<br>•თანამშრომლობა.</td>
<td>•რატომ და როგორ უნდა ვაკონტროლოთ ხელისუფლება?</td>
</tr>
<tr>
<td>სამოქალაქო მონაწილეობა.<br>შედეგები:<br>საბაზო საფეხური:<br>8, 9, 12 ,13.<br>1. დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება;<br>2. სამოქალაქო მონაწილეობა საზოგადოებრივ საჭიროებებზე/ქვეყანაზე ზრუნვის საშუალებაა;<br>3. აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები):<br><u>ტაპი 1.</u> კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია).<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> <u>რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?</u><br>რეკომენდაცია მასწავლებელს: დეტალურად გააცანით მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და შეთანხმდით ვადებზე, თუ რა დროის განმავლობაში უნდა შესრულდეს კომპლექსური დავალების პროდუქტი. ასევე შეთანხმდით, თუ რა ფორმით მოხდება წარდგენა.<br>გადაამოწმე, ყველა მოსწავლემ სწორად გაიგო თუ არა კომპლექსური დავალების პირობა (დამაზუსტებელი და შემათანხმებელი ტიპის შეკითხვებით), შემდეგ კი მიზნობრივად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული კითხვები, რომელიც დაგეხმარებათ, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ თუ რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დაადასტურონ, თუ რა ისწავლეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით? ასევე დაგეხმარებათ კომპლექსური დავალების პროდუქტისთვის პრაქტიკული და ტექნიკური დეტალების დაზუსტებაში.<br>ინსტრუქცია მოსწავლეს: ყურადღებით მოუსმინე დასმულ შეკითხვებს და შეეცადე უპასუხო თითოეულ მათგანს:<br>1. გამოგითქვამს თუ არა სურვილი მონაწილეობა მიგეღო და აქტიურად ჩართულიყავი შენი სკოლის მართვის პროცესში?<br>2. რატომ არის მნიშვნელოვანი შენი და მოსწავლეთა ჩართულობა?<br>3. რატომ არის მნიშვნელოვანი იყო ინფორმირებული სკოლაში მიმდინარე პროცესებზე?<br>რეკომენდაცია მასწავლებელს: მასწავლებელი მოსწავლეებტან ერთად განაზოგადებს ამ შეკითხვებს და ასევე, კომპლექსური დავალების პროდუქტზე სვამს დამაზუსტებელ კითხვებს: შეუქმნიათ თუ არა სტატია, რა სტრუქტურა აქვს სტატიას? რა მიზნით იქმნება და ა.შ.<br>ეტაპი 2. კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია).<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> როგორ შევასრულო მოცემული დავალება?</td>
<td>A ვარიანტი<br>შენს სკოლამდე მისასვლელი გზა არ არის კეთილმოწყობილი, ქუჩაზე ამორტიზებულია სანიაღვრე სისტემა და დაზიანებულია გზის საფარი, რაც ხელს გიშლის სკოლამდე მისვლაში. შენ, როგორც აქტიურმა მოქალაქემ, გადაწყვიტე იზრუნო სათემო პრობლემაზე. პრობლემა აუცილებლად მოსაგვარებელია და გადასაჭრელი. თემის მოსახლეობასთან ერთად, ასევე ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, მოამზადე მიმართვის წერილი, რომელსაც განსახილველად წარუდგენ ადგილობრივ ხელისუფლებას, მერიის ინსფრასტრუქტურულ სამსახურს.<br>პროდუქტში/პროდუქტის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| პრობლემების მოგვარებაზე.<br>ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებ-თან, სახელმწიფო სტრუქტურებთან;<br>4. სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნე-ლოვანია სხვა ადამიანების ინ-ტერესების გათვა-ლისწინება;<br>5. სამოქალაქო მონაწილეობა გა-მორიცხავს ძალა-დობრივ ქმედებებს. | **აქტივობა 1**<br>წაიკითხე ამბავი1; 2; (გვ. 33). რომელიც რეალური ჟურნალისტური გამოძიებების შესახებ მოგვითხრობს, გააანალიზე და იმსჯელე:<br>1. რაში მდგომარეობს მედიის ძალა?<br>2. რატომ აყენებენ დემოკრატიულ სახელმწიფოებში მედიას ხელისუფლების განხორციელების ოფიციალური, ძირითადი სახელმწიფო ინსტიტუტების გვერდით?<br>3. რა გავლენას ახდენს ის საზოგადოებაზე და რატომ წამოიჭრება ხოლმე ასე აქტიურად საზოგადოებრივი პრობლემების განხილვისას ჟურნალისტების პასუხისმგებლობის საკითხი?<br><br>**აქტივობა 2**<br>ყურადღებით წაიკითხე მოცემული ნარატივი, რუბრიკა „მნიშვნელოვანი საკითხები“ (გვ. 34) და სქემაზე გამოყავი მედიის როლი და ფუნქციები. არგუმენტირებულად იმსჯელე, რატომაა მედია მეოთხე ხელისუფლება?<br><br>**აქტივობა 3**<br>**კარიკატურის განხილვა**<br>გააანალიზე კარიკატურა (გვ. 36) და კითხვების დახმარებით იმსჯელე:<br>1. რა კავშირშია მედიის თავისუფლება ადამიანის თავისუფლებასთან?<br>2. რა გავლენის მოხდენა შეუძლია მედიას დემოკრატიულ პროცესებზე?<br>3. უნდა არსებობდეს თუ არა სახელმწიფოში მრავალფეროვანი მედია?<br>4. რაში შეიძლება დაეხმაროს მოქალაქეს თავისუფალი მედია?<br>5. რატომ უქმნის საფრთხეს მედიაცენზურა დემოკრატიას?<br><br>**აქტვობა 4**<br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** გააცანით მოსწავლეებს ბახვის მანიფესტი (გვ. 37), გამართეთ დისკუსია შემდეგი მიმართულებით – **რატომ და როგორ უნდა ვაკონტროლოთ ხელისუფლება?** შეახსენეთ მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პირობა, პროდუქტი და სთხოვეთ შექმნან სტატიის სავარაუდო გეგმა. | • რომელ საზოგადოებრივ საჭიროების მოგვრებაზეა მიმართული შენი წერილი და რატომ გადაწყვიტე ამ პრობლემის გადაჭრაზე ზრუნვა? (1,2);<br>• რატომ გადაწყვიტე ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა და პრობლემის ადვოკატირება; როგორ შეესაბამება სამოქალაქო მონაწილეობის ეს ფორმა კონკრეტულ საჭიროებას?(3);<br>• რამდენად არის გათვალისწინებული შენი თემის და თანასკოლელების ინტერესები და როგორ უზრუნველყოფს პრობლემის მოგვარება მათი უსაფრთხო მომავლის პერსპექტივას? (4);<br>• რას უნდა აკეთებდეს სახელმწიფო, როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს პოლიტიკა, რომ მოზარდებს ჰქონდეთ უსაფრთხო გარემო და ნორმალური განათლების მიღების უფლება? (1,3)<br>• რატომ არის თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობა და აქტიურობა საჭირო არაძალადობრივი მეთოდებით პრობლემების გადასაჭრელად? (1,5)<br><br>**B ვარიანტი**<br>წარმოიდგინე, რომ შენ ხარ ბლოგერი, შენი მიზანია შექმნა **150-სიტყვიანი საჯარო პოსტი** ინტერნეტსივრცეში, რომელიც მოახდენს საზოგადოების ინფორმირებას შემდეგ თემაზე: |

| | | |
|---|---|---|
| | **ჯგუფური მუშაობა – პრაქტიკული რჩევები**<br>მოსწავლეს თხოვე იმუშავონ ჯგუფებში და ყურადღება გაამახვილონ შემდეგ საკითხებზე:<br>• დაფიქრდი და გაითვალისწინე, რა მიზნით და ვისთვის ქმნით სტატია / მიმართვის წერილს;<br>• დაფიქრდი რა რესურსები დაგჭირდება სტატიის/მიმართვის წერილის შესადგენად;<br>• შეადგინე სტატიის/მიმართვის წერილის სავარაუდო მონახაზი.<br>• განიხილე ჯგუფებში.<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** დარწმუნდით რომ ყველა მოსწავლე მზაობითაა კომპლექსური დავალების პროდუქტის შესაქმნელად.<br>**კომპლექსური დავალების წარდგენა** საერთო საკლასო მუშაობის ფონზე:<br>• მასწავლებელი ამზადებს მსმენელის დღიურს და აცნობს კლასს, უხსნის, რომ წარდგენისას, მსმენელები მოუსმენენ თითოეულ პრეზენტატორსა და თან ე.წ. მსმენელის დღიურში ჩაინიშნავენ სათქმელს.<br>**მსმენელის დღიური:**<br>• რაში ვეთანხმები გამომსვლელს?<br>• რა შევამჩნიე პრეზენტაციის დროს ისეთი, რაზეც არ უსაუბრია გამომსვლელს?<br>• ან პირიქით, რა ისეთ დეტალზე ილაპარაკა, რომელსაც მე არ მივაქციე ყურადღება?<br><br>**განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული შემდეგ ნიუანსებზეც:**<br>• კომპლექსურ დავალებაზე ერთობლივად მუშაობის დროს რა საერთო მიზანი, საზრუნავი და ინტერესი გვაერთიანებდა?<br>• გაგვიჭირდა თუ არა ურთიერთშეთანხმება და რა გზებით და საშუალებებით მივაღწიეთ საბოლოო მიზანს?<br>• განიცადა თუ არა ცვლილება ჩვენმა შეხედულებებმა საკითხზე, შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს საკუთარ გარემოში პოზიტიური ცვლილებების განხორციელება?<br>• რას შეცვლიდით მომავალში სხვა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში და წარდგენისას?<br>**შეაფასე შენი ნამუშევარი და გამოკვეთე:**<br>• იყო თუ არა ეს საკითხი ჩემთვის საინტერესო და რატომ?<br>• გამომადგება თუ არა მომავალში, რა გამოცდილებაც შევიძინე და რა არის ასეთი კონკრეტულად?<br>• რა დამეხმარა კომპლექსური დავალების შესრულებაში ყველაზე მეტად? | „მედიის როლი დემოკრატიული სახელმწიფოს და საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად“.<br>შენი მიზანია დაარწმუნო საზოგადოება, რომ დემოკრატიული სისტემა დემოკრატიული ღირებულებების მქონე აქტიური მოქალაქეების არსებობაზეა დამოკიდებული.<br><br>**სტატიის შესაქმნელად დაიხმარე რესურსი – ბახვის მანიფესტი.**<br>https://civicuscela.wordpress.com/2016/03/09/%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AB%E1%83%A0%E1%83%90%E1-%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0/<br><br>**ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>•როგორ უწყობს ხელს სოციალური მედიის არხით სარგებლობა ადამიანის ინფორმირებულობას და როგორ აისახება ეს სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობაზე?(1,3)<br>•რა არგუმენტები და საჭიროებები დაედო საფუძვლად საჯარო სტატიის შექმნას? რა საჭიროებას და პრობლემას ხედავდით ამისთვის?(3)<br>•რა გავლენა აქვს თავისუფალ მედიას დემოკრატიის განვითარებასა და ადამიანის უფლებების დაცვაზე, დემოკრატიულ პროცესებზე?(5)<br>•გამოთქვი შენი ვარაუდები. დაასახელე ის პრობლემები, რომელიც იარსებებდა მედიის არარსებობის გამო;(4)<br>•რატომ არის ინფორმაციის მიღება და გავრცელების თავისუფლება კონსტიტუციით გარანტირებული?(1,5)<br>•რატომ არის მნიშვნელოვანი სამოქალაქო მონაწილეობის დროს სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება?(4) |

<table>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td>
<td>საკითხი/საკითხები<br>რატომ თანამშრომლობენ ერთმანეთთან სახელმწიფო სტრუქტურები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები?<br>რა განასხვავებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციებისგან?<br>მოსწავლის წიგნი §1.6.</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/საკვანძო შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება/დავალებები<br>შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ქვეცნებები:<br>•ინოვაციური ბიზნესიდეა;<br>•მეწარმე;<br>•ზნეობრივი და საკანონმდებლო ნორმები;<br>•ეთიკა ბიზნესის გრძელვადიანი განვითარებისთვის;<br>•გრძელვადიანი და მოკლევადიანი შედეგები;</td>
<td>1. რატომ და როგორ იქმნება საზოგადოებრივი ორგანიზაციები?<br>2. რით განსხვავდება სამეწარმეო ორგანიზაციები არასამეწარმეოსგან?</td>
</tr>
<tr>
<td>მდგრადი განვითარება, შედეგები:<br>საბაზო საფეხური:<br>7, 10, 11.<br>1. რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება;<br>2. ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს (მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა)).</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები):<br>ტაპი 1. კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია).<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> <u>რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?</u><br>რეკომენდაცია მასწავლებელს: დეტალურად გააცანით მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და შეთანხმდით ვადებზე, თუ რა დროის განმავლობაში უნდა შესრულდეს კომპლექსური დავალების პროდუქტი. ასევე შეთანხმდით, თუ რა ფორმით მოხდება წარდგენა.<br>გადაამოწმე, ყველა მოსწავლემ სწორად გაიგო თუ არა კომპლექსური დავალების პირობა (დამაზუსტებელი და შემათანხმებელი ტიპის შეკითხვებით), შემდეგ კი მიზნობრივად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული კითხვები, რომელიც დაგეხმარებათ, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ თუ რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დაადასტურონ, თუ რა ისწავლეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით? ასევე დაგეხმარებათ კომპლექსური დავალების პროდუქტისთვის პრაქტიკული და ტექნიკური დეტალების დაზუსტებაში.<br>ინსტრუქცია მოსწავლეს: ყურადღებით მოუსმინე დასმულ შეკითხვებს და შეეცადე უპასუხო თითოეულ მათგანს:<br>1. დაფიქრდი და დაასახელე პრობლემა, რომელიც ზოგადია და შენც გეხება, შენს სამეზობლოსაც, მეგობრებსაც, სკოლასაც, კლასსაც. რა გაგიადვილებდა ამის გადაჭრას?<br>2. რატომ არის უფრო მარტივი პრობლემების ერთად გადაჭრა?</td>
<td>A ვარიანტი<br>მოიკვლიე თემში ყველაზე მწვავე პრობლემა (ეკოლოგიური, ინფრასტრუქტურული და ა.შ.).<br>შექმენი წესდება იმ ტიპის ა/ო-ზე, სწორედ იმ მიმართულებით, რა ტიპის პრობლემაც აღმოაჩინე თემში კვლევის შედეგად.<br>წესდებაში მოიაზრე:<br>1. ლოგო;<br>2. ორგანიზაციის მიზანი;<br>3. მინიმუმ ხუთი მნიშვნელოვანი ზნეობრივი და საკანონმდებლო ნორმა.<br><br>წესდებაში ხაზგასმით წარმოაჩინე:<br>•რატომ აარსებ ა/ო-ს, რა პრობლემამ განაპირობა მისი შექმნა და რა განსაზღვრავს მის მდგრადობას? (მდგ.1; ი.მ.1,2)<br>• შერჩეული ინიციატივის განხორციელების გზები და მოსალოდნელი შედეგები; (მდგ.2, ი.მ.4)</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| **ინიციატივა და მეწარმეობა.**<br>**შედეგები:**<br>**საბაზო საფეხური: 5, 6, 7.**<br>1. პირადი/საზოგადოებრივი საჭიროებების განსაზღვრა ნებისმიერი ინიციატივის საფუძველია;<br>2. მეწარმე არის ადამიანი, რომელსაც აქვს საზოგადოებისთვის სასარგებლო იდეა და მზად არის რისკი გასწიოს საკუთარი იდეის განვითარებისთვის;<br>3. მკაფიო მიზნების დასახვა, რესურსებისა და მოქმედებების დაგეგმვა და დროში განაწილება წარმატებული საქმიანობის აუცილებელი პირობაა;<br>4. მოქმედებებისგან მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრა გვეხმარება გაუთვალისწინებელი რისკების შემცირებაში; | 3. შენ როგორ გადაწყვეტდი პრობლემას, ინდივიდუალურად თუ გუნდურად? დაასაბუთე რატომ?<br>4. რა მნიშვნელობა აქვს თანამოაზრეების შეკრებას მსგავს სიტუაციებში?<br><br>**ეაპი 2.** კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა. სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება.<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> *როგორ შევასრულო მოცემული დავალება?*<br><br>**აქტივობა 1**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** წაიკითხე ამბავი 1. (გვ. 39) და უპასუხე შეკითხვებს:<br>1. რა განასხვავებს ა/ო ს/ო ორგანიზაციებს ერთმანეთისაგან?<br>2. შენი აზრით, რატომ ვერ/არ დაეხმარა ა/ო ორგანიზაცია პრობლემის მოგვარებაში?<br>3. იცი თუ არა სხვა ორგანიზაციები, რომელიც შენს გარემოში არსებული პრობლემების მოგვარებაში დაგეხმარება?<br><br>**აქტივობა 2**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** გაეცანი თემის „მნიშვნელოვანი საკითხები" (გვ. 39). განასხვავე ა/ო სამეწარმეოსგან. ჩამოაყალიბე მიზნები და ცხრილის დახმარებით უპასუხე კითხვებს:<br>1. რა მიზნებს ისახავენ არასამთავრობო ორგანიზაციები?<br>2. რატომ არის საჭირო გვქონდეს ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ?<br>3. როგორ უწყობენ ხელს არასამთავრობო ორგანიზაციები ინიციატივების განხორციელებას?<br><br>**აქტივობა 3**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** წაიკითხე წყარო1,2,3 (გვ. 40) და იმსჯელე:<br>1. რა როლი შეასრულა აღნიშნულ საქმეებში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ?<br>2. რატომ არის საიას ჩართულობა მნიშვნელოვანი?<br><br>**აქტივობა 4**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** განიხილე ქვემოთ ჩამოთვლილი პრობლემები (გვ. 43), შეარჩიე ჯგუფში შენთვის აქტუალური პრობლემა და შექმენი საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან საინიციატივო ჯგუფი პრობლემის მოსაგვარებლად, ამისათვის გადაიწერე და შეავსე სქემა.<br>1. პრეზენტაციის დროს არგუმენტებით დაასაბუთე შენი არჩევანი.<br>თემში არსებული პრობლემები:<br>1. ეტლით მოსარგებლე ადამიანები ქუჩაში ვერ გადაადგილდებიან;<br>2. სოციალურად დაუცველი ოჯახები პრობლემების გამო ბავშვების სკოლაში ტარებას ვერ უზრუნველყოფენ;<br>3. უპატრონო ძაღლები საფრთხეს უქმნიან მოსახლეობას. | • როგორ დაგეხმარება შენ მიერ შექმნილი სამოქმედო გეგმა რისკების გათვლასა და მათ შემცირებაში; (ი.მ.3,4)<br>• როგორ უნდა მოხდეს ზნეობრივი და საკანონმდებლო ნორმების ეფექტურად გამოყენება; (ი.მ.5)<br>• საზოგადოებრივი სარგებლის მდგრადობა, რომლის მოტანაც შეუძლია შენ მიერ შექმნილ ა/ო-ს; (მდგ.2; ი.მ.2)<br>• როგორ შეიძლება ითანამშრომლოს შენ მიერ შექმნილმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ სახელმწიფო სტრუქტურებთან პრობლემების მოსაგვარებლად. (მდგ.1; ი.მ.1)<br><br>**B ვარიანტი**<br>ოდესმე ალბათ გიოცნებია საკუთარი ბიზნესის დაწყებაზე; ყურადღებით გაეცანი კომპლექსური დავალების პირობას და აისრულე შენი ოცნება.<br>წელს შენ გეძლევა უფლება, მონაწილეობა მიიღო სახელმწიფოს მიერ ინიცირებულ ბიზნესფორუმზე, სადაც ბავშვები ინოვაციურ ბიზნეს-იდეებს წარმოადგენენ.<br>წელს ფორუმის მესიჯი ასეთია: <u>„მომავლის ბავშვები ინოვაციური ბიზნესიდეებით"</u>. იმისათვის, რომ ფორუმზე მოხვდე, კომპლექსური დავალების პროდუქტად უნდა მოიფიქრო, ინოვაციური **ბიზნეს იდეა**.<br>ბიზნესიდეების შემუშავების შემდეგ კლასში ერთობლივი თანამშრომლობით უნდა მოაწყო იმიტირებული **ბიზნესფორუმი**. |

| | | |
|---|---|---|
| 5. გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია ზნეობრივი და საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინება; შედეგის მისაღებად პროცესზე დაკვირვებაა საჭირო. | **აქტივობა 5**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** წყარო (4; 5; 6) (გვ. 44) წარმოდგენილია საზოგადოებრივი და სამეწარმეო ორგანიზაციების წარმატებული საქმიანობის მაგალითები. წაიკითხე, იმსჯელე და უპასუხე კითხვას:<br>1. რა დადებითი შედეგები ახლავს საზოგადოებრივი და სამეწარმეო ორგანიზაციების მუშაობას?<br>2. რა მიზანს ემსახურება წყაროში აღწერილი ორგანიზაციები და რა განასხვავებს ამ ორგანიზაციის საქმიანობებს ერთმანეთისგან?<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლე მზაობითაა კომპლექსური დავალების პროდუქტის შესაქმნელად.<br>**კომპლექსური დავალების წარდგენა საერთო საკლასო მუშაობის ფონზე:**<br>• მასწავლებელი ამზადებს მსმენელის დღიურს და აცნობს კლასს. უხსნის, რომ წარდგენისას, მსმენელები მოუსმენენ თითოეულ პრეზენტატორს და თან ე.წ. მსმენელის დღიურში ჩაინიშნავენ სათქმელს.<br><br>**მსმენელის დღიური:**<br>• რაში ვეთანხმები გამომსვლელს?<br>• რა შევამჩნიე პრეზენტაციის დროს ისეთი, რაზეც არ უსაუბრია გამომსვლელს?<br>• ან პირიქით, რა ისეთ დეტალზე ილაპარაკა, რომელსაც მე არ მივაქციე ყურადღება?<br><br>**განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული შემდეგ ნიუანსებზეც:**<br>• კომპლექსურ დავალებაზე ერთობლივად მუშაობის დროს რა საერთო მიზანი, საზრუნავი და ინტერესი გვაერთიანებდა?<br>• გაგვიჭირდა თუ არა ურთიერთშეთანხმება? რა გზებით და საშუალებებით მივაღწიეთ საბოლოო მიზანს?<br>• განიცადა თუ არა ცვლილება ჩვენმა შეხედულებებმა საკითხზე, შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს საკუთარ გარემოში პოზიტიური ცვლილებების განხორციელება?<br>• რას შეცვლიდით მომავალში სხვა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში და წარდგენისას?<br><br>**შეაფასე შენი ნამუშევარი და გამოკვეთე:**<br>• იყო თუ არა ეს საკითხი ჩემთვის საინტერესო და რატომ?<br>• გამომადგება თუ არა მომავალში, რა გამოცდილებაც შევიძინე და რა არის ასეთი კონკრეტულად?<br>• რა დამეხმარა კომპლექსური დავალების შესრულებაში ყველაზე მეტად? | **ბიზნესიდეების წარდგენისას ხაზგასმით გამოკვეთე შემდეგი ნიუანსები:**<br>• ბიზნესიდეის აქტუალურობა და მისი მდგრადობა; (მდგ.1; ი.მ.1,2)<br>• რა ეტაპები უნდა გაიაროს შენმა ბიზნესიდეამ სახელმწიფოსგან მხარდაჭერის მისაღებად; (მდგ.2; ი.მ.3)<br>• რამდენად შესაბამისობაშია შენ მიერ წარმოდგენილი ბიზნესიდეა ზნეობრივ და საკანონმდებლო ნორმებთან; (ი.მ.5)<br>• რამდენად ითვალისწინებს შენი ბიზნესიდეა ადგილობრივ გამოწვევებს და რისკების შემცირება/პრევენციას.(ი.მ.4) |

<table>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td>
<td>საკითხი/საკითხები<br>როგორ უნდა ვითანამშრომლოთ ცენტრალურ ხელისუფლებასთან?<br>მოსწავლის წიგნი §1.7.</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/საკვანძო შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება/დავალებები შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ქვეცნებები:<br>•ბუნებრივი რესურსები;<br>•გარემოსდაცვითი ქმედებები;<br>•აქტიური მოქალაქეობა;<br>•თანამშრომლობა ხელისუფლებასთან, სამოქალაქო პასუხისმგებლობა;<br>•რესურსების რაციონალიზაცია;</td>
<td>• რატომ არის მნიშვნელოვანი საზოგადოების ჩართულობა ლოკალური და გლობალური პრობლემების მოსაგვარებლად?<br>• როგორ თანამშრომლობს სხვადასხვა ინსტიტუცია პრობლემების მოსაგვარებლად?<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი და აუცილებელი პრობლემის მოგვარებისთვის ხელისუფლებისა და მოსახლეობის თანამშრომლობა?<br>• როგორ უნდა ვხარჯოთ ქვეყანაში ბუნებრივი რესურსები რაციონალურად?<br>• რატომაა მნიშვნელოვანი მონიტორინგისა და თანამშრომლობის მექანიზმები?</td>
</tr>
<tr>
<td>მდგრადი განვითარება<br>შედეგები:<br>საბაზო საფეხური:<br>7, 10, 11.<br>1. რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება;<br>2. ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს (მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა)).</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები):<br>ტაპი 1. კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია).<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?<br>რეკომენდაცია მასწავლებელს: დეტალურად გააცანით მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და შეთანხმდით ვადებზე, თუ რა დროის განმავლობაში უნდა შესრულდეს კომპლექსური დავალების პროდუქტი. ასევე შეთანხმდით, თუ რა ფორმით მოხდება წარდგენა.<br>გადაამოწმე, ყველა მოსწავლემ სწორად გაიგო თუ არა კომპლექსური დავალების პირობა (დამაზუსტებელი და შემათანხმებელი ტიპის შეკითხვებით), შემდეგ კი მიზნობრივად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული კითხვები, რომელიც დაგეხმარებათ, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ თუ რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დაადასტურონ, თუ რა ისწავლეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით? ასევე დაგეხმარებათ კომპლექსური დავალების პროდუქტისთვის პრაქტიკული და ტექნიკური დეტალების დაზუსტებაში.<br>ინსტრუქცია მოსწავლეს: ყურადღებით მოუსმინე დასმულ შეკითხვებს და შეეცადე უპასუხო თითოეულ მათგანს:<br>1.რა ტიპის პრობლემები ჭარბობს თქვენ თემში? თუ დაფიქრებულხარ, რა არის პრობლემის გამომწვევი მიზეზები?</td>
<td>როგორც იცი და ხედავ, შენ გარშემო ძალიან ბევრი პროცესი მიმდინარეობს, დადებითიც და არის უარყოფითიც. არის პრობლემებიც, მაგალითად, საჭირო ენერგომატარებლები არ მოიპოვება საქართველოში და ჩვენ ვახორციელებთ მათ იმპორტს, რაც აისახება ჩვენს ყოველდღიურ ყოფაზე, გადასახადებზე, ეკონომიკაზე. დაფიქრდი ამ საკითხზე და გამოიკვლიე, რა ალტერნატიული შესაძლებლობები (მზე, ქარი) შეიძლება იქნას გამოყენებული ელექტროენერგიის მისაღებად.</td>
</tr>
</table>

<table>
<tr>
<td>სამოქალაქო მონაწილეობა.<br>შედეგები:<br>საბაზო საფეხური:<br>8, 9, 12 ,13.<br>1. დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება;<br>2. სამოქალაქო მონაწილეობა საზოგადოებრივ საჭიროებებზე/ქვეყანაზე ზრუნვის საშუალებაა;<br>3. აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან;</td>
<td>2. იცი თუ არა, როგორ უნდა მოაგვაროთ თემში/საზოგადოებაში არსებული პრობლემები. მაგ.: გარემოსდაცვითი, სოციალური, ინფრასტრუქტურული, ღირებულებითი და ა.შ.<br>3. როგორ აგვარებენ უფროსები თემში წამოჭრილ პრობლემებს? თუ იცი ვის მიმართავენ, რომელ ინსტიტუციებს?<br>4. რატომ არის მნიშვნელოვანი იცოდეს მოქალაქემ, როგორ მოაგვაროს საზოგადოებრივი პრობლემები, ვისთან ითანამშრომლონ და როგორ, რომელ სახელმწიფო ორგანოებთან?<br>5. რატომ არის რესურსების რაციონალური გამოყენება სამოქალაქო პასუხისმგებლობის გამოვლინება?<br>6. რატომ უნდა ვიზრუნო გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაზე?<br>7. როგორ შემიძლია, მე, როგორც საზოგადოების ერთ-ერთმა წევრმა, ვიზრუნო იმ კონკრეტულ გარემოზე, რომელშიც ვარ?<br><br>ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა. სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება.<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> როგორ შევასრულო მოცემული დავალება?<br><br>აქტივობა 1<br>წაიკითხე ამბავი1, (გვ. 47). რომელშიც გამოყოფილია საკითხთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი თეზისები:<br>1. ხუდონის ჰიდროელექტროსადგური – მნიშვნელობა;<br>2. მომხრეთა არგუმენტები;<br>3. ძლიერი ზემოქმედება მკვიდრ მოსახლეობაზე;<br>4. გარემოზე ზემოქმედება;<br>5. საპროტესტო გამოსვლები.<br>განიხილე და უპასუხე კითხვებს:<br>1. რატომ არის მნიშვნელოვანი საზოგადოების ჩართულობა?<br>2. როგორ ითანამშრომლა სხვადასხვა ინსტიტუციამ პრობლემის ირგვლივ?<br>3. რატომ არის მნიშვნელოვანი და აუცილებელი პრობლემის მოგვარებისთვის ხელისუფლებისა და მოსახლეობის თანამშრომლობა?<br>4. გადაიტანე რვეულში სქემა 1 და შეავსე პრეზენტაციები. წარადგინე კლასის წინაშე.<br><br>რეკომენდაცია მასწავლებელს: მოსწავლეები გაიაზრებენ, თუ როგორ შეიძლება მშვიდობიანი ფორმებით მოქალაქეებმა გამოხატონ საკუთარი აზრი, დააფიქსირონ პრობლემა და მოსთხოვონ ქალაქის ხელისუფლებას იზრუნოს, გადადგას ქმედითი ნაბიჯები ეკოლოგიური პრობლემის მოსაგვარებლად. მოსწავლეებს შეუძლიათ მოიყვანონ მათთვის ცნობილი სხვა მაგალითებიც და იმსჯელონ პრობლემების აქტიურად წარმოჩენის მნიშვნელობაზე.</td>
<td>დაწერე პროექტის გეგმა, რომელშიც არგუმენტირებულად დაასაბუთებ ალტერნატიული რესურსების რეგულირების შესაძლებლობებს, რაც განაპირობებს დეფიციტის შევსებას, უზრუნველყოფს ეკოლოგიური წონასწორობის და ბალანსის დაცვას და წარუდგინე სამთავრობო და არასამთავრობო სექტორს.<br><br>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:<br>• რომელი პრობლემის მოგვარებისკენ არის მიმართული შენ მიერ შემუშავებული პროექტის გეგმა; (ს.მ..2;)<br>• რა მნიშვნელობა აქვს პროექტის გეგმის რეალიზებაში მოქალაქეთა ჩართულობას და გათვალისწინებულია თუ არა საზოგადოებრივი ინტერესები; (ს.მ.2,5)<br>• რა მნიშვნელობა აქვს გარემოს დაცვაში მოქალაქეებისა და სახელმწიფოს თანამშრომლობას? (მდგ.1; ს.მ.1,2)<br>• როგორ უწყობს ხელს საქართველოში არსებული კანონმდებლობა გარემოს დაცვას და მოქალაქეთა მონაწილეობას; (მდგ.2; ს.მ.3,4)</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| 4. სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება;<br>5. სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს. | **აქტივობა 2**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** მნიშვნელოვანი საკითხები:<br>აქტივობა 2. (გვ. 50) წარმოდგენილია ხელისუფლებასთან თანამშრომლობის, მონაწილეობის მექანიზმები განიხილე თითოეული მათგანი და მოიყვანე მაგალითები.<br>უპასუხე კითხვებს:<br>1. რა უდევს საფუძვლად მოქალაქეთა საზოგადოებრივ აქტივობას?<br>2. რა ინიციატივებით შეიძლება გამოვიდნენ აქტიური მოქალაქეები?<br>3. ქვეყნის განვითარებისა და წინსვლისათვის რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ ინიციატივებსა და სამოქალაქო აქტივიზმს?<br>4. როგორ შეიძლება აისახოს მოქალაქეთა პასიურობა საზოგადოების განვითარებაზე?<br><br>**აქტივობა 3**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:**<br>გაეცანი კარგი პრაქტიკის მაგალითებს და იმსჯელე (გვ. 51). წარმართე დისკუსია: „როგორ ვიზრუნო საკუთარ ქვეყანაზე? როგორ უნდა ვიქცეოდე, რომ ჩვენი სახელმწიფოს ღირსეული მოქალაქე ვიყო?“<br><br>**აქტივობა 4**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** წაიკითხე ამბავი 2 (გვ. 52) და გამოყავი სამოქალაქო მონაწილეობის მექანიზმები, იმსჯელე.<br>რა დადებითი შედეგი მოაქვს მას საზოგადოებისათვის? რატომ არის მნიშვნელოვანი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გააზრება და თანამშრომლობის მექანიზმების ცოდნა?<br><br>**აქტივობა 5**<br>დისკუსია – „ჩემი წვლილი გლობალური მიზნების რეალიზებაში“.<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** წინა განხილული ქეისები და გამოკვეთილი პრობლემები დააკავშირე გლობალურ მიზნებს-გაეროს 17 მიზანი.<br><br>**ჯგუფური მუშაობა – პრაქტიკული რჩევები**<br>მოსწავლეებს სთხოვეთ იმუშაონ ჯგუფებში და ყურადღება გაამახვილონ შემდეგ საკითხებზე:<br>• დაფიქრდით და გაითვალისწინეთ, რა მიზნით და ვისთვის ქმნით კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტს;<br>• დაფიქრდით, რა რესურსები გჭირდებათ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად;<br>• შეადგინეთ პროდუქტის სავარაუდო გეგმა;<br>• განიხილეთ ჯგუფებში. | • არის თუ არა მნიშვნელოვანი ალტერნატიული ენერგორესურსების გამოყენება სახელმწიფოს გარემოსდაცვით პოლიტიკაში მდგრადობის შესანარჩუნებლად. (მდგ.1; ს.მ.3) |

## თემა 2.

| |
|---|
| **სავარაუდო დრო** – 10-12 სთ.<br>**თემა: ეკონომიკა და სახელმწიფო**<br>საათების სავარაუდო რაოდენობა |
| **თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები:**<br>შრომის დანაწილება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს; ყველა პროფესია საჭირო და დასაფასებელია;<br>• ჩვენ, როგორც მომხმარებლებს, გარკვეული უფლებები და პასუხისმგებლობები გვაქვს;<br>• სესხის აღებამდე რეალისტურად უნდა ავწონ-დავწონოთ ჩვენი სურვილები და შესაძლებლობებ;,<br>• ყურადღებით გავეცნოთ ხელშეკრულებას და ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა შემოთავაზება;<br>• დაზღვევა გვეხმარება ფინანსური რისკების შემცირებაში ან თავიდან არიდებაში;<br>• პასუხისმგებლიანი ფინანსური გადაწყვეტილებები ჩემი მომავალი კეთილდღეობის საფუძველია;<br>• გადახდილი გადასახადები სახელმწიფო ბიუჯეტში მიდის და მოსახლეობის კეთილდღეობას ხმარდება. |

| |
|---|
| **თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები:**<br>რატომ არის ხელსაყრელი საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და შრომის თავისუფალი განაწილება?<br>რატომ არის სასარგებლო საერთაშორისო ვაჭრობა ეკონომიკისთვის და ცალკეული მომხმარებლისათვის?<br>რატომ ესწრაფვის ზოგიერთი ქვეყანა სხვა სახელმწიფოებთან ეკონომიკურ ინტეგრაციას?<br>რატომ არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციები?<br>როგორ დავიცვათ თავი ფინანსური თაღლითობისაგან? როგორ ამოვიცნოთ გაყალბებული ფული?<br>რატომ უნდა ვიცოდეთ ჩვენი, როგორც მომხმარებლების უფლებები და პასუხისმგებლობები? როგორ უნდა დავიცვათ საკუთარი უფლებები?<br>რატომ არსებობს სხვადასხვა პროფესია? რატომ ინაწილებენ ადამიანები შრომას?<br>რა უფლებები და პასუხისმგებლობები გვაქვს ჩვენ, როგორც მომხმარებლებს?<br>რატომ არის მნიშვნელოვანი სამსახურის დაწყებისას შრომითი ხელშეკრულების გაფორმება?<br>როგორ უნდა ავწონ-დავწონოთ ფინანსურ მომსახურებასთან/პროდუქტთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები?<br>რატომ უნდა მოვეპყრათ პასუხისმგებლობით ნასესხებ ფულს? რატომ არის საჭირო გავერკვე სესხის პირობებში გადაწყვეტილების მიღებამდე? რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ფინანსური ვალდებულე-ბისთვის თავის არიდებას?<br>როგორ ვირჩევთ ფინანსურ მომსახურებას/პროდუქტს? როგორ და რატომ ვურთიერთობთ ფინანსურ ორგანიზაციებთან?<br>რატომ არსებობს ეროვნული ბანკი?<br>რატომ ვიხდით გადასახადებს? რაში ხარჯავს სახელმწიფო ჩვენ მიერ გადახდილ გადასახადებს. |

**თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები** — მოსწავლემ უნდა შეძლოს:

**სოციალიზაცია (პიროვნება, ინდივიდი, საზოგადოება)**

- ფინანსურ-ეკონომიკურ ინსტიტუტებთან ურთიერთობის სწორი ფორმების გაანალიზება **(მოქ. საზ.1,3,4,5,6, 7,8,9,12,13);**

**დემოკრატია** (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)

- მომხმარებლის უფლებებისა და პასუხისმგებლობების, ასევე მომხმარებლის უფლებების (შრომისა და მეწარმეობის თავისუფლება, საკუთრების უფლება) დაცვის მექანიზმების გაანალიზება **(მოქ.საზ. 1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13);**

**ინიციატივა და მეწარმეობა**

- გააანალიზოს, თუ რა ფაქტორების გათვალისწინებით იკვეთება პრიორიტეტები სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისას **(მოქ.საზ. 2, 4, 5, 6, 7, 10, 11, 12, 13);**

**სამოქალაქო მონაწილეობა**

- სახელმწიფოში არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებში საკუთარი ჩართულობის მნიშვნელობისა და გზების გაცნობიერება **(მოქ.საზ.1,2,3,4,5,6, 7,8,9,10,11,12);**

**მდგრადი განვითარება**

- ფინანსური გადაწყვეტილებების განხილვისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება **(მოქ.საზ.5,6, 7, 8, 10, 11, 13).**

<table>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td>
<td>საკითხი/საკითხები<br>რატომ არის ხელსაყრელი საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და შრომის თავისუფალი განაწილება?<br>მოსწავლის წიგნი §2.1.</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/საკვანძო შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება/დავალებები შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ქვეცნებები:<br>•ეკონომიკა, შრომის თავისუფალი განაწილება, ბიუჯეტი, ეროვნული ბანკი და მისი ფუნქცია, მოვალეობები;</td>
<td>• რატომ არის მნიშვნელოვანი ეკონომიკის თავისუფლება?<br>• როგორ ვლინდება სახელმწიფო პოლიტიკა ბიუჯეტის დაგეგმვა/განკარგვის შემთხვევაში?<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი შრომის განაწილება?<br>• რა დადებითი შედეგები ახლავს მას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში?</td>
</tr>
<tr>
<td>მდგრადი განვითარება შედეგები:<br>საბაზო საფეხური:<br>7, 10, 11.<br>1. რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება;<br>2. ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს (მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა)).</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები):<br><br>ტაპი 1. კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია).<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?<br>რეკომენდაცია მასწავლებელს: დეტალურად გააცანით მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და შეთანხმდით ვადებზე, თუ რა დროის განმავლობაში უნდა შესრულდეს კომპლექსური დავალების პროდუქტი. ასევე შეთანხმდით, თუ რა ფორმით მოხდება წარდგენა.<br>გადაამოწმე, ყველა მოსწავლემ სწორად გაიგო თუ არა კომპლექსური დავალების პირობა (დამაზუსტებელი და შემათანხმებელი ტიპის შეკითხვებით), შემდეგ კი მიზნობრივად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული კითხვები, რომელიც დაგეხმარებათ, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ თუ რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დაადასტურონ, თუ რა ისწავლეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით? ასევე დაგეხმარებათ კომპლექსური დავალების პროდუქტისთვის პრაქტიკული და ტექნიკური დეტალების დაზუსტებაში.<br>ინსტრუქცია მოსწავლეს: ყურადღებით მოუსმინე დასმულ შეკითხვებს და შეეცადე უპასუხო თითოეულ მათგანს:<br>1. დაკვირვებიხარ თუ არა, რა საჭიროებები და მოთხოვნილებები გაქვს? რა თანხა გჭირდება მათ დასაკმაყოფილებლად? გაქვს თუ არა ამის შესაძლებლობა?<br>2. შესაძლებელია თუ არა ყველა მოთხოვნილების სურვილის, საჭიროების დაკმაყოფილება?<br>3. რა გიშლის ხელს შენ, ან შენ გარშემოში მყოფ ადამიანებს?<br>4. რატომაა, რომ ზოგის ხელფასი ექვსციფრიანი რიცხვით გამოისახება, ზოგს კი საკვებისთვის ძლივს ჰყოფნის?</td>
<td>წარმოიდგინე, შენ და შენმა მეგობრებმა მიზნად დაისახეთ ხელი შეუწყოთ სახელმწიფოში მდგრადი ეკონომიკური გარემოს შექმნას, რის მთავარ წინაპირობას სწორედ ადგილობრივი ეკონომიკის გაჯანსაღება წარმოადგენს. ამიტომ გადაწყვიტეთ შეიმუშავოთ ეკონომიკური განვითარების გეგმა ადგილობრივი რესურსების, საჭიროებების და შრომის განაწილების პრინციპების გათვალისწინებით. ეკ. განვითარების გეგმა განსახილველად შესთავაზეთ ადგილობრივ თვითმმართველობას. დაფიქრდი, როგორ დაგეგმავდი შენი ქალაქის, რეგიონის, სოფლის ეკონომიკურ</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| **ინიციატივა და მეწარმეობა.**<br>**შედეგები:**<br>**საბაზო საფეხური:**<br>**5, 6, 7.**<br>1. პირადი/საზოგადოებრივი საჭიროებების განსაზღვრა ნებისმიერი ინიციატივის საფუძველია;<br>2. მეწარმე არის ადამიანი, რომელსაც აქვს საზოგადოებისთვის სასარგებლო იდეა და მზად არის რისკი გასწიოს საკუთარი იდეის განვითარებისთვის;<br>3. მკაფიო მიზნების დასახვა, რესურსებისა და მოქმედებების დაგეგმვა და დროში განაწილება წარმატებული საქმიანობის აუცილებელი პირობაა;<br>4. მოქმედებებისგან მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრა გვეხმარება გაუთვალისწინებელი რისკების შემცირებაში; | **ეტაპი 2.** კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა. სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება.<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> *როგორ შევასრულო მოცემული დავალება?*<br><br>**აქტივობა 1**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** დაფიქრდი, რა პროცესები ხდება შენ გარშემო ყოველდღე, ვის მიერ მიღებულ და კონკრეტულად რომელ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული შენი ყოველდღიური ყოფა, სწავლა, დასვენება, კვება და ჯანმრთელობა?<br>ამბავი 1-ში (გვ. 55) აღწერილია შენი ერთი ჩვეულებრივი დილა. როგორ ფიქრობ, რამდენმა ადამიანმა იზრუნა შენი ერთი დილისთვის?<br>• ჩამოთვალე და დააკავშირე მათი საქმიანობა და შესაძლებლობები შენს საჭიროებებთან.<br><br>**აქტივობა 2**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** გაეცანი მასალას „მნიშვნელოვანი საკითხები“ (გვ. 55), დაფიქრდი და ძირითად საკითხებზე შეავსე ინფორმაციული საათი. გაითვალისწინე შიდა და გარე სეგმენტები, გარე სეგმენტებზე განათავსე 12 ფაქტი, მოვლენა, ინფორმაცია, ხოლო შიდა 4 სეგმენტზე ძირითადი დასკვნითი ასპექტები.<br>**„ინფორმაციული საათი“**<br>**დავალება:** წაიკითხე სახელმძღვანელოს ტექსტი და მასზე დაყრდნობით ამოწერე ყველაზე მნიშვნელოვანი 4 ფაქტი.<br><br><br>• რა არის ეკონომიკა?<br>• ეკონომიკის რომელ დარგებს იცნობთ?<br>• რომელ ეკონომიკურ სისტემებს იცნობთ?<br>• რას ნიშნავს ალტერნატიული ღირებულება?<br>• როგორი შეიძლება იყოს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა? | განვითარებას და რა მახასიათებლებსა და რესურსებს წარმოაჩენდი ამისთვის?<br><br>**ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>• შენს თემში არსებული რომელი რესურსის გამოყენება დაედო საფუძვლად ეკონომიკური განვითარების გეგმის შედგენას? (მდგ.1; ი.მ.1,2)<br>• შენ მიერ შედგენილი განვითარების გეგმის მნიშვნელობა ეკონომიკური განვითარების კუთხით; (მდგ.2; ი.მ.4)<br>• როგორ შეუძლია ერთ ადამიანს საზოგადოებისა და ქვეყნისთვის საჭირო და მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება კონკრეტული ქმედებებით? მოიყვანე მაგალითები; (მდგ.2; ი.მ.3)<br>• რატომ და როგორ უნდა ვიზრუნოთ ჩვენს ქალაქში/დაბაში/რეგიონში ეკონომიკური განვითარებისა და დასაქმების მიმართულებით არსებული პრობლემების მოგვარებაზე/ არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე? (ი.მ.4)<br>• გაითვალისწინე ეკონომიკური საქმიანობების რისკები და საფრთხეები, როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ დონეზე; (მდგ.2) |

5. გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია ზნეობრივი და საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინება; შედეგის მისაღებად პროცესზე დაკვირვებაა საჭირო.

- რა როლი აქვს და როგორ ახორციელებს მთავრობა მასზე დაკისრებულ მოვალეობას ეკონომიკაში?
- რა არის და ვინ ადგენს ბიუჯეტს?
- როგორ ვლინდება სახელმწიფო პოლიტიკა ბიუჯეტის დაგეგმვა/განკარგვის შემთხვევაში?
- ვინ ახორციელებს კონტროლს სახელმწიფო ბიუჯეტზე?
- რა შეადგენს ჩვენი ქვეყნის შემოსავლებს?
- რომელი გადასახადებით ივსება ბიუჯეტი?
- რაზე იხარჯება ბიუჯეტი?

**ინსტრუქცია მოსწავლეს:**
დაფიქრდი და უპასუხე ქვემოთ მოცემულ კითხვებს:
- შენ ალბათ გსმენია ეროვნული ბანკის შესახებ. დაფიქრდი, რას მოიაზრებს მისი სახელწოდება „ეროვნული"?
- რა მისიას, ფუნქციას შეიძლება ასრულებდეს ეროვნული ბანკი ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში?

შენი მოსაზრებები დაწერე ინდივიდუალურად, ფერად ფურცლებზე და შეაგროვე.
შემდეგ ეტაპზე კი გაეცანით (გვ. 58) მოცემულ წყაროს საქ. ეროვნული ბანკის შესახებ და შეავსე სქემა 3-2-1.




**აქტივობა 3**
**ინსტრუქცია მოსწავლეს:** სქემა 1 და 2-ის (გვ. 62) მიხედვით გააანალიზე:



- როგორ უნდა მოიქცნენ ბიზნესის მფლობელები და მწარმოებლები, რომ მათ მიერ განხორციელებულმა ეკონომიკურმა საქმიანობამ ზიანი არ მიაყენოს გარემოს, რომ დაბალანსდეს ეკონომიკური სარგებელი? (ი.მ.5)

**პრაქტიკული რეკომენდაციები:**
*ეფექტური ეკონომიკური დაგეგმვა.*

1. როგორ იქმნება მთლიანი შიდა პროდუქტი, საქმიანობის რა სფეროებია მოცემული და რა წილი აქვთ მშპ-ში მათ?
2. როგორ იქმნება ქვეყანაში ერთიანი სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკას?




**აქტივობა 4**
**ინსტრუქცია მოსწავლეს:** „მნიშვნელოვანი საკითხების“ (გვ. 63) მიხედვით უპასუხეთ მთავარ კითხვას – რა არის შრომის დანაწილება და რა გავლენას ახდენს ის ქვეყნის ეკონომიკაზე?




**აქტივობა 5**
**ინსტრუქცია მოსწავლეს:** გააანალიზე წიგნში მოცემული სქემა №3 (გვ. 64) და იმსჯელე;
- რატომ არის მნიშვნელოვანი შრომის განაწილება?
- რა დადებითი შედეგები ახლავს მას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში?
- როგორ დაგეგმავდი შენი ქალაქის, სოფლის, რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას? რა მახასიათებლებს და რესურსებს გამოიყენებდი ამისთვის?
- დაასაბუთე შენ მიერ შედგენილი განვითარების გეგმის მნიშვნელობა ეკონომიკური განვითარების კუთხით.

**აქტივობა 6**
**ინსტრუქცია მოსწავლეს:** გააანალიზე (გვ. 65) მოცემული რუკა და იმსჯელე:
1. რა ფაქტორები განაპირობებს მეურნეობის დარგების განაწილებას?
2. დაახასიათე რეგიონები მასში განვითარებული დარგების მიხედვით.

**აქტივობა 7**

**ინსტრუქცია მოსწავლეს:** ყურადღებით წაიკითხე ქვემოთ მოცემული ჩანაწერი ადამ სმითის სიტყვები და წყვილებში იმუშავეთ მის გაანალიზებაზე (გვ. 63).

**„მომეცი, რაც მე მჭირდება, და მოგცემ იმას, რაც შენ გჭირდება .ყასაბი, მელვინე და მეპურე ჩვე-ნის ადილისათვის საჭირო პროდუქტებს ქველმოქმედების გამო კი არა, არამედ თავის საკუთარ ინტერესებზე ზრუნვის გამო გვაძლევენ".**

*სხვადასხვა დარგების როლი ეკონომიკის განვითარებაში.*




**აქტივობა 8**

**საშინაო დავალება**

**ინსტრუქცია მოსწავლეს:** *ბიუჯეტის დაგეგმვა* – დაგეგმე შენი ერთი დღის ბიუჯეტი ცხრილის დახმარებით.

| დღე | შენაძენი | საფასური | ჯამი |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |

<table>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td>
<td>საკითხი/საკითხები<br>რატომ არის სასარგებლო საერთაშორისო ვაჭრობა ეკონომიკისთვის და ცალკეული მომხმარებლისათვის?<br>რატომ ესწრაფვის ზოგიერთი ქვეყანა სხვა სახელმწიფოებთან ეკონომიკურ ინტეგრაციას?<br>რატომ არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციები?<br>მოსწავლის წიგნი §2.2.</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/საკვანძო შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება/დავალებები შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ქვეცნებები:<br>•ეკონომიკური თავისუფლება;<br>•საერთაშორისო ვაჭრობა;<br>•პროტექციონიზმი;<br>•მსოფლიო ბანკი;<br>•ეკონომიკური ინტეგრაცია;<br>•ექსპორტი, იმპორტი;<br>•ბაზრის ტიპები;<br>•თავისუფალი ბაზარი.</td>
<td>• რატომ თანხმდებიან ქვეყნები სავაჭრო სისტემის რეგულირებაზე?<br>• რატომ შეიქმნა და რა მიზნებს ემსახურება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია?<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი თავისუფალი სავაჭრო ბაზარი?</td>
</tr>
<tr>
<td>დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები).<br>შედეგები:<br>საბაზო საფეხური:<br>3, 4, 13.<br>1. ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით;<br>2. ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები):<br>ტაპი 1. კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია).<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?<br>რეკომენდაცია მასწავლებელს: დეტალურად გააცანით მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და შეთანხმდით ვადებზე, თუ რა დროის განმავლობაში უნდა შესრულდეს კომპლექსური დავალების პროდუქტი. ასევე შეთანხმდით, თუ რა ფორმით მოხდება წარდგენა.<br>გადაამოწმე, ყველა მოსწავლემ სწორად გაიგო თუ არა კომპლექსური დავალების პირობა (დამაზუსტებელი და შემათანხმებელი ტიპის შეკითხვებით), შემდეგ კი მიზნობრივად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული კითხვები, რომელიც დაგეხმარებათ, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ თუ რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დაადასტურონ, თუ რა ისწავლეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით? ასევე დაგეხმარებათ კომპლექსური დავალების პროდუქტისთვის პრაქტიკული და ტექნიკური დეტალების დაზუსტებაში.<br>ინსტრუქცია მოსწავლეს: ყურადღებით მოუსმინე დასმულ შეკითხვებს და შეეცადე უპასუხო თითოეულ მათგანს:<br>1. როდესაც ყიდულობ ნივთს, რას აკვირდები, რას ანიჭებ უპირატესობას; ეტიკეტს, ფაქტურას და სხვ.</td>
<td>როგორც იცი ქვეყნები აწარმოებენ პროდუქციის ექსპორტს და იმპორტს. ესტუმრე შენს საცხოვრებელ სახლთან ახლოს მდებარე მარკეტს, გამოიკვლიე მარკეტში გასაყიდად განთავსებული კვების პროდუქტებიდან და ჰიგიენური საშუალებებიდან რა რაოდენობაა შემოტანილი სხვა ქვეყნიდან და რა რაოდენობაა ადგილზე წარმოებული. შეარჩიე ორი ერთნაირი პროდუქცია, რომელთაგან ერთი მზადდება საქართველოში და მეორე შემოტანილია. შეადარე მათი ფასები ერთმანეთს და დაადგინე</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს;<br>3. დემოკრატიულ საზოგადოებაში/ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა;<br>4. დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, ხელისუფლების დანაწილება, სამართლიანი არჩევნები, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს.<br><br>**სამოქალაქო მონაწილეობა:**<br>**შედეგები:**<br>**საბაზო საფეხური:**<br>**8, 9, 12 ,13.**<br>1. დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება;<br>2. სამოქალაქო მონაწილეობა საზოგადოებრივ საჭიროებებზე/ქვეყანაზე ზრუნვის საშუალებაა; | 2. როგორ არის დაკავშირებული შენი მოთხოვნილებები და საჭიროებები ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობებზე?<br>3. როგორ იღებს ადამიანი ეფექტურ ფინანსურ გადაწყვეტილებებს და რამდენად არის ეს გადაწყვეტილებები დაკავშირებული ქვეყნებს შორის ვაჭრობასთან?<br><br>**ეტაპი 2.** კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა. სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება.<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> *როგორ შევასრულო მოცემული დავალება?*<br><br>**აქტივობა 1**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** აქტივობა №1 (გვ. 67). წაიკითხე ილიას გამონათქვამი და გამოთქვი შენი ვარაუდები.<br>ილია ჭავჭავაძე – ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების საზრუნავი.<br><br>**აქტივობა 2**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** წაიკითხე სიტუაციური ამოცანა აქტივობა 1 (გვ. 67) და შექმენი SWOT ანალიზი.<br>დაგეგმე ამ პრობლემის მოგვარებისკენ მიმართული ნაბიჯები.<br>• რა სტრატეგია არის შესაფერისი ამ სიტუაციაში?<br>• როგორ დაგეგმავდი სამოქმედო გეგმას? | მათ შორის სხვაობა, მონაცემების ანალიზის გათვალისწინებით **დაწერე ანგარიში**.<br><br>**ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>• როგორ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო ბაზაში მომხმარებლის უფლებები? (დ.ე.მ.2)<br>• როდესაც მომხმარებელს არ აქვს ინფორმაცია, ადგილობრივ პროდუქციას ყიდულობს თუ შემოტანილს, შესაბამისად შესაძლებელია იხდიდეს უფრო მაღალ ფასს. ამ შემთხვევაში ირღვევა თუ არა მისი უფლებები და რა ღონისძიებები უნდა გაატაროს მარკეტის მფლობელმა ან სახელმწიფომ, რომ არ დაირღვეს; (დ.ე.მ.2,4)<br>• რა უნდა გააკეთოს მყიდველმა/მომხმარებელმა საკუთარი უფლების დასაცავად, როდესაც იგივე ხარისხის, იგივე პროდუქციაში მხოლოდ იმიტომ იხდის უფრო ძვირს, რომ ის შემოტანილია; (დ.ე.მ.4)<br>• როგორ უნდა მოიქცეს მომხმარებელი იმისათვის, რომ საკუთარი ქმედებებით მხარი დაუჭიროს ადგილობრივ წარმოებას; (ს.მ.1,2) |

<table>
<tr>
<td>3. აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან;<br>4. სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება;<br>5.სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს.</td>
<td>
<table>
<tr><th>S - ძლიერი მხარეები</th><th>W - სუსტი მხარეები</th></tr>
<tr><td>1. ..........<br>2. ..........<br>3. ..........</td><td>1. ..........<br>2. ..........<br>3. ..........</td></tr>
<tr><th>O - შესაძლებლობები</th><th>T - საფრთხეები</th></tr>
<tr><td>1. ..........<br>2. ..........<br>3. ..........</td><td>1. ..........<br>2. ..........<br>3. ..........</td></tr>
</table>
აქტივობა 3<br>
ინსტრუქცია მოსწავლეს: „მნიშვნელოვანი საკითხები“ (გვ. 68).<br>
რას ნიშნავს ეკონომიკური სისტემები და რა განასხვავებს მათ ერთმანეთისგან?<br>
რატომ თანხმდებიან ქვეყნები სავაჭრო სისტემის რეგულირებაზე? რა შედეგი მოქვს ამ შეთანხმებებს ქვეყნებისთვის? რატომ შეიქმნა და რა მიზნებს ემსახურება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია?<br><br>
ინსტრუქცია მასწავლებელს: ვარიანტი A-სტრატეგია – პაუზებითი კითხვა<br>
მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დეტალურ ინსტრუქციას და სთხოვს, სიღრმისეულად დაამუშავონ ტექსტი. მეთოდი საშუალებას გვაძლევს ყველა დონის მოსწავლეს გავააზრებინოთ და დავამუშავებინოთ თუნდაც რთული ტექსტი. ყოველი პაუზის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს დასკვნები გააკეთონ. დასკვნები იწერება ფერად ფურცლებზე, რომელიც შემდეგ ერთიანდება.<br>
ტექსტზე მუშაობა რამდენიმე ეტაპად უნდა დავყოთ. თავდაპირველად მოსწავლეებს ტექსტის ზედაპირული გადათვალიერება უნდა ვთხოვოთ. სასურველია, მათ ტექსტიდან პერსონალიების, თარიღების, ობიექტებისა და სხვა, ადვილად აღსაქმელი ინფორმაციის გამოცალკევება და ამოწერა დავავალოთ.<br>
ტექსტის ამგვარად დამუშავების შემდეგ მოსწავლეებს ძირითადად აღარ აშინებთ მასალის ტექსტის სირთულე და ისინი უკვე მზად არიან უფრო რთული აქტივობების შესასრულებლად.<br>
მომდევნო ეტაპზე საჭიროა ტექსტი აზრობრივ აბზაცებად და სტროფებად დავანაწილოთ. კარგი იქნება, თუ ასეთ აზრობრივ დავასათაურებთ და მათ შინაარსს საჯაროდ გავაანალიზებთ.<br><br>
ვარიანტი Snsk (შნესკას მეთოდი) – შეწყობილ ნიშანთა სისტემა კითხვისათვის.<br>
V – ნაცნობი ინფორმაცია;<br>
+ – ახალი, განსხვავებული ინფორმაცია;<br>
? – ბუნდოვანი ინფორმაცია.
</td>
<td>• რატომ არის სასარგებლო საერთაშორისო ვაჭრობა ეკონომიკისთვის და ცალკეული მომხმარებლისათვის? (ს.მ.3)<br>• რატომ ესწრაფვის ზოგიერთი ქვეყანა სხვა სახელმწიფოებთან ეკონომიკურ ინტეგრაციას? (დ.ე.მ.4; ს.მ.4,5)</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| | წაიკითხე ტექსტი დამოუკიდებლად და კითხვის პროცესში გამოიყენე შემდეგი ნიშნები: V-თი აღნიშნეთ ყველა ის აბზაცი, რომელშიც უკვე ნაცნობი ინფორმაციაა გადმოცემული; +-ით – ახალი, განსხვავებული ინფორმაცია; ?-ით – ბუნდოვანი ინფორმაცია, რომელიც დაზუსტებასა და ახსნას მოითხოვს.<br>**აქტივობა 4**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** უკვე იცი და განიხილე, თუ რა მნიშვნელობა აქვს საგარეო ვაჭრობას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. ვფიქრობ, შენთვის საინტერესო იქნება გააანალიზო დიაგრამა (გვ. 70-71) 1, 2; წყარო 1 (გვ. 71), აქტივობა 2, რომელიც ასახავს საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებს და დაფიქრდე, რატომ არის მნიშვნელოვანი ქვეყნის ეკონომიკისთვის ექსპორტი. შეავსე ცხრილი და იმსჯელე:<br>1. როგორ იცვლება ქვეყნის იმპორტისა და ექსპორტის მაჩვენებელი წლების მიხედვით?<br>2. რა ახდენს გავლენას მონაცემების ცვლილებაზე?<br>3. შენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი ექსპორტი და როგორ უნდა განავითაროს ქვეყანამ ეს?<br>4. გარდა ჩამოთვლილი საექსპორტო პროდუქციისა და მომსახურებისა, რა დარგების განვითარების შედეგად შეიძლება ჩამონათვალის შევსება?<br>5. რა პროდუქცია ან მომსახურების სფეროს ჩანაცვლება შეიძლება ქვეყნის დონეზე ჩამოთვლილ საიმპორტო პროდუქციაში?<br><br>**აქტივობა 5**<br>**ინტრუქცია მოსწავლეს:** რადგან ბევრი ვიმსჯელეთ თავისუფალი სავაჭრო სივრცისა და ეკონომიკის შესახებ, საინტერესოა, რა იცი ბაზრის შესახებ? როგორ აისახება რიგით მომხმარებელზე ყიდვა-გაყიდვის პროცესი?<br>განიხილე „საინტერესო და მნიშვნელოვანი“ გვ.71.<br><br> | |

**აქტივობა 6**
**ინტრუქცია მოსწავლეს:** წაიკითხე ამბავი 1, 2 (გვ.72-73) და იმსჯელე:
1. რატომ არის მნიშვნელოვანი საქმიანობების გადანაწილება არსებული რესურსების შესაბამისად?
2. რა დადებითი შედეგი მოქვს რესურსებისა და საქმიანობის გადანაწილებას მომხმარებლისთვის?
3. რა დადებითი შედეგი მოქვს საქმიანობის/წარმოების სფეროების გადანაწილებას ქვეყნის ეკონომიკისთვის?
4. რა დადებითი შედეგი მოაქვს საგარეო ვაჭრობას ქვეყნების ეკონომიკისთვის?

**აქტივობა 7**
**ინსტრუქცია მოსწავლეს:** შენ უკვე იცი, რას ნიშნავს ეკონომიკა და რა მნიშვნელობა აქვს მას თითოეული ადამიანის კეთილდღეობისთვის. გააანალიზე ამბავი 2, (გვ. 74) და გამოთქვი შენი მოსაზრებები:
1. რატომ არის მნიშვნელოვანი ბაზრის თავისუფლება?
2. ჯანსაღი კონკურენციის შემთხვევაში რატომ ისარგებლებს მოსახლეობა?
3. როგორ უნდა დაიცვას სახელმწიფომ საკუთარი ქვეყნის ვაჭრობა?
4. რატომ არის მნიშვნელოვანი საერთო შედეგისთვის ინდივიდუალური ქმედებები?
ამბავი 2, (გვ. 74) შეავსე სქემა.




**ჯგუფური მუშაობა – პრაქტიკული რჩევები**
მოსწავლეებს სთხოვეთ იმუშაონ ჯგუფებში და ყურადღება გაამახვილონ შემდეგ საკითხებზე:
- დაფიქრდით და გაითვალისწინეთ, რა მიზნით და ვისთვის ქმნით კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტს;
- დაფიქრდით რა რესურსები გჭირდებათ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად;
- შეადგინეთ პროდუქტის სავარაუდო გეგმა;
- განიხილეთ ჯგუფებში.

| | | |
|---|---|---|
| | **რეკომენდაცია მასწავლებელს:** დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლე მზაობითაა კომპლექსური დავალების პროდუქტის შესაქმნელად.<br>**კომპლექსური დავალების წარდგენა** საერთო საკლასო მუშაობის ფონზე:<br>» მასწავლებელი ამზადებს მსმენელის დღიურს და აცნობს კლასს, უხსნის, რომ წარდგენისას, მსმენელები მოუსმენენ თითოეულ პრეზენტატორს და თან ე.წ. მსმენელის დღიურში ჩაინიშნავენ სათქმელს.<br><br>**მსმენელის დღიური:**<br>• რაში ვეთანხმები გამომსვლელს?<br>• რა შევამჩნიე პრეზენტაციის დროს ისეთი, რაზეც არ უსაუბრია გამომსვლელს?<br>• ან პირიქით, რა ისეთ დეტალზე ილაპარაკა, რომელსაც მე არ მივაქციე ყურადღება?<br><br>**განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული შემდეგ ნიუანსებზეც:**<br>• კომპლექსურ დავალებაზე ერთობლივად მუშაობის დროს რა საერთო მიზანი, საზრუნავი და ინტერესი გვაერთიანებდა?<br>• გაგვიჭირდა თუ არა ურთიერთშეთანხმება? რა გზებით და საშუალებებით მივაღწიეთ საბოლოო მიზანს?<br>• განიცადა თუ არა ცვლილება ჩვენმა შეხედულებებმა საკითხზე, შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს საკუთარ გარემოში პოზიტიური ცვლილებების განხორციელება?<br>• რას შეცვლიდით მომავალში სხვა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში და წარდგენისას?<br>შეაფასე შენი ნამუშევარი და გამოკვეთე:<br>• იყო თუ არა ეს საკითხი ჩემთვის საინტერესო და რატომ?<br>• გამომადგება თუ არა მომავალში, რა გამოცდილებაც შევიძინე და რა არის ასეთი კონკრეტულად?<br>• რა დამეხმარა კომპლექსური დავალების შესრულებაში ყველაზე მეტად? | |

<table>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td>
<td>საკითხი/საკითხები<br>როგორ დავიცვათ თავი ფინანსური თაღლითობისაგან?<br>როგორ ამოვიცნოთ გაყალბებული ფული?<br>მოსწავლის წიგნი §2.3.</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/საკვანძო შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება/დავალებები შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ქვეცნებები:<br>•კომუნიკაცია სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის;<br>•კოორდინირებული თანამშრომლობა;<br>•ინსტიტუციები;<br>•ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერება;</td>
<td>• როგორ დავიცვათ თავი ფინანსური თაღლითობისაგან?<br>• როგორ ავწონ-დავწონოთ ფინანსურ მომსახურებასთან/პროდუქტთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები?</td>
</tr>
<tr>
<td>სოციალიზაცია (პიროვნება, ინდივიდი და საზოგადოება).<br>შედეგები:<br>საბაზო საფეხური:<br>1, 2.<br>1. ადამიანი არის პიროვნება, საკუთარი მსოფლმხედველობითა (იდეები, ღირებულებები) და მისწრაფებებით; მას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება;<br>2. ადამიანს გააჩნია სხვადასხვა (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური კონტაქტების და სხვა) მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე ის ვერ შეძლებს პიროვნულ განვითარებას;</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები):<br>ეტაპი 1. კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია).<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?<br>რეკომენდაცია მასწავლებელს: დეტალურად გააცანით მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და შეთანხმდით ვადებზე, თუ რა დროის განმავლობაში უნდა შესრულდეს კომპლექსური დავალების პროდუქტი. ასევე შეთანხმდით, თუ რა ფორმით მოხდება წარდგენა.<br>გადაამოწმე, ყველა მოსწავლემ სწორად გაიგო თუ არა კომპლექსური დავალების პირობა (დამაზუსტებელი და შემათანხმებელი ტიპის შეკითხვებით), შემდეგ კი მიზნობრივად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული კითხვები, რომელიც დაგეხმარებათ, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ თუ რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დაადასტურონ, თუ რა ისწავლეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით? ასევე დაგეხმარებათ კომპლექსური დავალების პროდუქტისთვის პრაქტიკული და ტექნიკური დეტალების დაზუსტებაში.<br>ინსტრუქცია მოსწავლეს: ყურადღებით მოუსმინე დასმულ შეკითხვებს და შეეცადე უპასუხო თითოეულ მათგანს:<br>1. თუ გახსენდება მაგალითები ოჯახის წევრების ან ახლობლების კონკრეტული ისტორიები/შემთხვევები, როცა ისინი ფინანსური თაღლითობის მსხვერპლი გახდნენ?<br>2. რატომ არის მნიშვნელოვანი ფინანსური უსაფრთხოება?<br>3. ვინ ან რამ შეიძლება დაგვაზარალოს ფინანსურად?<br>4. რა თავდაცვითი მექანიზმები შეიძლება არსებობდეს?<br>ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა. სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება.</td>
<td>ჩაატარე გამოკითხვა „ფეისბუკზე“, ვინ იყო ფინანსური თაღლითობის მსხვერპლი? რა ტიპის ფინანსურ თაღლითობას ჰქონდა ადგილი, როგორ მოატყუეს? რატომ მოხდა კონკრეტული შემთხვევა და როგორ დავიცვათ თავი ფინანსური თაღლითობისგან?<br>გამოკითხვის მონაცემები შეაგროვე, დაამუშავე და დაწერე ინტერნეტ-სტატია სახელწოდებით „როგორ დავიცვათ თავი ფინანსური თაღლითობისაგან?“ სტატია გააზიარე სოც.ქსელში.<br><br>ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე:<br>• რა ინფორმაციას უნდა ფლობდეს პიროვნება, რომ არ გახდეს ფინანსური თაღლითობის მსხვერპლი; (სოც.4)</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| 3. სხვა ადამიანებ-თან/ სოციალურ ჯგუფებთან/ინსტი-ტუციებთან ურ-თიერთობა ადამიანს პიროვნულ განვი-თარებაში უწყობს ხელს;<br>4. ასერტულობა (ადამიანის უნარი თამამად გამოხატოს საკუთარი აზრი სხ-ვისი შეურაცხყოფის გარეშე) ხელს უწ-ყობს პიროვნების და სოციუმის ჰარმონი-ულ ურთიერთობას. | <u>საკვანძო შეკითხვა:</u> *როგორ შევასრულო მოცემული დავალება?*<br><br>**აქტივობა 1**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** სიტუაცია, რომელიც ამბავი 1-შია, (გვ. 77) აღწერილი, ყველას შეიძლე-ბა შეემთხვეს. წაიკითხეთ, ჩამოწერე პრობლემები და მისი გამომწვევი მიზეზები, ასევე იმსჯელე როგორ შეიძლება ამ პრობლემების თავიდან არიდება, ამაში დაგეხმარება კითხვები:<br>1. გაგიგონია თუ არა შენ გარშემო მსგავსი ფაქტების შესახებ?<br>2. როგორი დამოკიდებულება აქვს ამ პრობლემების მიმართ შენს ირგვლივ მყოფ ადამიანებს?<br>3. იციან თუ არა ფინანსური თაღლითობის შესახებ?<br><br>**აქტივობა 2**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** „მნიშვნელოვანი საკითხები“ (გვ. 77) მოცემული ინფორმაცია განათავსე ფერად ფურცლებზე ძირითადი დასკვნების სახით და კლასში შექმენით საერთო რესურსი.<br><br>**აქტივობა 3**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** აქტივობა 1, (გვ. 80) დღესდღეობით, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი აქტიურად იყენებს ინტერნეტს, სწორედ ინტერნეტმომხმარებლები წარმოადგენენ თაღლითე-ბისთვის ყველაზე ადვილად ხელმისაწვდომ და მიმზიდველ სამიზნეს, რაც გამოწვეულია მოსახ-ლეობის დაბალი ინფორმაციის დონით და ისინი ადვილად ხდებიან თაღლითების მსხვერპლნი.<br>ქვემოთ მოცემული საინფორმაციო ფლაერი გადაიტანე რვეულში და შეავსე სექცია პრაქტიკული რჩევები მოსახლეობას – „დაიცავი წესები და არ გახდები თაღლითობის მსხვერპლი“, რომელიც მოსახლეობას აღნიშნული პრობლემის შესახებ ინფორმაციის მიღებაში დაეხმარება..<br><br>**აქტივობა 4**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** „ეს საინტერესოა“ (გვ. 80) – წარმოიდგინე, რომ შენ ხარ ეკონომიკის სფეროში უფროსი სპეციალისტი-ექსპერტი და გადაწყვიტე ბანკნოტების დამცავი ნიშნების გზავ-ნილების შექმნა:<br>გამოიყენე წიგნის რესურსი – „ბანკნოტის სხვადასხვა კუთხით დახრისას შემდეგი დამცავი ნიშ-ნების ამოცნობაა შესაძლებელი“ და შექმენი მცირე ჯგუფებში გზავნილების ბარათი.<br> | • რატომ არის მნიშვნელოვანი საზოგადოების წევრებს შორის ჯანსაღი კომუნიკაცია და თა-ნამშრომლობა იმისათვის, რომ საზოგადოების თითოეულმა წევრმა ფინანსური თაღლითო-ბისგან დაცულად იგრძნოს თავი და არ დაზარალდეს; (სოც.3)<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი ორგანიზაციების, საზოგადოე-ბის და სახელმწიფოს კოორ-დინირებული თანამშრომლობა ამ მიმართულებით? (სოც.1)<br>• საზიარო/შეთანხმებული წესები და ღირებულებები, რომლებიც საფუძვლად უდევს საზოგადოების წევრებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს. (სოც.2) |

**აქტივობა 5**
**ინსტრუქცია მოსწავლეს:**
„მნიშვნელოვანი საკითხები“ (გვ. 82). უპასუხეთ კითხვების პირამიდას:




**აქტივობა 6**
**ინსტრუქცია მოსწავლეს:** განიხილე დიაგრამა (გვ. 85), დაადგინე:
1. რა გავლენა იქონია ხელფასის ზრდამ სამომხმარებლო კალათაზე?
2. რა გავლენა მოადინა ინფლაციამ ცხოვრების დონეზე?
3. რა შედეგებია თვეების მიხედვით ხელფასსა და საჭიროებების დაკმაყოფილებას შორის? რატომ არის ეს შედეგები, რა არის ამის მიზეზი?
4. მიუხედავად ხელფასის მატებისა ივლისის თვეში, რატომ არ შეუძლია მოსახლეობას იყიდოს უფრო მეტი პროდუქტი და მომსახურება?



**ჯგუფური მუშაობა – პრაქტიკული რჩევები**

მოსწავლეებს სთხოვეთ იმუშაონ ჯგუფებში და ყურადღება გაამახვილონ შემდეგ საკითხებზე:

- დაფიქრდი და გაითვალისწინე, რა მიზნით და ვისთვის ქმნით კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტს.
- დაფიქრდით რა რესურსები გჭირდებათ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად.
- შეადგინე პროდუქტის სავარაუდო გეგმა;
- განიხილეთ ჯგუფებში.

**რეკომენდაცია მასწავლებელს:** დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლე მზაობითაა კომპლექსური დავალების პროდუქტის შესაქმნელად.

**კომპლექსური დავალების წარდგენა** საერთო საკლასო მუშაობის ფონზე:

» მასწავლებელი ამზადებს მსმენელის დღიურს და აცნობს კლასს, უხსნის, რომ წარდგენისას, მსმენელები მოუსმენენ თითოეულ პრეზენტატორს და თან ე.წ. მსმენელის დღიურში ჩაინიშნავენ სათქმელს.

**მსმენელის დღიური:**

- რაში ვეთანხმები გამომსვლელს?
- რა შევამჩნიე პრეზენტაციის დროს ისეთი, რაზეც არ უსაუბრია გამომსვლელს?
- ან პირიქით, რა ისეთ დეტალზე ილაპარაკა, რომელსაც მე არ მივაქციე ყურადღება?

**განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული შემდეგ ნიუანსებზეც:**

- კომპლექსურ დავალებაზე ერთობლივად მუშაობის დროს რა საერთო მიზანი, საზრუნავი და ინტერესი გვაერთიანებდა?
- გაგვიჭირდა თუ არა ურთიერთშეთანხმება? რა გზებით და საშუალებებით მივაღწიეთ საბოლოო მიზანს?
- განიცადა თუ არა ცვლილება ჩვენმა შეხედულებებმა საკითხზე, შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს საკუთარ გარემოში პოზიტიური ცვლილებების განხორციელება?
- რას შეცვლიდით მომავალში სხვა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში და წარდგენისას?

**შეაფასე შენი ნამუშევარი და გამოკვეთე:**

- იყო თუ არა ეს საკითხი ჩემთვის საინტერესო და რატომ?
- გამომადგება თუ არა მომავალში, რა გამოცდილებაც შევიძინე და რა არის ასეთი კონკრეტულად?
- რა დამეხმარა კომპლექსური დავალების შესრულებაში ყველაზე მეტად?

<table>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td>
<td>საკითხი/საკითხები<br>რატომ უნდა ვიცოდეთ ჩვენი, როგორც მომხმარებლების უფლებები და პასუხისმგებლობები? როგორ უნდა დავიცვათ საკუთარი უფლებები?<br>მოსწავლის წიგნი §2.4.</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/საკვანძო შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება/დავალებები შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ქვეცნებები:<br>• სამართლებრივი დოკუმენტები;<br>• მომხმარებელთა უფლება-მოვალეობები;<br>• პასუხისმგებლობები;<br>• საკუთრების უფლება;<br>• ფინანსური ორგანიზაციები;</td>
<td>• რატომ უნდა ვიცოდეთ ჩვენი, როგორც მომხმარებლების უფლებები და პასუხისმგებლობები? როგორ უნდა დავიცვათ საკუთარი უფლებები?</td>
</tr>
<tr>
<td>დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები).<br>შედეგები:<br>საბაზო საფეხური: 3, 4, 13.<br>1. ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით;<br>2. ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს;</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები):<br><br>ტაპი 1. კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია).<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?<br>რეკომენდაცია მასწავლებელს: დეტალურად გააცანით მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და შეთანხმდით ვადებზე, თუ რა დროის განმავლობაში უნდა შესრულდეს კომპლექსური დავალების პროდუქტი. ასევე შეთანხმდით, თუ რა ფორმით მოხდება წარდგენა.<br>გადაამოწმე, ყველა მოსწავლემ სწორად გაიგო თუ არა კომპლექსური დავალების პირობა (დამაზუსტებელი და შემათანხმებელი ტიპის შეკითხვებით), შემდეგ კი მიზნობრივად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული კითხვები, რომელიც დაგეხმარებათ, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ თუ რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დაადასტურონ, თუ რა ისწავლეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით? ასევე დაგეხმარებათ კომპლექსური დავალების პროდუქტისთვის პრაქტიკული და ტექნიკური დეტალების დაზუსტებაში.<br>ინსტრუქცია მოსწავლეს: ყურადღებით მოუსმინე დასმულ შეკითხვებს და შეეცადე უპასუხო თითოეულ მათგანს:<br>1. შენ ყოველდღიურად სარგებლობ მომსახურეობის სხვადასხვა სერვისით. დაფიქრებულხარ თუ არა შენი, როგორც მომხმარებლის უფლებებზე?<br>2. ხომ არ გაიხსენებ შემთხვევას, როცა შენი, როგორც მომხმარებლის უფლებები დაირღვა?<br><br>ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა. სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება.<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> როგორ შევასრულო მოცემული დავალება?</td>
<td>A ვარიანტი<br>მომხმარებელთა უფლებებზე და პასუხისმგებლობებზე მოიკვლიე პრობლემები თემში ან სოციალურ ქსელში, ანდა შენს ქალაქსა თუ სოფელში (კვლევის ინსტრუმენტად გამოიყენე აქტივობების დროს შენ მიერ შექმნილი კითხვარი). მონაცემთა დამუშავების საფუძველზე შექმენი კვლევის ანგარიში. მშობლის / მასწავლებლის დახმარებით სკოლაში მოიწვიე ფინანსისტი და იურისტი. მათთან ერთად განიხილე ყველაზე აქტუალური პრობლემები ამ მიმართულებით.<br><br>კვლევის ანგარიშში და პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:<br>• რა უფლებები აქვთ მომხმარებლებს კანონმდებლობის მიხედვით? მომხმარებელთა რომელი უფლებები ირღვევა? (1,2)</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| 3. დემოკრატიულ საზოგადოებაში/ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა;<br>4. დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, ხელისუფლების დანაწილება, სამართლიანი არჩევნები, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს. | **აქტივობა 1**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** ამბავი 1-ში (გვ. 87) მოცემულია სიტუაცია, რომელიც უნდა განიხილო, რაშიც კითხვები დაგეხმარება:<br>1. რა პრობლემას ხედავ?<br>2. შენი აზრით, რა არის პრობლემის გამომწვევი მიზეზი?<br>3. როგორ შეიძლებოდა პრობლემის თავიდან არიდება?<br>4. ამ შემთხვევაში დაირღვა თუ არა მამის უფლებები და თუ დაირღვა, რატომ ფიქრობ ასე?<br>5. როგორ მოიქცეოდი შენ ამ შემთხვევაში?<br>განხილვაში დაგეხმარება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის **ბრძანება №–** ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ.<br><br>**აქტივობა 2**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** გაეცანი „მნიშვნელოვანი საკითხები" (გვ. 87) და დაფიქრდი თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ყველა მოქალაქემ იცოდეს მისი უფლებები საკუთრების დაცვის მიზნით?<br>დოკუმენტზე დაყრდნობით მოიფიქრე შეკითხები მეწყვილისთვის, რომლებიც დაიწყება შემდეგი სახით.<br>რა მიზეზებმა განაპირობა...<br>რა მიზნებს ისახავს...<br>თქვენი აზრით რას უნდა ნიშნავდეს...<br>რა მოხდება თუ...<br>**საშინაო დავალება**: შესწავლილი მასალის საფუძველზე შეადგინე კითხვარი, მომხმარებელთა უფლებებზე.<br>***კითხვარის შექმნა***<br><br>**აქტივობა 3**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** (გვ. 89) შექმენი ნახატი/კარიკატურა/კომიქსი თემაზე „როგორ დავიცვა ჩემი ფინანსური უსაფრთხოება" და წარადგინე კლასში. | • არის თუ არა მნიშვნელოვანი და რატომ, დაცული იყოს მომხმარებელთა უფლებები დემოკრატიული გარემოის უზრუნველსაყოფად? (3,4)<br>**პრაქტიკული რეკომენდაციები:** ეროვნული ბანკი<br><br>**B ვარიანტი**<br>წარმოიდგინე რომ ხარ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი. მოგმართა მომხმარებელმა გვანცამ, რომელმაც ერთ-ერთ ონლაინ მაღაზიაში შეუკვეთა ნოუთბუქი, ოთხი დღის შემდგომ, როდესაც კურიერმა შეკვეთილი ნივთი მიუტანა, გვანცამ აღმოაჩინა რომ ნოუთბუქს ვიდეოთვალი არ ჰქონდა გამართულ რეჟიმში. მან ონლაინმაღაზიას მიმართა და სთხოვა, ნივთი გამოეცვალათ. მათ უპასუხეს, რომ გაგზავნისას ნოუთბუქს ყველაფერი წესრიგში ჰქონდა და ის ალბათ მან გააფუჭა. მათ ნივთის გამოცვლაზე გვანცას უარი უთხრეს. |

**აქტივობა 4**

**ინსტრუქცია მოსწავლეს:**

საშინაო დავალება: გაეცანი მასალას „ეს საინტერესოა“ (გვ. 89). შენ აქ გაეცნობი მიწის ნაკვეთებს, რომელიც არ ექვემდებარება საკუთრების უფლების აღიარებას.

გამოიკვლიე შენს თემში, მუნიციპალიტეტში, ქალაქში, ამ ადგილებიდან ჩამოთვლილი მიწის ნაკვეთებიდან რომელი არ ექვემდებარება საკუთრების უფლების აღიარებას.

დაფიქრდი და იმსჯელე, განიხილე ჩამონათვალი, შენი აზრით, რამდენად სწორად არის მიკუთვნებული ეს მიწები სახელმწიფოს საკუთარებას.

ააგე „შეზღუდვების პირამიდა“ და გაუზიარე კლასში თანატოლებს.



**აქტივობა 5**

**ინსტრუქცია მოსწავლეს:** გაეცანი მასალას „მნიშვნელოვანი საკითხები“ (გვ. 87) და უპასუხე შეკითხვას: რამდენად სანდოა საქართველოში ბაზარზე პროდუქტი? მოიყვანე პრაქტიკული მაგალითები.

სად უფრო გათვალისწინებულია უსაფრთხოება, მარკეტში თუ ბაზარში? მოიყვანე პრაქტიკული მაგალითები.

სად შეიძენდი შენ პროდუქტებს და რატომ? დაასაბუთე.

**აქტივობა 6**

**ინსტრუქცია მოსწავლეს:** შენ უკვე გაეცანი მომხმარებლის უფლებებს და იმ კანონებს, რომელიც იცავს მომხარებელს.

შექმენი მომხმარებლის ბარათი, სადაც ჩაოაყალიბებ იმ მოთხოვნებს, რომელიც დაგეგმარება და რომლის ცოდნაც აუცილებელია პროდუქციის შეძენის დროს (გვ. 91).

გთხოვ დაეხმარო გვანცას პრობლემის მოგვარებაში და დაუმზადო ბუკლეტი, სადაც მისცემ რჩევას მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ.

**ბუკლეტში/ბუკლეტის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**

- რატომ უნდა ვიცოდეთ ჩვენი, როგორც მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები?(1,2)
- რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას მოცემულ სიტუაციაში, პრობლემის სამართლიანად გარკვევისა და განხორციელებისთვის?(2)
- რატომ არის მნიშვნელოვანი მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა?(3.4.)

**პრაქტიკული რეკომენდაციები**

- მომხმარებელთა უფლებები;
- ფინანსური განათლება;
- ფინანსური თაღლითობა.

**აქტივობა 7**

**ინსტრუქცია მოსწავლეს:** საშინაო დავალება (გვ. 92): მაღაზიებში, ბაზარში და სუპერმარკეტებში პროდუქტების დიდი არჩევანია, მაგრამ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ნატურალური და გენმოდიფიცირებული პროდუქტების ერთმანეთისგან გარჩევა და შესაბამისად, არჩევანის გაკეთებაც.

მოიძიე ინფორმაცია გენმოდიფიცირებული პროდუქციის, მისი ამოცნობის საშუალებების შესახებ, განიხილე კანონები, სტატიები მოცემულ თემასთან დაკავშირებით და შექმენი საინფორმაციო ბუკლეტი მომხმარებლებისთვის. დავალების შესრულებაში დაგეხმარება საინფორმაციო და საინტერესო რესურსები.

**ჯგუფური მუშაობა – პრაქტიკული რჩევები**

მოსწავლეებს სთხოვეთ იმუშაონ ჯგუფებში და ყურადღება გაამახვილონ შემდეგ საკითხებზე:

- დაფიქრდით და გაითვალისწინეთ, რა მიზნით და ვისთვის ქმნით კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტს.
- დაფიქრდით, რა რესურსები გჭირდებათ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად.
- შეადგინეთ პროდუქტის სავარაუდო გეგმა;
- განიხილეთ ჯგუფებში;

**რეკომენდაცია მასწავლებელს:** დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლე მზაობითაა კომპლექსური დავალების პროდუქტის შესაქმნელად.

**კომპლექსური დავალების წარდგენა** საერთო საკლასო მუშაობის ფონზე:

» მასწავლებელი ამზადებს მსმენელის დღიურს და აცნობს კლასს, უხსნის, რომ წარდგენისას, მსმენელები მოუსმენენ თითოეულ პრეზენტატორს და თან ე.წ. მსმენელის დღიურში ჩაინიშნავენ სათქმელს.

**მსმენელის დღიური:**

- რაში ვეთანხმები გამომსვლელს?
- რა შევამჩნიე პრეზენტაციის დროს ისეთი, რაზეც არ უსაუბრია გამომსვლელს?
- ან პირიქით, რა ისეთ დეტალზე ილაპარაკა, რომელსაც მე არ მივაქციე ყურადღება?

| | | |
|---|---|---|
| | **განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული შემდეგ ნიუანსებზეც:**<br>• კომპლექსურ დავალებაზე ერთობლივად მუშაობის დროს რა საერთო მიზანი, საზრუნავი და ინტერესი გვაერთიანებდა?<br>• გაგვიჭირდა თუ არა ურთიერთშეთანხმება? რა გზებით და საშუალებებით მივაღწიეთ საბოლოო მიზანს?<br>• განიცადა თუ არა ცვლილება ჩვენმა შეხედულებებმა საკითხზე, შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს საკუთარ გარემოში პოზიტიური ცვლილებების განხორციელება?<br>• რას შეცვლიდით მომავალში სხვა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში და წარდგენისას?<br><br>**შეაფასე შენი ნამუშევარი და გამოკვეთე:**<br>• იყო თუ არა ეს საკითხი ჩემთვის საინტერესო და რატომ?<br>• გამომადგება თუ არა მომავალში, რა გამოცდილებაც შევიძინე და რა არის ასეთი კონკრეტულად?<br>• რა დამეხმარა კომპლექსური დავალების შესრულებაში ყველაზე მეტად? | |

**სამიზნე ცნება – სოციალიზაცია**

**საკითხი – „როგორ დავიცვათ თავი ფინანსური თაღლითობისაგან?“**

**კომპლექსური დავალების პირობა:**
ჩაატარე გამოკითხვა „ფეისბუკზე“ ვინ იყო ფინანსური თაღლითობის მსხვერპლი? რა ტიპის ფინანსურ თაღლითობას ჰქონდა ადგილი, როგორ მოატყუეს?
რატომ მოხდა კონკრეტული შემთხვევა და როგორ დავიცვათ თავი ფინანსური თაღლითობისგან? გამოკითხვის მონაცემები შეაგროვე, დაამუშავე და **დაწერე ინტერნეტსტატია სახელწოდებით „როგორ დავიცვათ თავი ფინანსური თაღლითობისაგან?“** სტატია გააზიარე სოც.ქსელში.

**ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე:**
- რა ინფორმაციას უნდა ფლობდეს პიროვნება, რომ არ გახდეს ფინანსური თაღლითობის მსხვერპლი.
- რატომ არის მნიშვნელოვანი საზოგადოების წევრებს შორის ჯანსაღი კომუნიკაცია და თანამშრომლობა იმისათვის, რომ საზოგადოების თითოეულმა წევრმა ფინანსური თაღლითობისგან დაცულად იგრძნოს თავი და არ დაზარალდეს.
- რატომ არის მნიშვნელოვანი სახელმწიფოს ჩართულობა ამ მიმართულებით და რამდენად არის საკანონმდებლო აქტებში გათვალისწინებული ფინანსური თაღლითობის საწინააღმდეგო ნორმები?
- რატომ არის მნიშვნელოვანი ორგანიზაციების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კოორდინირებული თანამშრომლობა ამ მიმართულებით?
- გაითვალისწინე საზიარო/შეთანხმებული წესები და ღირებულებები, რომლებიც საფუძვლად უდევს საზოგადოების შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს;
- როგორ ვიურთიერთოთ საერთაშორისო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან ეფექტური ეკონომიკური საქმიანობისათვის?

| **სამიზნე ცნება კრიტერიუმი** | **სამიზნე ცნება** |
|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ რამდენიმე/ყველა სამიზნე ცნებაზე.<br>მოსწავლე ინტერნეტსტატიაში, ასახელებს ყველა მნიშვნელოვან პუნქტს რომელიც საჭიროა იმ პრევენციული ღონისძიებებისთვის, თუ „როგორ დავიცვათ თავი ფინანსური თაღლითობისაგან?“, აღწერს საზიარო/შეთანხმებულ წესებს და ღირებულებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს საზოგადოების წევრებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს; აანალიზებს როგორი უნდა იყოს ამ მიმართულებით საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის კომუნიკაცია, ურთიერთთანამშრომლობა და რატომ? ასევე პრაქტიკული მაგალითებით იხსენებს მოსმენილ, წაკითხულ თუ რეალურ შემთხვევებს თუ რა ინფორმაციას უნდა ფლობდეს პიროვნება, რომ არ გახდეს ფინანსური თაღლითობის მსხვერპლი. მსჯელობს და ასაბუთებს პრაქტიკული მაგალითებით თუ რატომ არის მნიშვნელოვანი საზოგადოების წევრებს შორის ჯანსაღი კომუნიკაცია და თანამშრომლობა იმისათვის, რომ საზოგადოების თითოეულმა წევრმა ფინანსური თაღლითობისგან დაცულად იგრძნოს თავი და არ დაზარალდეს. განაზოგადებს, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი სახელმწიფოს ჩართულობა ამ მიმართულებით, რამდენად არის საკანონმდებლო აქტებში გათვალისწინებული ფინანსური თაღლითობის საწინააღმდეგო ნორმები. რატომ არის მნიშვნელოვანი ორგანიზაციების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კოორდინირებული თანამშრომლობა ამ მიმართულებით? აფასებს და წარმოადგენს საკუთარ დამოკიდებულებებს, თუ რატომ არის ეს თანამშრომლობა ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანი. მისი მსჯელობა სტრუქტურირებულია, ლოგიკური, მიზეზ-შედეგობრივი და ყოველი ასპექტი ურთიერთმიმართებული ერთმანეთზე. |

| მიმართებითი დონე | აღწერილობა | კომენტარი |
|---|---|---|
| მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლემ შექმნა პროდუქტი. ინტერნეტსტატია ასახელებს თითქმის ყველა იმ მნიშვნელოვან პუნქტს, რომელიც საჭიროა საზოგადოებისა და სახელმწიფოს თანამშრომლობისთვის.<br>ასევე ჩამოთვლის იმ პუნქტებს, თუ „როგორ დავიცვათ თავი ფინანსური თაღლითობისაგან?" ასევე არგუმენტების საფუძველზე ასაბუთებს, თუ რატომ არის ეს წესები, მექნიზმები და ინფორმაცია მნიშვნელოვანი, მსჯელობს თუ როგორ ატარებს სახელმწიფო კანონიერებაზე დაფუძნებულ ეკონომიკურ პოლიტიკას.<br>ლოგიკური კავშირებით დეტალურად ასახელებს, რა ინფორმაციას უნდა ფლობდეს პიროვნება, რომ არ გახდეს ფინანსური თაღლითობის მსხვერპლი.<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი საზოგადოების წევრებს შორის ჯანსაღი კომუნიკაცია და თანამშრომლობა იმისათვის, რომ საზოგადოების თითოეულმა წევრმა ფინანსური თაღლითობისგან დაცულად იგრძნოს თავი და არ დაზარალდეს.<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი სახელმწიფოს ჩართულობა ამ მიმართულებით, რამდენად არის საკანონმდებლო აქტებში გათვალისწინებული ფინანსური თაღლითობის საწინააღმდეგო ნორმები.<br>მისი მსჯელობა სტრუქტურირებულია, ლოგიკური, მიზეზ-შედეგობრივი და ყოველი ასპექტი ურთიერთმიმართებული ერთმანეთზე.<br>თუმცა უჭირს შეფასება, არგუმენტების მოშველიებით განზოგადება, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი სახელმწიფოს ჩართულობა ამ მიმართულებით, რამდენად არის საკანონმდებლო აქტებში გათვალისწინებული ფინანსური თაღლითობის საწინააღმდეგო ნორმები? რატომ არის ეს თანამშრომლობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანი. | მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს განმავითარებელ კომენტარს ზუსტი და მკაფიო აღწერილობით, ის ძირითადად ეფუძნება შეფასების კრიტერიუმებს, მოსწავლის პასუხიდან გამომდინარე რეკომენდაციებს აძლევს დარჩენილ კრიტერიუმებზე, რომელიც მისი ყურადღების მიღმა დარჩა.<br>მაგ.: შენ არაჩვეულებრივად გაართვი თავი დავალებას. შენ მიერ შექმნილ კრებულში გამოკვეთილია კრიტერიუმები:<br>რა ინფორმაციას უნდა ფლობდეს პიროვნება რომ არ გახდეს ფინანსური თაღლითობის მსხვერპლი.<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი საზოგადოების წევრებს შორის ჯანსაღი კომუნიკაცია და თანამშრომლობა იმისათვის, რომ საზოგადოების თითოეულმა წევრმა ფინანსური თაღლითობისგან დაცულად იგრძნოს თავი და არ დაზარალდეს.<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი ორგანიზაციების, საზოგადოების და სახელმწიფოს კოორდინირებული თანამშრომლობა ამ მიმართულებით?<br>• საზიარო/შეთანხმებული წესები და ღირებულებები, რომლებიც საფუძვლად უდევს საზოგადოების წევრების შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს;<br>თუმცა, ნაკლებად ჩანს აქცენტი შემდეგ კრიტერიუმზე: რატომ არის მნიშვნელოვანი სახელმწიფოს ჩართულობა ამ მიმართულებით? რამდენად არის საკანონმდებლო აქტებში გათვალისწინებული ფინანსური თაღლითობის საწინააღმდეგო ნორმები? რატომ არის ეს თანამშრომლობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანი.<br>იქნებ გეცადა დაგესახელებინა, ამოგეცნო საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებიდან, მოსმენილიდან, წაკითხულიდან, რა მნიშვნელობა აქვს თანამშრობლობას სამართლებრივი ნორმების დაცვით საზოგადოებისთვის და სახელმწიფოსთვის? |

| | | |
|---|---|---|
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | **აღწერილობა**<br>მოსწავლემ შექნა პროდუქტი ინტერნეტსტატია. თუმცა ასახელებს რამდენიმე პუნქტს, თუ **„როგორ დავიცვათ თავი ფინანსური თაღლითობისაგან**?“ ასევე ჩამოთვლის სამართლებრივი საზოგადოების რამდენიმე მახასიათებელს, სადაც დაცულია მომხმარებლის უფლებები, ასახელებს ეკონომიკური ურთიერთობების კონკრეტულ მაგალითს საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის, თუმცა ისინი ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში არ არის. იკვეთება უსისტემო მსჯელობა.<br>მოსწავლეს ვერ მოჰყავს არგუმენტები, თუ როგორ ატარებს სახელმწიფო **მომხმარებლის უფლებებზე**, თანასწორობასა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ ეკონომიკურ პოლიტიკას.<br>ვერ აკეთებს დასკვნებს კონკრეტული არგუმენტებით, თუ რატომ არის ეს თანამშრომლობა ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანი. რა ინფორმაციას უნდა ფლობდეს პიროვნება, რომ არ გახდეს ფინანსური თაღლითობის მსხვერპლი. რატომ არის მნიშვნელოვანი საზოგადოების წევრებს შორის ჯანსაღი კომუნიკაცია და თანამშრომლობა იმისათვის, რომ საზოგადოების თითოეულმა წევრმა ფინანსური თაღლითობისგან დაცულად იგრძნოს თავი და არ დაზარლდეს. | **კომენტარი**<br>მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს განმავითარებელ კომენტარს ზუსტი და მკაფიო აღწერილობით. ის ძირითადად ეფუძნება შეფასების კრიტერიუმებს, მოსწავლის პასუხიდან გამომდინარე რეკომენდაციებს აძლევს დარჩენილ კრიტერიუმებზე, რომელიც მისი ყურადღების მიღმა დარჩა.<br>მაგ.: შენ სწორად გაიგე დავალების პირობა. პარაგრაფში მოცემული მასალაც წაგიკითხავს და დავალებასთან დაგიკავშირებია, თუმცა, გთხოვ დავალებაში ხაზგასმით გამოკვეთო არგუმენტები, თუ „როგორ დავიცვათ თავი ფინანსური თაღლითობისაგან?“<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი საზოგადოების წევრებს შორის ჯანსაღი კომუნიკაცია და თანამშრომლობა იმისათვის რომ საზოგადოების თითოეულმა წევრმა ფინანსური თაღლითობისგან დაცულად იგრძნოს თავი და არ დაზარალდეს.<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი ორგანიზაციების, საზოგადოების და სახელმწიფოს კოორდინირებული თანამშრომლობა ამ მიმართულებით?<br>ჩამოაყალიბე დასკვნები კონკრეტული არგუმენტებით, თუ რატომ არის ეს თანამშრომლობა ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანი.<br>იქნებ გეცადა დაგესახელებინა, ამოგეცნო საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებიდან, მოსმენილიდან, წაკითხულიდან, რა მნიშვნელობა აქვს თანამშრობლობას სამართლებრივი ნორმების დაცვით საზოგადოებისთვის და სახელმწიფოსთვის? |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | **აღწერილობა**<br>მოსწავლემ შექმნა **პროდუქტი – ინტერნეტსტატია სახელწოდებით „როგორ დავიცვათ თავი ფინანსური თაღლითობისაგან?“** თუმცა პროდუქტი არ აკმაყოფილებს სტატიის მოთხოვნებს. მოსწავლე ასახელებს მხოლოდ ერთ დაცვით მექანიზმს, თუ როგორ დავიცვათ თავი ფინანსური თაღლითობისაგან? რომელიც სჭირდება საზოგადოებას და სახელმწიფოს სამართლებრივი ეკონომიკური ურთიერთობებისათვის, თუმცა ამ წესის ჩამოყალიბებისას მოსწავლეს არასტრუქტურირებული წარმოდგენა აქვს. | **კომენტარი**<br>მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს განმავითარებელ კომენტარს ზუსტი და მკაფიო აღწერილობით. ის ძირითადად ეფუძნება შეფასების კრიტერიუმებს, მოსწავლის პასუხიდან გამომდინარე რეკომენდაციებს აძლევს იმ კრიტერიუმებზე, რომელიც ვერ დაძლია.<br>მაგ.: კარგია, რომ სწორად გაიგე დავალების პირობა, თუმცა უკეთესი იქნებოდა გაკვეთილზე ამ საკითხის განხილვის დროს ჩაგენიშნა მნიშვნელოვანი დასკვნები, რომელიც პროდუქტის შექმნაში დაგეხმარებოდა. გთხოვ, ყურადღებით წაიკითხო სასწავლო მასალა და ნაშრომში წარმოადგინო, თუ როგორ დავიცვათ თავი ფინანსური თაღლითობისაგან? |

| | | |
|---|---|---|
| | | დაფიქრდი, გაიხსენე პრაქტიკული შემთხვევები: როგორ უნდა ავწონ-დავწონოთ ფინანსურ მომსახურებასთან/პროდუქტთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები? გაიხსენე შენ გარშემო ვინ იყო ფინანსური თაღლითობის მსხვერპლი? რა ტიპის ფინანსურ თაღლითობას ჰქონდა ადგილი, როგორ მოატყუეს?<br>რატომ მოხდა კონკრეტული შემთხვევა და როგორ დავიცვათ თავი ფინანსური თაღლითობისგან.<br>დაფიქრდი და ივარაუდე, რა მექანიზმს შეეძლო მისი დაცვა? |
| **პრესტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | **აღწერილობა**<br>მოსწავლემ ვერ გაიგო დავალების პირობა, არ აქვს შექმნილი **პროდუქტი – ინტერნეტსტატია სახელწოდებით „როგორ დავიცვათ თავი ფინანსური თაღლითობისაგან?“** ასევე მასწავლებლის დასმულ შეკითხვებზე, რომელიც კონკრეტულ საკითხს ეხება, – „როგორ დავიცვათ თავი ფინანსური თაღლითობისაგან?“ – არარელევანტურ პასუხს სცემს. | **კომენტარი**<br>მასწავლებელი კიდევ ერთხელ უხსნის, რას მოიაზრებდა პროდუქტი და ასევე უთითებს რესურსებს და კონკრეტულ ნაბიჯებს, რომელიც დაეხმარება საკითხის არსის დაძლევაში.<br>მაგ.: გაიხსენე, რა გსმენია ფინანსური რისკებისა და თაღლითობის შესახებ. დაფიქრდი, რა იგულისხმება ფინანსური უსაფრთხოების ზომების დაცვაში? მოიძიე დამატებითი ინფორმაცია. ან დაფიქრდი, საიდან შეიძლება გაიგო უფრო მეტი.<br>გაიხსენე შემთხვევა, როდესაც შენმა ოჯახმა ან ნაცნობებმა კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად მიმართეს სახელმწიფოებრივ ინსტიტუციებს.<br>შეეცადე დავალება ამ ორი ფაქტორის გათვალისწინებით შეასრულო. |

## თემა 3.

**სავარაუდო დრო** – 10-12 სთ.
**თემა: სამშვიდობო პროცესები**
საათების სავარაუდო რაოდენობა

**თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:**
ადამიანის უფლებების დაცვა და სამშვიდობო პროცესების უზრუნველყოფა საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგ., გაერო, სტრასბურგის სასამართლო) მთავარი ამოცანაა;
- ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევა კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია;
- თავდასხმითი ომის გამოცხადებით სახელმწიფო საკუთარი მოქალაქეების უფლებებსაც არღვევს;
- ომსაც აქვს შეზღუდვები;
- საერთაშორისო საფრთხეების (ტერორიზმი, ტრეფიკინგი, ფუნდამენტალიზმი) წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლა ადამიანების, სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი;
- პასიურობა და ნიჰილიზმი ადამიანის უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლას ართულებს;
- გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტში ბავშვს უფროსებისაგან დამოუკიდებლად შეუძლია განცხადების გაგზავნა.

**თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები:**
- რატომ განვითარდა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში? რატომ არსებობს საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები?
- რატომ შეუძლიათ ქალებს სამშვიდობო პროცესებში პოზიტიური როლის შესრულება?
- რატომ აქცევს ძალადობის მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება ადამიანს/საზოგადოებას/საერთაშორისო საზოგადოებას მოძალადედ?
- რატომ არის აუცილებელი მოვლენებისთვის (აგრესია/ძალადობა) საკუთარი სახელის დარქმევა?
- რატომ არის მართლმსაჯულება (სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე) მშვიდობის წინაპირობა?
- რატომ წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყანაში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტი ყველა ქვეყნის პრობლემას?
- რატომ არის ამა თუ იმ სახელმწიფოს მხრიდან აგრესიული/მილიტარისტული პოლიტიკა საკუთარი მოქალაქეების უფლებების დარღვევა?
- რატომ აგებს სახელმწიფო პასუხს მისი, თუნდაც ერთი მოქალაქის უფლებების დარღვევის შემთხვევაში?
- რატომ ხდება ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების საქმიანობა არაეფექტური მოქალაქის პასიურობის შემთხვევაში?
- როგორ შემიძლია მონაწილეობა სამშვიდობო პროცესებში?

**თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები** — მოსწავლემ უნდა შეძლოს:
**სოციალიზაცია (პიროვნება, ინდივიდი, საზოგადოება)**
- მიგრაციის თანამედროვე გამოწვევებზე (ლტოლვილობა, დევნილობა, თავშესაფრის მაძიებლები, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები) მსჯელობისას ემპათიისა და შემწყნარებლობის გამოვლენა **(მოქ.საზ.1,2,3,4);**

**დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)**
- სამშვიდობო პროცესების გაანალიზება დემოკრატიის პრინციპების (ადამიანის უფლებები, თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინებით **(მოქ.საზ.1,2,3,4,10,11,13).**

**ინიციატივა და მეწარმეობა**
- საერთაშორისო საფრთხეებისა (ტრეფიკინგი, ფუნდამენტალიზმი, ტერორიზმი, ექსტრემიზმი, რადიკალიზმი, ავტორიტარიზმი, ტოტალიტარიზმი, შეიარაღებული კონფლიქტი) და მიგრაციის თანამედროვე გამოწვევების (ლტოლვილობა, დევნილობა, თავშესაფრის მაძიებლები, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები) იდენტიფიცირება; მათი გადაჭრის შესაძლო გზებსა და ამისთვის საჭირო რესურსებზე მსჯელობა **(მოქ.საზ.1,2,3,4,5,6,7, 8,9,10,11,12,13);**

**სამოქალაქო მონაწილეობა**
- სამშვიდობო პროცესებში მოქალაქის აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობის გაცნობიერება **(მოქ. საზ.2,6,8,9);**

**მდგრადი განვითარება**
- სამშვიდობო პროცესების გაანალიზება მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით **(მოქ.საზ.1,2,3,10,11,13).**

<table>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td>
<td>საკითხი/საკითხები<br>რატომ აქცევს ძალადობის მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება ადამიანს/საზოგადოებას/საერთაშორისო საზოგადოებას მოძალადედ? რატომ არის აუცილებელი მოვლენებისთვის (აგრესია/ძალადობა) საკუთარი სახელის დარქმევა?<br>რატომ აგებს სახელმწიფო პასუხს მისი, თუნდაც ერთი მოქალაქის უფლებების დარღვევის შემთხვევაში?<br>რატომ არის ამა თუ იმ სახელმწიფოს მხრიდან აგრესიული/მილიტარისტული პოლიტიკა საკუთარი მოქალაქეების უფლებების დარღვევა?<br>მოსწავლის წიგნი §3.1.</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/საკვანძო შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება/დავალებები შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ქვეცნებები:<br>• საერთაშორისო საფრთხეები;<br>• საერთაშორისო უსაფრთხოება;<br>• ტერორიზმი;<br>• ტრეფიკინგი;<br>• ლტოლვილები;<br>• შეიარაღებული კონფლიქტი;<br>• ადამიანის უფლებები.</td>
<td>• რა გავლენას ახდენს ძალადობის ფაქტი საზოგადოების ღირებულებებზე?<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერება და მოქმედება?<br>• რატომ აქცევს გულგრილი დამოკიდებულება ან შემგუებლობა ადამიანს მოძალადედ?<br>• რა ფაქტორები განაპირობებს საზოგადოების არაძალადობრივი, ტოლერანტული ღირებულებების ჩამოყალიბებას?</td>
</tr>
<tr>
<td>დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები).<br>შედეგები:<br>საბაზო საფეხური:<br>3, 4, 13.<br>1. ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით;</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები):<br>ეტაპი 1. კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია).<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?<br>რეკომენდაცია მასწავლებელს: დეტალურად გააცანით მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და შეთანხმდით ვადებზე, თუ რა დროის განმავლობაში უნდა შესრულდეს კომპლექსური დავალების პროდუქტი. ასევე შეთანხმდით, თუ რა ფორმით მოხდება წარდგენა.<br>გადაამოწმე, ყველა მოსწავლემ სწორად გაიგო თუ არა კომპლექსური დავალების პირობა (დამაზუსტებელი და შემათანხმებელი ტიპის შეკითხვებით), შემდეგ კი მიზნობრივად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული კითხვები, რომელიც დაგეხმარებათ, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ თუ რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დაადასტურონ, თუ რა ისწავლეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით? ასევე დაგეხმარებათ კომპლექსური დავალების პროდუქტისთვის პრაქტიკული და ტექნიკური დეტალების დაზუსტებაში.</td>
<td>ჩაატარე გამოკითხვა სოც. ქსელში საერთაშორისო საფრთხეების, მათ შორის, საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების შესახებ. შენი მიზანია საზოგადოებაში ინფორმირებულობის დონის დადგენა საერთაშორისო საფრთხეებთან (ტრეფიკინგი, მიგრაცია;) დაკავშირებით. გამოკითხვის შედეგების მიხედვით,</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| 2. ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს;<br>3. დემოკრატიულ საზოგადოებაში/ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა;<br>4. დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, ხელისუფლების დანაწილება, სამართლიანი არჩევნები, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს. | **ინსტრუქცია მოსწავლეს:** ყურადღებით მოუსმინე დასმულ შეკითხვებს და შეეცადე უპასუხო თითოეულ მათგანს:<br>• რას ნიშნავს შენთვის უსაფრთხოება?<br>• ყველაზე მეტად, ვისი ან რისი იმედი გაქვს?<br>• რა განაპირობებს შენს უსაფრთხოებას?<br>• რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსთვის მშვიდობას, უსაფრთხო და სტაბილურ გარემოს, აისახება თუ არა ის შენს ცხოვრებაზე და როგორ?<br><br>**ეტაპი 2.** კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა. სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება.<br>საკვანძო შეკითხვა: *როგორ შევასრულო მოცემული დავალება?*<br>**აქტივობა 1**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** წაიკითხე ამბავი 1 (გვ. 95), გამოავლინე პრობლემა და განიხილე კითხვების დახმარებით:<br>1. რა გავლენას ახდენს ძალადობის ფაქტი საზოგადოების ღირებულებებზე?<br>2. რატომ არის მნიშვნელოვანი საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერება და მოქმედება?<br>3. რატომ აქცევს გულგრილი დამოკიდებულება ან შემგუებლობა ადამიანს მოძალადედ?<br>4. რა ფაქტორები განაპირობებს საზოგადოების არაძალადობრივი, ტოლერანტული ღირებულებების ჩამოყალიბებას?<br><br>**აქტივობა 2**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** წაიკითხე ქვემოთ მოცემული ინფორმაცია „მნიშვნელოვანი საკითხები“ (გვ. 97) და მასზე დაყრდნობით უპასუხე შემდეგ საკვანძო შეკითხვას: რატომ იყო მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებების დაცვისთვის საერთაშორისო დოკუმენტის მიღება და რა ასოციაციას იწვევს „ეს საინტერესოა“ რუბრიკაში (გვ. 96) ეს ლოგო თქვენში? როგორ ფიქრობ? რატომ მიიღო მან ეს სახე? იმსჯელე მის არსზე.<br> | შექმენი პროგრამა https://www.liveworksheets.com _ „ცოცხალი ფურცლების“ გამოყენებით **საინფორმაციო ბარათები,** სახელწოდებით „შენი წვლილი მშვიდობის შენარჩუნებაში“. ბარათები გაავრცელე სოც. ქსელში და სკოლის ვებ.გვერდზე.<br><br>**საინფორმაციო ბარათების შექმნისას და წარდგენისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>• მშვიდობისა და სტაბილურობის მნიშვნელობა თქვენი ქვეყნის განვითარებისთვის; (მდგ.2; დემ.4)<br>• მსოფლიოში და საქართველოს წინაშე არსებული საერთაშორისო საფრთხეების (ტერორიზმი, ტრეფიკინგი და სხვ.) არსი და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები; (დემ.1,3)<br>• პრაქტიკული მაგალითებით თუ როგორ შეიძლება ტრეფიკინგთან ბრძოლა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით, ინფორმირებისა და ცნობიერების გაზრდით, თითოეული მოქალაქის აქტიურობით; (დემ.2) |

| | | |
|---|---|---|
| **მდგრადი განვითა-რება.**<br>**შედეგები:**<br>**საბაზო საფეხური:**<br>**7, 10, 11.**<br>1. რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება;<br>2. ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს (მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა)). | **აქტივობა 3**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:**<br>აქტივობა 2, (გვ. 96). ადამიანის უფლებების დაცვა და აღიარება დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველია, ამაზე არაერთხელ გვისაუბრია.<br>1. მოემზადე დებატებისთვის;<br>2. მოამზადე არგუმენტები.<br>სადებატო რეზოლუცია:<br>***სახელმწიფო პასუხისმგებელია თუნდაც ერთი მოქალაქის უფლებების დარღვევაზე.***<br><br>**აქტივობა 4**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეებს:** გაეცანი, წაიკითხე „მნიშვნელოვანი საკითხები“ (გვ. 97), საერთაშორისო საფრთხეები დადგენა XXI საუკუნეში.<br>შეავსე „სეგმენტური რუკა“.<br>ცენტრში ჩაწერე ადამიანის უფლებები, ხოლო გარშემო სეგმენტზე: ბუნებრივ-ეკოლოგიური უსაფრთხოება; ეროვნული უსაფრთხოება; ტრანსნაციონალური უსაფრთხოება; ტრანსკულტურული უსაფრთხოება.<br><br>**აქტივობა 5**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** დაფიქრდი ტრეფიკინგი რა ტიპის პრობლემაა ქვეყნებისთვის, რა მექნიზმები შეიძლება არსებობდეს მის წინააღმდეგ საბრძოლველად და შეავსე „ვარაუდების ღრუბელი“.<br><br>შენი მოსაზრებები შეადარე რუბრიკაში „მნიშვნელოვანი საკითხები“ (გვ. 97) ტრეფიკინგზე მოცემულ ინფორმაციას. | • როგორ, რა გზებითა და საშუალებით უნდა მოხდეს მიგრაციის თანამედროვე გამოწვევებზე (ლტოლვილობა, დევნილობა, თავშესაფრის მაძიებლები, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები) ემპათიისა და შემწყნარებლობის გამოვლენა საზოგადოების და სახელმწიფოს მხრიდან. (მდგ.1; დემ.3)<br><br>**პრაქტიკული რეკომენდაციები:**<br>წიგნის ქურდი |

**აქტივობა 6**

**ინსტრუქცია მოსწავლეს:**

განიხილეთ სტატია, წყარო 1, 2 (გვ. 99), რომელიც ტრეფიკინგის მძიმე შემთხვევის შესახებ მოგითხრობს. გააანალიზე სიტუაცია და იმსჯელე:

1. რატომ არის მნიშვნელოვანი სახელმწიფო პოლიტიკა და რეაგირება ტრეფიკინგის მიმართ?

2. როგორ და რა გავლენას ახდენს პრობლემის გასაჯაროება საზოგადოების დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე?

წყარო 2; წყარო 3; ტრეფიკინგის მსხვერპლნი – „უხილავნი ჩვენ შორის“.

**აქტივობა 7**

**ინსტრუქცია მოსწავლეს:** წაიკითხე რუბრიკა „მნიშვნელოვანი საკითხები“ (გვ. 100), მოირგე ჟურნალისტის როლი და მასალაზე დაყრდნობით დასვი შენი რესპონდენტისთვის (იძულებით გადაადგილებული პირი) სამი შეკითხვა.




**აქტივობა 8**

**ინსტრუქცია მოსწავლეს:**

წაიკითხე წყარო 3, (გვ. 102). გამოხატე შენი დამოკიდებულება და იმსჯელე:

1. რატომ არის მნიშვნელოვანი მსოფლიოში ადამიანის უფლებების დაცვა და საერთაშორისო შეთანხება?

2. რატომ ვერ უზრუნველყოფს მსოფლიო, ადამიანები მშვიდობიან ცხოვრებას და განვითარებას?

**საშინაო დავალება**

**ინსტრუქცია მოსწავლეს:** (გვ. 103), შექმენი ელექტრონული საინფორმაციო ბუკლეტი ტრეფიკინგის შესახებ, გააცანი კლასს და მასწავლებელთან კონსულტაციის შემდეგ გამოაქვეყნე სხვადასხვა ონლაინსივრცეში.

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |

**ჯგუფური მუშაობა – პრაქტიკული რჩევები**

მოსწავლეებს სთხოვეთ იმუშაონ ჯგუფებში და ყურადღება გაამახვილონ შემდეგ საკითხებზე:

- დაფიქრდით და გაითვალისწინეთ, რა მიზნით და ვისთვის ქმნით კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტს.
- დაფიქრდით, რა რესურსები გჭირდებათ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად;
- შეადგინეთ პროდუქტის სავარაუდო გეგმა;
- განიხილეთ ჯგუფებში.

**რეკომენდაცია მასწავლებელს:** დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლე მზაობითაა კომპლექსური დავალების პროდუქტის შესაქმნელად.

**კომპლექსური დავალების წარდგენა საერთო საკლასო მუშაობის ფონზე:**

» მასწავლებელი ამზადებს მსმენელის დღიურს და აცნობს კლასს, უხსნის, რომ წარდგენისას, მსმენელები მოუსმენენ თითოეულ პრეზენტატორს და თან ე.წ. მსმენელის დღიურში ჩაინიშნავენ სათქმელს.

**მსმენელის დღიური:**

- რაში ვეთანხმები გამომსვლელს?
- რა შევამჩნიე პრეზენტაციის დროს ისეთი, რაზეც არ უსაუბრია გამომსვლელს?
- ან პირიქით, რა ისეთ დეტალზე ილაპარაკა, რომელსაც მე არ მივაქციე ყურადღება?

**განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული შემდეგ ნიუანსებზეც:**

- კომპლექსურ დავალებაზე ერთობლივად მუშაობის დროს რა საერთო მიზანი, საზრუნავი და ინტერესი გვაერთიანებდა?

| | | |
|---|---|---|
| | • გაგვიჭირდა თუ არა ურთიერთშეთანხმება? რა გზებით და საშუალებებით მივაღწიეთ საბოლოო მიზანს?<br>• განიცადა თუ არა ცვლილება ჩვენმა შეხედულებებმა საკითხზე, შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს საკუთარ გარემოში პოზიტიური ცვლილებების განხორციელება?<br>• რას შეცვლიდით მომავალში სხვა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში და წარდგენისას?<br>**შეაფასე შენი ნამუშევარი და გამოკვეთე:**<br>• იყო თუ არა ეს საკითხი ჩემთვის საინტერესო და რატომ?<br>• გამომადგება თუ არა მომავალში, რა გამოცდილებაც შევიძინე და რა არის ასეთი კონკრეტულად?<br>• რა დამეხმარა კომპლექსური დავალების შესრულებაში ყველაზე მეტად? | |

<table>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td>
<td>საკითხი/საკითხები<br>რატომ შეუძლიათ ქალებს სამშვიდობო პროცესებში პოზიტიური როლის შესრულება?<br>რატომ არსებობს საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები?<br>რატომ წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყანაში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტი ყველა ქვეყნის პრობლემას?<br>მოსწავლის წიგნი §3.2.</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/საკვანძო შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება/დავალებები შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ქვეცნებები:<br>•ქალები და მშვიდობა;<br>•ჰუმანიტარული სამართალი;<br>•ჟენევის კონვენციები;<br>•ნობელის პრემია;<br>•სირიის ომი და ბავშვები;<br>•სამართლებრივი დოკუმენტები.</td>
<td>•რატომ არის მნიშვნელოვანი არაძალადობრივი გზებით კონფლიქტების მართვა?<br>•რა უარყოფითი შედეგები მოაქვს საომარ დაპირისპირებებს?<br>•აქვს თუ არა ქალს და მამაკაცს განსხვავებული როლები მშვიდობის დაცვის პროცესში?</td>
</tr>
<tr>
<td>სოციალიზაცია (პიროვნება, ინდივიდი და საზოგადოება).<br>შედეგები:<br>საბაზო საფეხური:<br>1, 2.<br>1. ადამიანი არის პიროვნება, საკუთარი მსოფლმხედველობითა (იდეები, ღირებულებები) და მისწრაფებებით; მას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება;<br>2. ადამიანს გააჩნია სხვადასხვა (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური კონტაქტების და სხვა) მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე ის ვერ შეძლებს პიროვნულ განვითარებას;</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები):<br>ეტაპი 1. კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია).<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?<br>რეკომენდაცია მასწავლებელს: დეტალურად გააცანით მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და შეთანხმდით ვადებზე, თუ რა დროის განმავლობაში უნდა შესრულდეს კომპლექსური დავალების პროდუქტი. ასევე შეთანხმდით, თუ რა ფორმით მოხდება წარდგენა.<br>გადაამოწმე, ყველა მოსწავლემ სწორად გაიგო თუ არა კომპლექსური დავალების პირობა (დამაზუსტებელი და შემათანხმებელი ტიპის შეკითხვებით), შემდეგ კი მიზნობრივად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული კითხვები, რომელიც დაგეხმარებათ, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ თუ რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დაადასტურონ, თუ რა ისწავლეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით? ასევე დაგეხმარებათ კომპლექსური დავალების პროდუქტისთვის პრაქტიკული და ტექნიკური დეტალების დაზუსტებაში.<br>ინსტრუქცია მოსწავლეს: ყურადღებით მოუსმინე დასმულ შეკითხვებს და შეეცადე უპასუხო თითოეულ მათგანს:<br>• თუ გაგიგია შენ გარშემო რაიმე დოკუმენტის შესახებ, რომელიც ზღუდავს ქალთა უფლებებს?<br>• თუ არიან შენ გარშემო ქალები, რომლებიც ჯარში მსახურობენ?<br>• ხომ არაა სტერეოტიპები ამ საკითხთან?</td>
<td>შენ ის ადამიანი ხარ, რომელიც განსხვავებულ აზრს ყოველთვის პატივს სცემს, ახლა კი ძალიან დაიბენი ამგვარი მოსაზრებების წაკითხვისას:<br>ამონარიდი სტატიიდან №1: „სამუდამო მშვიდობა არის სიზმარი, თანაც ცუდი. ომი – ღმერთის მიერ ნაბოძები სამყაროს წესრიგის ნაწილია. მასში იხსნება ადამიანის უკეთილშობილესი სიქველენი: მამაცობა და ერთობის განცდა,სამსახურის ერთგულება და საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვისათვის მზაობა. ომის გარეშე სამყარო მატერიალიზმის ჭაობში დაიხრჩობოდა“.</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| 3. სხვა ადამიანებთან/სოციალურ ჯგუფებთან/ინსტიტუციებთან ურთიერთობა ადამიანს პიროვნულ განვითარებაში უწყობს ხელს;<br>4. ასერტულობა (ადამიანის უნარი თამამად გამოხატოს საკუთარი აზრი სხვისი შეურაცხყოფის გარეშე) ხელს უწყობს პიროვნების და სოციუმის ჰარმონიულ ურთიერთობას.<br>**დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები).**<br>**შედეგები:**<br>**საბაზო საფეხური:**<br>**3, 4, 13.**<br>1. ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით; | • შეიძლება თუ არა არსებობდეს ერთნაირი კანონები ომშიც და მშვიდობაშიც?<br>• როგორ ფიქრობ, შეუძლიათ თუ არა ქალებს მნიშვნელოვანი ცვლილებების მოხდენა კონფლიქტებში?<br>• ომის დროს ყველაზე მეტად დაუცველი ვინაა და რატომ?<br><br>**ეტაპი 2.** კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა. სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება.<br>საკვანძო შეკითხვა: *როგორ შევასრულო მოცემული დავალება?*<br>**აქტივობა 1**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** წყარო 1-ში (გვ. 105) აღწერილია ერთი გოგონას რეალური ემოციები, რომელმაც დედაც და მამაც ერთად და ერთ დღეს ომში გაუშვა.<br>წაიკითხე და იმსჯელე:<br>1. შენი აზრით აქვს თუ არა სიმამაცეს და ერთგულებას სქესი?<br>2. რატომ არის მნიშვნელოვანი არაძალადობრივი გზებით კონფლიქტების მართვა?<br>3. რა უარყოფითი შედეგები მოაქვს საომარ დაპირისპირებებს?<br>4. აქვს თუ არა ქალს და მამაკაცს განსხვავებული როლები მშვიდობის დაცვის პროცესში?<br><br>**აქტივობა 2**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** წაიკითხეთ რუბრიკა „მნიშვნელოვანი საკითხები“ და „ეს საინტერესოა“ (გვ. 106) და შეავსეთ კოგნიტური სქემა „თევზის ფხა“<br><br>**აქტივობა 3**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** წაიკითხე რუბრიკა „მნიშვნელოვანი საკითხები“ (გვ. 107) გამართე ჯგუფში დისკუსია რა მნიშვნელობა აქვს ჟენევის კონვენციის მიღებას? რატომ გახდა ჰუმანიტარული სამართლის შექმნა აუცილებელი? რატომ არის ის მნიშვნელოვანი მსოფლიო სამართლიანობისთვის? | ამონარიდი სტატიიდან №2:<br>*„ომის არსებობა დაუშვებელია, მისი მასშტაბები გაცილებით დიდია, როგორც გეოგრაფიული თვალსაზრისით, ასევე მისი ხანგრძლივობიდან გამომდინარე. ომს შედეგად მოსდევს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს – სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სულიერი – მდგომარეობის თვისებრივი ცვლილება, ვინაიდან ხდება მათი კარდინალური გარდაქმნა, დეგრადირება“.*<br>**დაწერე სტატია** „ომის დაშვება დანაშაულია სამყაროსა და ბავშვების წინაშე“.<br>**სტატიის შექმნისას და წარდგენისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>• რამდენად ღირებულია ომის ფასად მოპოვებული გამარჯვება? რატომ ფიქრობ ასე? ვის და რას აზარალებს ომი? (დემ.1; სოც.2)<br>• აქვს თუ არა ქალს და მამაკაცს განსხვავებული როლები მშვიდობის დაცვის პროცესში? რატომ? (დემ.4; სოც.3)<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი არაძალადობრივი გზებით კონფლიქტების მართვა? (დემ.4; სოც. 4)<br>• რატომ წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყანაში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტი დანაშაულს ბავშვების წინაშე? (დემ.2; სოც.1) |

| | | |
|---|---|---|
| 2. ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს;<br>3. დემოკრატიულ საზოგადოებაში/ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა;<br>4. დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, ხელისუფლების დანაწილება, სამართლიანი არჩევნები, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს. | **აქტივობა 4**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:**<br>წაიკითხე სირიის ომის, ანა ფრანკის, პატარა ალეპოელი გოგონას ბანა ალაბედის ისტორია წყარო 3, (გვ. 110) გამოიყენე რესურსი დღევანდელ სამყაროში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტების შესახებ, წყარო 2 (გვ. 109) და იმსჯელე:<br>1. რატომ წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყანაში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტი ყველა ქვეყნის პრობლემას?<br>2. რატომ ერთვება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და სად ჩანს ეს?<br>3. რა შეიძლება გააკეთოს მსოფლიომ კიდევ, რომ მსგავსი საზარელი ფაქტები აღარ ნახოს?<br><br>**აქტივობა 5**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** წაიკითხე ნამდვილი ამბავი, რომელიც ნათლად ასახავს მსოფლიოში დისკრიმინაციისა და ძალადობის შედეგებს, ძალადობრივ გარემოს და შინაგანი სიძლიერის წყალობით გადარჩენილი და შემდგარი ადამიანების სამაგალითო ცხოვრებას.<br>წაიკითხე წყარო 4-ში, (გვ. 110) მოთხრობილი „აისტორია და იმსჯელეთ“:<br>1. ადამიანის რა უფლებები დაირღვა?<br>2. რატომ ხდებოდა ადამიანების დისკრიმინაცია?<br>3. ეწინააღმდეგებოდა თუ არა ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებს და რატომ?<br><br>**აქტივობა 6**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეებს:** წაიკითხე „მნიშვნელოვანი საკითხები“ (გვ.111), იმსჯელე რატომ არის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების მუშაობა და რა გავლენას ახდენს ის მსოფლიოში შეიარაღებული კომპლიქტების მსხვერპლი მოსახლეობის მომავალზე.<br><br>**ჯგუფური მუშაობა – პრაქტიკული რჩევები**<br>მოსწავლეებს სთხოვეთ იმუშაონ ჯგუფებში და ყურადღება გაამახვილონ შემდეგ საკითხებზე:<br>• დაფიქრდით და გაითვალისწინეთ, რა მიზნით და ვისთვის ქმნით კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტს;<br>• დაფიქრდით, რა რესურსები გჭირდებათ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად;<br>• შეადგინეთ პროდუქტის სავარაუდო გეგმა;<br>• განიხილეთ ჯგუფებში.<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** დარწმუნდი, რომ ყველა მოსწავლე მზაობითაა კომპლექსური დავალების პროდუქტის შესაქმნელად. | • რატომ არის მნიშვნელოვანი განსხვავებული ინტერესებისა და შეხედულებების დროს მშვიდობის შენარჩუნება. (დემ.3; სოც.4)<br>**პრაქტიკული რეკომენდაციები:** კომპლექსური დავალების მომზადებაში დაგეხმარება: ფილმი ***„ტალღა“***. შენ შეგიძლია ამ რესურსის დახმარებით გააცნობიერო, თუ რას ნიშნავს დიქტატურის ქვეშ ცხოვრება.<br>**დაფიქრდი:** მტკიცე ცნობიერების ადამიანი გახდება თუ არა ძალადობრივი ექსტრემიზმის სამიზნე? რატომ? უყურე ***ფილმს „თავისუფლების მწერლები“***, დაფიქრდი, როგორ, რა გზებით და საშუალებებით შეიძლება გავხდეთ ტოლერანტები. რატომ არის მნიშვნელოვანი ვიყოთ ტოლერანტი მოქალაქეები.<br>**გაეცანით ელექტრონულ რესურსებს:**<br>„ომის წესები“;<br>„ბიჭი ზოლიან პიჟამაში“. |

| | | |
|---|---|---|
| | **კომპლექსური დავალების წარდგენა** საერთო საკლასო მუშაობის ფონზე:<br>» მასწავლებელი ამზადებს მსმენელის დღიურს და აცნობს კლასს, უხსნის, რომ წარდგენისას, მსმენელები მოუსმენენ თითოეულ პრეზენტატორს და თან ე.წ. მსმენელის დღიურში ჩაინიშნავენ სათქმელს.<br><br>**მსმენელის დღიური:**<br>• რაში ვეთანხმები გამომსვლელს?<br>• რა შევამჩნიე პრეზენტაციის დროს ისეთი, რაზეც არ უსაუბრია გამომსვლელს?<br>• ან პირიქით, რა ისეთ დეტალზე ილაპარაკა, რომელსაც მე არ მივაქციე ყურადღება?<br><br>**განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული შემდეგ ნიუანსებზეც:**<br>• კომპლექსურ დავალებაზე ერთობლივად მუშაობის დროს რა საერთო მიზანი, საზრუნავი და ინტერესი გვაერთიანებდა?<br>• გაგვიჭირდა თუ არა ურთიერთშეთანხმება? რა გზებით და საშუალებებით მივაღწიეთ საბოლოო მიზანს?<br>• განიცადა თუ არა ცვლილება ჩვენმა შეხედულებებმა საკითხზე, შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს საკუთარ გარემოში პოზიტიური ცვლილებების განხორციელება?<br>• რას შეცვლიდით მომავალში სხვა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში და წარდგენისას?<br><br>**შეაფასე შენი ნამუშევარი და გამოკვეთე:**<br>• იყო თუ არა ეს საკითხი ჩემთვის საინტერესო და რატომ?<br>• გამომადგება თუ არა მომავალში, რა გამოცდილებაც შევიძინე და რა არის ასეთი კონკრეტულად?<br>• რა დამეხმარა კომპლექსური დავალების შესრულებაში ყველაზე მეტად? | |

<table>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td>
<td>საკითხი/საკითხები<br>როგორ შემიძლია მონაწილეობა სამშვიდობო პროცესებში?<br>მოსწავლის წიგნი §3.3.</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/საკვანძო შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება/დავალებები შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ქვეცნებები:<br>•წითელი ჯვარი;<br>•სამშვიდობო მისიები;<br>•ჰოლოკოსტი;<br>•პრესის მნიშვნელობა და გავლენა;<br>•საინფორმაციო აქტივიზმი.</td>
<td>• რა როლი აქვს ინფორმირებულობას საერთაშორისო საფრთხეებთან ბრძოლაში? როგორ შეუძლია მოქალაქეს საერთაშორისო და ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მონაწილეობა და წვლილის შეტანა?</td>
</tr>
<tr>
<td>სამოქალაქო მონაწილეობა.<br>შედეგები:<br>საბაზო საფეხური:<br>8, 9, 12 , 13.<br>1. დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება;<br>2. სამოქალაქო მონაწილეობა საზოგადოებრივ საჭიროებებზე/ქვეყანაზე ზრუნვის საშუალებაა;<br>3. აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები):<br>ეტაპი 1. კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია).<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?<br>რეკომენდაცია მასწავლებელს: დეტალურად გააცანით მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და შეთანხმდით ვადებზე, თუ რა დროის განმავლობაში უნდა შესრულდეს კომპლექსური დავალების პროდუქტი. ასევე შეთანხმდით, თუ რა ფორმით მოხდება წარდგენა.<br>გადაამოწმე, ყველა მოსწავლემ სწორად გაიგო თუ არა კომპლექსური დავალების პირობა (დამაზუსტებელი და შემათანხმებელი ტიპის შეკითხვებით), შემდეგ კი მიზნობრივად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული კითხვები, რომელიც დაგეხმარებათ, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ თუ რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დაადასტურონ, თუ რა ისწავლეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით? ასევე დაგეხმარებათ კომპლექსური დავალების პროდუქტისთვის პრაქტიკული და ტექნიკური დეტალების დაზუსტებაში.<br>ინსტრუქცია მოსწავლეს: ყურადღებით მოუსმინე დასმულ შეკითხვებს და შეეცადე უპასუხო თითოეულ მათგანს:<br>• პანდემიის დროს გსმენია თუ არა მოხალისე ექიმების შესახებ?<br>• რამდენად მნიშვნელოვანია მათი ინიციატივა და მონაწილეობა მსგავს პრობლემებში?<br><br>ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა. სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება.<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> როგორ შევასრულო მოცემული დავალება?</td>
<td>ვარიანტი A<br>რესურსის – „საერთაშორისო მისიები“ მასალის დამუშავებისა და გაცნობის შემდეგ შექმენი საინფორმაციო ბროშურა სახელწოდებით „როგორ შეუძლია მოქალაქეს საერთაშორისო და ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მონაწილეობა და წვლილის შეტანა?“<br>ბროშურის შექმნისას და წარდგენისას ხაზგასმით წარმოაჩინე:<br>• როგორ შეუძლია მოქალაქეს საერთაშორისო და ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მონაწილება და წვლილის შეტანა? (ს.მ.3; ი.მ.1)<br>• რა როლი აქვს ინფორმირებულობას საერთაშორისო საფრთხეებთან ბრძოლაში? (ს.მ.1,4)</td>
</tr>
</table>

ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან;

4. სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება;

5. სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს.

**ინიციატივა და მეწარმეობა.**

**შედეგები:**

**საბაზო საფეხური:**

**5, 6, 7.**

1. პირადი/საზოგადოებრივი საჭიროებების განსაზღვრა ნებისმიერი ინიციატივის საფუძველია;

2. მეწარმე არის ადამიანი, რომელსაც აქვს საზოგადოებისთვის სასარგებლო იდეა და მზად არის რისკი გასწიოს საკუთარი იდეის განვითარებისთვის;

**აქტივობა 1**

**ინსტრუქცია მოსწავლეს:** საინტერესოა, იცი თუ არა, რა გახდა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დაარსების მიზეზი?

წაიკითხე წყარო 1 (გვ. 113), გამოკვეთე წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დაარსების  დაარსების მიზეზები.

**აქტივობა 2**

**ინსტრუქცია მოსწავლეს:** წაიკითხე „მნიშვნელოვანი საკითხები“ (გვ. 114). რატომ არის მნიშვნელოვანი წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საქმიანობა მსოფლიოს ცხელ წერტილებში?

შეავსე დროის ხაზი.



**აქტივობა 3**

**ინსტრუქცია მოსწავლეს:** წარმოიდგინე, რომ ხარ სამხედრო ექიმი და გიწევს მსოფლიოს „ცხელ“ რეგიონებში, რთულ, სიცოცხლისთვის საშიშ გარემოებებში შენი მოვალეობის შესრულება (გვ. 115). დაწერე ექიმის ფიცი, რომელშიც სრულად წარმოაჩენ შენს მოვალეობებს, ღირებულებებს და უფლებებს. შექმენი ფიცი ისე, როგორც შენ თვლი საჭიროდ და მისაღებად.



**აქტივობა 4**

**ინსტრუქცია მოსწავლეებს:** წაიკითხეთ რუბრიკა „მნიშვნელოვანი საკითხები“ (გვ. 117) უპასუხე შეკითხვას „საერთაშორისო უსაფრთხოება, ჩემი ქვეყნის უსაფრთხოებაა“ და მოიყვანე არგუმენტები.

- რა მნიშვნელობა აქვს სამშვიდობო პროცესებში მოქალაქეთა აქტიურ და გაცნობიერებულ მონაწილეობას; (ს.მ.4,5; ი.მ.5)
- როგორ ვიზრუნო საკუთარ ქვეყანაზე? როგორ უნდა ვიქცეოდე, რომ ჩვენი სახელმწიფოს ღირსეული მოქალაქე ვიყო? (ს.მ.2; ი.მ.2)

**ვარიანტი B**

საქართველო საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების პროცესში აქტიურად მონაწილეობს და მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში საერთაშორისო ოპერაციების წარმატებით განხორციელებაში. წლების მანძილზე, საერთაშორისო მისიების შესრულებისას, ქართველმა სამხედრო მოსამსახურეებმა მაღალი საბრძოლო მომზადების დონე და ურთულესი ამოცანების შესრულების უნარი არაერთხელ დაადასტურეს, რითაც საქართველოს გლობალური უსაფრთხოების სფეროში საიმედო მოკავშირე ქვეყნის სახელი დაუმკვიდრეს.

| | | |
|---|---|---|
| 3. მკაფიო მიზნების დასახვა, რესურსებისა და მოქმედებების დაგეგმვა და დროში განაწილება წარმატებული საქმიანობის აუცილებელი პირობაა;<br>4. მოქმედებებისგან მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრა გვეხმარება გაუთვალისწინებელი რისკების შემცირებაში;<br>5. გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია ზნეობრივი და საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინება; შედეგის მისაღებად პროცესზე დაკვირვებაა საჭირო. | <br>**აქტივობა 5**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** გააანალიზე „მნიშვნელოვან საკითხებში“ (გვ. 117) განხილული მასალა საქართველოს სამშვიდობო მისიების შესახებ და წარმართე დისკუსია:<br>1. რა სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს საქართველოს მონაწილეობას სამშვიდობო მისიებში?<br>2. რატომ არის ეს ფაქტი დადებითად შეფასებული?<br>3. შენი აზრით, მსოფლიო უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია თუ არა საომარ მოქმედებებში ჩარევა და რა შედეგები მოაქვს მას საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნებისთვის?<br><br>**ჯგუფური მუშაობა – პრაქტიკული რჩევები**<br>მოსწავლეებს სთხოვე იმუშაონ ჯგუფებში და ყურადღება გაამახვილონ შემდეგ საკითხებზე:<br>• დაფიქრდით და გაითვალისწინეთ, რა მიზნით და ვისთვის ქმნით კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტს;<br>• დაფიქრდით, რა რესურსები გჭირდებათ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად;<br>• შეადგინე პროდუქტის სავარაუდო გეგმა;<br>• განიხილე ჯგუფებში.<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლე მზაობითაა კომპლექსური დავალების პროდუქტის შესაქმნელად.<br><br>**აქტივობა 6**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** ფერად ფურცლებზე დაწერე ერთი პრაქტიკული რეკომენდაცია, გზავნილი საზოგადოების სტერეოტიპების დასამსხვრევად სამშვიდობო მისებში ჩართულობისთვის. | წელს თავდაცვის სამინისტროს ონლაინტესტირების კონკურსში, რომელიც სამხედრო ისტორიის, საერთაშორისო ურთიერთობების, სამხედრო-პოლიტიკურ, ასევე უსაფრთხოების საკითხებზე იყო, შენ პირველი ადგილი მოიპოვე. შენი ოცნებაა, ახლო მომავალში, როგორც მოხალისე და საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოებაზე მზრუნველი მოქალაქე, შეუერთდე სამშვიდობო მისიებს, თუმცა გიჭირს ამ გადაწყვეტილების განხორციელება, რადგან ოჯახის წევრები და ახლობლები წინააღმდეგი არიან შენი სხვა ქვეყანაში სამსახურის. მათ არ ესმით, არ სჯერათ, რომ ეს ნაბიჯი თითოეული მოქალაქის ვალდებულებაა. იმისათვის, რომ შენი ოცნება აისრულო, მოამზადე **საინფორმაციო ბროშურა სახელწოდებით „მშვიდობისათვის“**, რომლითაც სამშვიდობო და ჰუმანიტარული მისიებში მოხალისეობრივი მონაწილეობის საჭიროებაში დაარწმუნებ ოჯახის წევრებს.<br>**საინფორმაციო ბროშურაში/ ბროშურის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>• რა მნიშვნელობა აქვს სამშვიდობო და ჰუმანიტარულ მისიებში მოქალაქეების |



**კომპლექსური დავალების წარდგენა** საერთო საკლასო მუშაობის ფონზე :
» მასწავლებელი ამზადებს მსმენელის დღიურს და აცნობს კლასს, უხსნის, რომ წარდგენისას, მსმენელები მოუსმენენ თითოეულ პრეზენტატორს და თან ე.წ. მსმენელის დღიურში ჩაინიშნავენ სათქმელს.

**მსმენელის დღიური:**
- რაში ვეთანხმები გამომსვლელს?
- რა შევამჩნიე პრეზენტაციის დროს ისეთი, რაზეც არ უსაუბრია გამომსვლელს?
- ან პირიქით, რა ისეთ დეტალზე ილაპარაკა, რომელსაც მე არ მივაქციე ყურადღება?

**განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული შემდეგ ნიუანსებზეც:**
- კომპლექსურ დავალებაზე ერთობლივად მუშაობის დროს რა საერთო მიზანი, საზრუნავი და ინტერესი გვაერთიანებდა?
- გაგვიჭირდა თუ არა ურთიერთშეთანხმება? რა გზებით და საშუალებებით მივაღწიეთ საბოლოო მიზანს?
- განიცადა თუ არა ცვლილება ჩვენმა შეხედულებებმა საკითხზე, შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს საკუთარ გარემოში პოზიტიური ცვლილებების განხორციელება?
- რას შეცვლიდით მომავალში სხვა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში და წარდგენისას?

**შეაფასე შენი ნამუშევარი და გამოკვეთე:**
- იყო თუ არა ეს საკითხი ჩემთვის საინტერესო და რატომ?
- გამომადგება თუ არა მომავალში, რა გამოცდილებაც შევიძინე და რა არის ასეთი კონკრეტულად?
- რა დამეხმარა კომპლექსური დავალების შესრულებაში ყველაზე მეტად?

მოხალისეობრივ საწყისებზე ჩართულობას საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარებისათვის? (ს.მ.2; ი.მ.5)
- გიორგის მოხალისეობრივი ჩართულობა რა გავლენას მოახდენს დემოკრატიული სახელმწიფოს და საზოგადოების ჩამოყალიბებაზე? (ს.მ.1; ი.მ.3,4)
- რა გზებით და ვისთან თანამშრომლობით ერთვებიან აქტიური მოქალაქეები/სახელმწიფოები ჰუმანიტარულ და სამშვიდობო მისიებში? (ს.მ.3)
- როგორ შეუძლია ერთ ადამიანს საზოგადოებისა და ქვეყნისთვის საჭირო, მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება მსოფლიო მშვიდობისათვის? (ს.მ.4,5; ი.მ.2)
- როგორ უკავშირდება შენი ახლობლების შეხედულებები აქტიური მოქალაქეობისა და სამოქალაქო მონაწილეობის მახასიათებლებს, რომლებიც გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს? (ს.მ.5; ი.მ.5)

**პრაქტიკული რეკომენდაციები:**
კომპლექსური დავალების მოსამზადებლად შეგიძლია დამხმარე რესურსად გამოიყენო:

მისიები

საქართველო მსოფლიო მშვიდობისთვის

უცნობი ჯარისკაცები



<table>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td>
<td>საკითხი/საკითხები<br>რატომ განვითარდა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში?<br>რატომ ხდება არაეფექტური ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების საქმიანობა მოქალაქის პასიურობის შემთხვევაში?<br>რატომ არის მართლმსაჯულება (სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე) მშვიდობის წინაპირობა?<br>მოსწავლის წიგნი §3.4.</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/საკვანძო შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება/დავალებები შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ქვეცნებები:<br>• საერთაშორისო ორგანიზაციები: გაერო, ნატო, ევროკავშირი;<br>• „ბორდერიზაცია“;<br>• საერთაშორისო სამართალი;<br>• საერთაშორისო თანამშრომლობა;<br>• ადამიანის უფლებების დაცვა საერთაშორისო დონეზე.</td>
<td>• რატომ არის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა? როგორ უწყობს ხელს საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობა ლოკალურ დონეზე ადამიანის უფლებების დაცვას?</td>
</tr>
<tr>
<td>დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები).<br>შედეგები:<br>საბაზო საფეხური:<br>3, 4, 13.<br>1. ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით;<br>2. ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები):<br>ეტაპი 1. კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია).<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?<br>რეკომენდაცია მასწავლებელს: დეტალურად გააცანით მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და შეთანხმდით ვადებზე, თუ რა დროის განმავლობაში უნდა შესრულდეს კომპლექსური დავალების პროდუქტი. ასევე შეთანხმდით, თუ რა ფორმით მოხდება წარდგენა.<br>გადაამოწმე, ყველა მოსწავლემ სწორად გაიგო თუ არა კომპლექსური დავალების პირობა (დამაზუსტებელი და შემათანხმებელი ტიპის შეკითხვებით), შემდეგ კი მიზნობრივად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული კითხვები, რომელიც დაგეხმარებათ, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ თუ რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დაადასტურონ, თუ რა ისწავლეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით? ასევე დაგეხმარებათ კომპლექსური დავალების პროდუქტისთვის პრაქტიკული და ტექნიკური დეტალების დაზუსტებაში.<br>ინსტრუქცია მოსწავლეს: ყურადღებით მოუსმინე დასმულ შეკითხვებს და შეეცადე უპასუხო თითოეულ მათგანს:<br>• ხშირად გესმის ტელევიზიიდან, პრესიდან აგვისტოს ომის შესახებ, ხშირად საპროტესტო აქციებიცაა მცოცავი ოკუპაციის გამო. რას ფიქრობ ამ პრობლემაზე? რა კითხვებს დაუსვამდი კონფლიქტის ორივე მხარეს?</td>
<td>დაწერე არგუმენტირებული ესე თემაზე: არის თუ არა დამოკიდებული მოქალაქეების აქტიურობაზე ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობის შედეგები.<br>ესეში ხაზგასმით წარმოაჩინე:<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების არსებობა დემოკრატიული გარემოს შესაქმნელად? (დემ.1,3)</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს;<br>3. დემოკრატიულ საზოგადოებაში/ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა;<br>4. დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, ხელისუფლების დანაწილება, სამართლიანი არჩევნები, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს. | • როგორ დაეხმარებოდი იმ მოქალაქეებს, რომლებიც თავად განიცდიან ამ პროცესებს?<br>• როგორ ფიქრობ, არის თუ არა შესაძლებელი ოკუპაციასთან, „ბორდერიზაციასთან“ დაკავშირებული პრობლემა მხოლოდ ჩვენი ძალებით მოგვერდეს? საერთაშორისო ორგანიზაცებს რა როლი ექნება და რატომ?<br><br>**ეტაპი 2.** კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა. სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება.<br>საკვანძო შეკითხვა: *როგორ შევასრულო მოცემული დავალება?*<br><br>**აქტივობა1**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:**<br>წაიკითხე ამონარიდი სტატიიდან წყარო 1, (გვ. 121). საოკუპაციო ძალებმა სოფელ ატოცში „ბორდერიზაცია“ განაახლეს და უპასუხე შეკითხვებს:<br>• უნდა მოახდინოს თუ არა რეაგირება საქართველოში მიმდინარე „ბორდერიზაციის“ ფაქტებზე საერთაშორისო ორგანიზაციებმა და რატომ?<br>• როგორ აისახება საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე „ბორდერიზაციის“ პროცესი საერთაშორისო სამართალზე?<br>• მოქალაქეების რომელ უფლებებს არღვევს „ბორდერიზაცია“? ვინ და როგორ უნდა რეაგირებდეს?<br><br>**აქტივობა 2**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** დაინაწილეთ ტექსტი „მნიშვნელოვანი საკითხები“ (გვ. 122) და გადანაწილდით ჯუფებში.<br>თითოეული ჯგუფი პასუხობს შეკითხვას: რა მნიშვნელობა აქვს ამ ორგანიზაციებს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიო წესრიგისა და მშვიდობის დამყარებაში?<br>**პირველი ჯგუფი:** გაერო;<br>**მეორე ჯგუფი:** ნატო;<br>**მესამე ჯგუფი**: ევროკავშირი.<br><br>ინფორმაციის დამუშავების შემდეგ ჯგუფში წარმართეთ დისკუსია შემდეგი საკითხების გარშემო:<br>• რას წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციები?<br>• რა როლი და მნიშვნელობა ეკისრება მათ თანამედროვე სახელმწიფოს ცხოვრებაში?<br>• რა პრინციპებსა და ნორმებზე დაყრდნობით ფუნქციონირებს საერთაშორისო ორგანიზაციები?<br>• თავისუფლად მოქმედებენ თუ შებოჭილი არიან ცალკეული წესებით?<br><br>**აქტივობა 3**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** წაიკითხე წყარო 2, (გვ. 125) და უპასუხე კითხვებს: | • რომელი საერთშორისო და ადგილობრივი დოკუმენტები არეგულირებს ადამიანის უფლებების დაცვას; (დემ.2)<br><br>• რა როლი ეკისრება ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მუშაობას მსოფლიოში ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრაში; და რატომ არის მნიშვნელოვანი ამ მიმართულებით მუშაობა? (დემ.2)<br><br>• რატომ არის მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების ერთმანეთთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა? (დემ.4)<br><br>• რატომ არის მნიშვნელოვანი მოქალაქის აქტიურობა ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების ეფექტურად მუშაობისთვის? (დემ.2) |

• სად ჩანს ამ ამბავში მოქალაქის უფლების დარღვევა? კონკრეტულად რომელი უფლებებია დარღვეული?
• სად ჩანს სახელმწიფოს უსაფრთხოების დარღვევა?
• როგორ და რის საფუძველზე უნდა მოახდინოს რეაგირება საერთაშორისო სასამართლომ?

**აქტივობა 4**
**ინსტრუქცია მოსწავლეს:** წაიკითხე რუბრიკა „მნიშვნელოვანი საკითხები“ (გვ. 126). ყურადღება გაამახვილე ადამიანის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით საზოგადოების დამოკიდებულებაზე, რეაგირებაზე.




**აქტივობა 5**
წაიკითხე წყარო 3,4,5,6,7 (გვ. 127), გადაიტანე რვეულში და წყაროში მოცემული ინფომაციის ანალიზის საფუძველზე შეავსე ცხრილი.

| | ადამიანის რომელი უფლების დასაცავად იბრძოდა | ბრძოლის რა მეთოდებს იყენებდა | რა შედეგი გამოიღო მისმა ბრძოლამ | რამდენად აქტუალურია დღეს |
|---|---|---|---|---|
| **წყარო №3** | | | | |
| **წყარო №4** | | | | |
| **წყარო №5** | | | | |
| **წყარო №6** | | | | |
| **წყარო №7** | | | | |

**ჯგუფური მუშაობა** – პრაქტიკული რჩევები.
მოსწავლეებს სთხოვეთ იმუშაონ ჯგუფებში და ყურადღება გაამახვილონ შემდეგ საკითხებზე:
• დაფიქრდით და გაითვალისწინეთ, რა მიზნით და ვისთვის ქმნით კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტს;

| | | |
|---|---|---|
| | • დაფიქრდით, რა რესურსები გჭირდებათ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად;<br>• შეადგინეთ პროდუქტის სავარაუდო გეგმა;<br>• განიხილეთ ჯგუფებში.<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლე მზაობითაა კომპლექსური დავალების პროდუქტის შესაქმნელად.<br>**კომპლექსური დავალების წარდგენა** საერთო საკლასო მუშაობის ფონზე:<br>» მასწავლებელი ამზადებს მსმენელის დღიურს და აცნობს კლასს, უხსნის, რომ წარდგენისას, მსმენელები მოუსმენენ თითოეულ პრეზენტატორს და თან ე.წ. მსმენელის დღიურში ჩაინიშნავენ სათქმელს.<br><br>**მსმენელის დღიური:**<br>• რაში ვეთანხმები გამომსვლელს?<br>• რა შევამჩნიე პრეზენტაციის დროს ისეთი, რაზეც არ უსაუბრია გამომსვლელს?<br>• ან პირიქით, რა ისეთ დეტალზე ილაპარაკა, რომელსაც მე არ მივაქციე ყურადღება?<br><br>**განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული შემდეგ ნიუანსებზეც:**<br>• კომპლექსურ დავალებაზე ერთობლივად მუშაობის დროს რა საერთო მიზანი, საზრუნავი და ინტერესი გვაერთიანებდა?<br>• გაგვიჭირდა თუ არა ურთიერთშეთანხმება? რა გზებით და საშუალებებით მივაღწიეთ საბოლოო მიზანს?<br>• განიცადა თუ არა ცვლილება ჩვენმა შეხედულებებმა საკითხზე, შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს საკუთარ გარემოში პოზიტიური ცვლილებების განხორციელება?<br>• რას შეცვლიდით მომავალში სხვა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში და წარდგენისას?<br><br>**შეაფასე შენი ნამუშევარი და გამოკვეთე:**<br>• იყო თუ არა ეს საკითხი ჩემთვის საინტერესო და რატომ?<br>• გამომადგება თუ არა მომავალში, რა გამოცდილებაც შევიძინე და რა არის ასეთი კონკრეტულად?<br>• რა დამეხმარა კომპლექსური დავალების შესრულებაში ყველაზე მეტად? | |

**სამიზნე ცნება – დემოკრატია**

**საკითხი –** რატომ განვითარდა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში?
**კომპლექსური დავალების პირობა:**
დაწერე არგუმენტირებული ესე თემაზე: არის თუ არა დამოკიდებული მოქალაქეების აქტიურობაზე ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობის შედეგები?
**ესეში ხაზგაზმით წარმოაჩინეთ:**
• რატომ არის მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებათა დამცველი საერთშორისო ორგანიზაციების არსებობა?
•რომელი საერთშორისო და ადგილობრივი დოკუმენტები არეგულირებს ადამიანის უფლებების დაცვას?
• რა როლი აქვს ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მუშაობას მსოფლიოში ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრის მიმართულებით?
• საერთშორისო სამართლის ეფექტურობაზე რა გავლენას ახდენს ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების არსებობა და როგორ?
• რატომ არის მნიშვნელოვანი მოქალაქის აქტიურობა ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების ეფექტურად მუშაობისთვის?

| სამიზნე ცნება<br>კრიტერიუმი | სამიზნე ცნება |
|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას... | **აღწერილობა კომენტარი**<br>მოსწავლე ასახელებს ყველა იმ მნიშვნელოვან პუნქტს **ესეში**, თუ რატომ ხდება არაეფექტური ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების საქმიანობა მოქალაქის პასიურობის შემთხვევაში? **აღწერს** საერთაშორისო ორგანიზაციებს, მის ფუნქციებს, საქმიანობის სფეროს. **აანალიზებს** როგორი უნდა იყოს ამ მიმართულებით საზოგადოებასა და სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის კომუნიკაცია, ურთიერთთანამშრომლობა და რატომ/<br>ასევე, **პრაქტიკული მაგალითებით იხსენებს** მოსმენილ, წაკითხულ მასალებს, არის თუ არა მოქალაქეების აქტიურობაზე დამოკიდებული ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობის შედეგები, მათი ეფექტიანობა და როგორ? განაზოგადებს, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი სახელმწიფოს ჩართულობა ამ მიმართულებით, რამდენად არის საკანონმდებლო აქტებში გათვალისწინებული დემოკრატიული პროცესების ეფექტიანად წარმართვისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე განიხილავს, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებათა დამცველი საერთშორისო ორგანიზაციების არსებობა.<br>რა როლი აქვს ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მუშაობას მსოფლიოში ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრის მიმართულებით.<br>• საერთშორისო სამართლის ეფექტურობაზე რა გავლენას ახდენს ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების არსებობა და როგორ?<br>რატომ არის მნიშვნელოვანი მოქალაქის აქტიურობა ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების ეფექტურად მუშაობისთვის? რატომ არის მნიშვნელოვანი ორგანიზაციების, საზოგადოების და სახელმწიფოს კოორდინირებული თანამშრომლობა ამ მიმართულებით? აფასებს და წარმოადგენს საკუთარ დამოკიდებულებებს, თუ რატომ არის ეს თანამშრომლობა ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანი. მისი მსჯელობა სტრუქტურირებულია, ლოგიკური, მიზეზ-შედეგობრივი და ყოველი ასპექტი ურთიერთმიმართებული ერთმანეთზე. |

| | | |
|---|---|---|
| | მოსწავლის მსჯელობაში მოყვანილია ბევრი პრაქტიკული მაგალითი რეალური ცხოვრებიდან და მის მსჯელობაში იკვეთება ცალკეული ცნების მიმართულებით შინაარსობრივი კონცეპტები, რომ სახელმწიფოებსა და საზოგადოებას შორის ეფექტური თანამშრომლობისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და კანონის უზენაესობის დაცვა. ასახელებს და აკავშირებს სამართლებრივ დოკუმენტებს მის მიერ მოყვანილ მაგალითებთან, ასევე მსჯელობს, რომ ამ თანამშრომლობისთვის აუცილებელია აქტიური და ინფორმირებული სამოქალაქო საზოგადოება; მსჯელობს ორივე მხარის პასუხისმგებლობაზე, ინიციატივებზე, რომელიც მიმართული იქნება დემოკრატიული პროცესების მდგრადობისკენ. | |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | **აღწერილობა**<br>მოსწავლემ შექმნა **პროდუქტი ესე**, ასახელებს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას და არგუმენტებით აანალიზებს არის თუ არა დამოკიდებული მოქალაქეების აქტიურობაზე ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობის შედეგები?<br>ასევე ჩამოთვლის იმ პუნქტებს, თუ:<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების არსებობა?<br>• რომელი საერთაშორისო და ადგილობრივი დოკუმენტები არეგულირებს ადამიანის უფლებების დაცვას?<br>• რა როლი აქვს ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მუშაობას მსოფლიოში ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრის მიმართულებით?<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი მოქალაქის აქტიურობა ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების ეფექტურად მუშაობისთვის? მისი მსჯელობა სტრუქტურირებულია, ლოგიკური, მიზეზშედეგობრივი და ყოველი ასპექტი ურთიერთმიმართებული ერთმანეთზე.<br>თუმცა უჭირს შეფასება, განზოგადება არგუმენტების მოშველიებით, თუ რა გავლენას ახდენს საერთშორისო სამართლის ეფექტურობაზე ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების არსებობა და როგორ? | **კომენტარი**<br>მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს განმავითარებელ კომენტარს ზუსტი და მკაფიო აღწერილობით, ის ძირითადად ეფუძნება შეფასების კრიტერიუმებს, მოსწავლის პასუხიდან გამომდინარე რეკომენდაციებს აძლევს დარჩენილ კრიტერიუმებზე, რომელიც მისი ყურადღების მიღმა დარჩა.<br>მაგ.: შენ არაჩვეულებრივად გაართვი თავი დავალებას. შენ მიერ შექმნილ **პროდუქტში ესე** გამოკვეთილია კრიტერიუმები:<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების არსებობა?<br>• რომელი საერთაშორისო და ადგილობრივი დოკუმენტები არეგულირებს ადამიანის უფლებების დაცვას<br>• რა როლი აქვს ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მუშაობას მსოფლიოში ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრის მიმართულებით?<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი მოქალაქის აქტიურობა ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების ეფექტურად მუშაობისთვის?<br>თუმცა, ნაკლებად ჩანს აქცენტი შემდეგ კრიტერიუმზე, თუ რა გავლენას ახდენს საერთაშორისო სამართლის ეფექტურობაზე ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების არსებობა და როგორ?<br>იქნებ გეცადა დაგესახელებინა, ამოგეცნო მედიასაშულებებიდან, მოსმენილიდან, წაკითხულიდან, რა მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ თანამშრობლობას სამართლებრივი ნორმების დაცვით საზოგადოებისთვის და<br>სახელმწიფოსთვის? რა გავლენა აქვს დემოკრატიულ პროცესებზე? |

| | | |
|---|---|---|
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | **აღწერილობა**<br>მოსწავლემ შექნა პროდუქტი ესე. თუმცა ასახელებს რამდენიმე პუნქტს:<br>1. ასახელებს საერთაშორისო ორგანიზაციებს.<br>2. რომელი საერთაშორისო და ადგილობრივი დოკუმენტები არეგულირებს ადამიანის უფლებების დაცვას. თუმცა ისინი ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში არ არის. იკვეთება უსისტემო მსჯელობა.<br>მოსწავლეს ვერ მოჰყავს არგუმენტები, რატომ არის მნიშვნელოვანი ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების არსებობა? რა როლი აქვს ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მუშაობას მსოფლიოში ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრის მიმართულებით. საერთაშორისო სამართლის ეფექტურობაზე რა გავლენას ახდენს ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების არსებობა და როგორ?<br>რატომ არის მნიშვნელოვანი მოქალაქის აქტიურობა ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების ეფექტურად მუშაობისთვის?<br>ვერ აკეთებს დასკვნებს კონკრეტული არგუმენტებით, თუ რატომ არის ეს თანამშრომლობა ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანი. | **კომენტარი**<br>მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს განმავითარებელ კომენტარს ზუსტი და მკაფიო აღწერილობით, ის ძირითადად ეფუძნება შეფასების კრიტერიუმებს. მოსწავლის პასუხიდან გამომდინარე რეკომენდაციებს აძლევს დარჩენილ კრიტერიუმებზე, რომელიც მისი ყურადღების მიღმა დარჩა.<br>მაგ.: შენ სწორად გაიგე დავალების პირობა. პარაგრაფში მოცემული მასალაც წაგიკითხავს და დავალებასთან დაგიკავშირებია, თუმცა, გთხოვ, დავალებაში ხაზგასმით გამოკვეთო არგუმენტები, თუ რატომ განვითარდა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში?<br>რატომ ხდება არაეფექტური ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების საქმიანობა მოქალაქის პასიურობის შემთხვევაში?<br>რატომ არის მნიშვნელოვანი ორგანიზაციების, საზოგადოების და სახელმწიფოს კოორდინირებული თანამშრომლობა ამ მიმართულებით?<br>ჩამოაყალიბო დასკვნები კონკრეტული არგუმენტებით, თუ რატომ არის ეს თანამშრომლობა ორივე მხარისთვის, დემოკრატიული პროცესებისთვის მნიშვნელოვანი. |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | **აღწერილობა**<br>მოსწავლემ შექმნა **პროდუქტი – ესე**, თუმცა ის არ აკმაყოფილებს ძირითად მოთხოვნებს. არ არის გამოკვეთილი არგუმენტები. მოსწავლე ასახელებს მხოლოდ ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას, ვერ ასახელებს მისი საქმიანობის სფეროს, ვერ აკავშირებს ადამიანის უფლებების დაცვასთან. მოსწავლეს არასტრუქტურირებული წარმოდგენა აქვს, თუ რატომ განვითარდა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში?<br>რატომ ხდება არაეფექტური ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების საქმიანობა მოქალაქის პასიურობის შემთხვევაში? | **კომენტარი**<br>მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს განმავითარებელ კომენტარს ზუსტი და მკაფიო აღწერილობით, ის ძირითადად ეფუძნება შეფასების კრიტერიუმებს, მოსწავლის პასუხიდან გამომდინარე რეკომენდაციებს აძლევს იმ კრიტერიუმებზე, რომელიც ვერ დაძლია.<br>მაგ.: კარგია, რომ სწორად გაიგე დავალების პირობა, თუმცა უკეთესი იქნებოდა გაკვეთილზე ამ საკითხეის განხილვის დროს ჩაგენიშნა მნიშვნელოვანი დასკვნები, რომელიც პროდუქტის შექმნაში, ესეს არგუმენტირებაში დაგეხმარებოდა. გთხოვ, ყურადღებით წაიკითხო სასწავლო მასალა და ნაშრომში წარმოადგინო საერთაშორისო ორგანიზაციები. გთხოვ დაფიქრდი, გაიხსენე პრაქტიკული შემთხვევები, რა გსმენია, რას წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციები? |

| | | |
|---|---|---|
| | | რა როლი და მნიშვნელობა ეკისრება მათ თანამედროვე სახელმწიფოს ცხოვრებაში? რა პრინციპებსა და ნორმებზე დაყრდნობით ფუნქციონირებს საერთაშორისო ორგანიზაციები? დაფიქრდი და წარმოადგინე დასმულ შეკითხვებზე სავარაუდო, დაახლოებითი პასუხები. |
| **პრესტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | **აღწერილობა**<br>მოსწავლემ ვერ გაიგო დავალების პირობა, არ აქვს შექმნილი **პროდუქტი – ესე**, ასევე მასწავლებლის დასმულ შეკითხვებზე, რომელიც კონკრეტულ საკითხს ეხება – ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს და სამოქალაქო აქტივიზმს – არარელევანტურ პასუხს სცემს. | **კომენტარი**<br>მასწავლებელი კიდევ ერთხელ უხსნის, რას მოიაზრებდა პროდუქტი და ასევე უთითებს რესურსებს და კონკრეტულ ნაბიჯებს, რომელიც დაეხმარება საკითხის არსის დაძლევაში.<br>მაგ.: გაიხსენე, რა გსმენია ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებზე, მათ მისიაზე, საქმიანობაზე, მნიშვნელობაზე? დაფიქრდი, რა იგულისხმება ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებში, როგორ არის მასთან კავშირში მოქალაქეთა ჩართულობა, მონაწილეობა.<br>მოიძიე დამატებითი ინფორმაცია ან დაფიქრდი, საიდან შეიძლება გაიგო უფრო მეტი.<br>გაიხსენე შემთხვევა, როდესაც მედიასაშუალებებით მოგისმენია ჩვენი ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობაზე.<br>შეეცადე დავალება ამ ფაქტორის გათვალისწინებით შეასრულო. |

## თემა 4.

**სავარაუდო დრო** – 10-12 სთ.
**თემა: გარემოს დაცვა**
საათების სავარაუდო რაოდენობა

**საკითხები:**

1.კლიმატის ცვლილება; მწვანეთა მოძრაობა; გარემოსდაცვითი ორგანიზაციები;
2. ენერგიის ალტერნატიული წყაროები; ნარჩენების დახარისხება და მართვა;
3. იუნესკო/ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; ვანდალიზმი;
4. საერთაშორისო ეკოლოგიური სამართალი.

**თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები:**

• რატომ აწყდებიან დაბრკოლებებს გარემოს დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები მუშაობის პროცესში?
• რატომ არის მნიშვნელოვანი ნარჩენების შემცირება და მათი მეორადი გადამუშავება?
• უნდა მივიჩნიოთ თუ არა კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლების განზრახ დაზიანება კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად?
• როგორ შემიძლია ხელი შევუწყო გარემოს დაცვას საერთაშორისო დონეზე?

**თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:**

• ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის განზრახ დაზიანება კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს უტოლდება;
• გარემოს დაცვა იგივე ჩვენი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაა;
• ჩვენს ლოკალურ ქმედებებს შეიძლება გლობალური შედეგები მოჰყვეს (მაგ. მდინარის დაბინძურება – მსოფლიო ოკეანის დაბინძურება);
• გლობალური ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება ინდივიდის, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ქმედებებზეა დამოკიდებული (მაგ., პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა);
• გარემოს დაცვაზე ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია ზრუნავს.

**თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

**სოციალიზაცია (პიროვნება, ინდივიდი, საზოგადოება)**

- ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საჭიროების გაანალიზება ადამიანის უფლებების (ჯანმრთელობის დაცვის უფლება, უფლება სუფთა გარემოზე, ჰაერზე, წყალსა და საკვებზე, უფლება სათანადო საცხოვრისზე, კულტურული იდენტობის შენარჩუნების უფლება) ჭრილში **(მოქ.საბ.1,2,3,5,6,8,9,10,11,13);**

**დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)**

- ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზისას დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა) გათვალისწინება **(მოქ.საბ.3,4,5,7,10,11,13);**

**ინიციატივა და მეწარმეობა**

- მსოფლიოში არსებული ეკოლოგიური (კლიმატის ცვლილება, გარემოს დაცვა შეიარაღებული კონფლიქტის დროს), გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული (კულტურული მემკვიდრეობის დაცვა შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში) პრობლემების ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება; საკუთარი ჩართულობით მათი გადაჭრის გზებისა და ამისათვის საჭირო რესურსების გაანალიზება **(მოქ.საბ.1,2,3,4,5,6, 7,8,9,10,11,12,13);**

**სამოქალაქო მონაწილეობა**

- მსოფლიოში არსებული ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში მოქალაქის აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობის გაცნობიერება **(მოქ.საბ.1,2,3,4,5,6, 7,8,9,10,11,12,13);**

**მდგრადი განვითარება**

- ეკოლოგიური, გარემოსდაცვითი, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება **(მოქ.საბ.3,5,7,10,11,13).**

<table>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td>
<td>საკითხი/საკითხები<br>რატომ აწყდებიან დაბრკოლებებს გარემოს დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები მუშაობის პროცესში?<br>მოსწავლის წიგნი §4.1.</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/საკვანძო შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება/დავალებები შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ქვეცნებები:<br>•გლობალური პრობლემები;<br>•ექსტრემალური მოვლენები;<br>•ტექნოგენური ფაქტორები;<br>•გარემოსდაცვითი ინფორმაცია;<br>•პარიზის შეთანხმება.</td>
<td>• რატომ არის მნიშვნელოვანი, ადამიანებმა გაითავისონ საკუთარი როლი კლიმატის ცვლილებაში?<br>• რა გზები და საშუალებები შეიძლება იქნეს გამოყენებული კლიმატის ცვლილების შესაჩერებლად?</td>
</tr>
<tr>
<td>სამოქალაქო მონაწილეობა.<br>შედეგები:<br>საბაზო საფეხური:<br>8, 9, 12, 13.<br>1. დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება;<br>2. სამოქალაქო მონაწილეობა საზოგადოებრივ საჭიროებებზე/ქვეყანაზე ზრუნვის საშუალებაა;<br>3. აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები):<br>ეტაპი 1. კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია).<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?<br><br>რეკომენდაცია მასწავლებელს: დეტალურად გააცანით მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და შეთანხმდით ვადებზე, თუ რა დროის განმავლობაში უნდა შესრულდეს კომპლექსური დავალების პროდუქტი. ასევე შეთანხმდით, თუ რა ფორმით მოხდება წარდგენა.<br>გადაამოწმე, ყველა მოსწავლემ სწორად გაიგო თუ არა კომპლექსური დავალების პირობა (დამაზუსტებელი და შემათანხმებელი ტიპის შეკითხვებით), შემდეგ კი მიზნობრივად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული კითხვები, რომელიც დაგეხმარებათ, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ თუ რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დაადასტურონ, თუ რა ისწავლეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით? ასევე დაგეხმარებათ კომპლექსური დავალების პროდუქტისთვის პრაქტიკული და ტექნიკური დეტალების დაზუსტებაში.<br>ინსტრუქცია მოსწავლეს: ყურადღებით მოუსმინე დასმულ შეკითხვებს და შეეცადე უპასუხო თითოეულ მათგანს:<br>• როგორ ფიქრობ, არის თუ არა დედამიწაზე საკმარისი რესურსები?<br>• ყოფნის თუ არა ისინი მსოფლიოს ყველა ქვეყანას და ჩვენს პლანეტაზე მცხოვრებ ყველა ადამიანს?<br>• როგორ ფიქრობ, ეყოფა თუ არა ეს რესურსები მომავალში სხვა ადამიანებს?<br>მოსწავლე გამოთქვამს მოსაზრებებს და მასწავლებელი ინიშნავს ან წერს თეზისების დაფაზე/ფლიფჩარტზე.</td>
<td>A ვარიანტი<br>მოიკვლიე მუნიციპალიტეტში, გარემოსდაცვითი მიმართულებით მომუშავე ა/ო-თან ერთად ეკოლოგიური პრობლემა, რომელიც კავშირშია კლიმატის ცვლილებასთან, გლობალურ მიზნებთან.<br>შექმენი მისი მოგვარების მოთხოვნით პეტიცია და გაუგზავნე ადგილობრივ თვითმმართველობას. პეტიციის შესახებ ინფორმაციას შეგიძლია გაეცნოთ veb-gverdze:https://ichange.gov.ge<br>პეტიციაში/პეტიციის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:<br>• შენ მიერ მოკვლეული ეკოლოგიური პრობლემის პირდაპირი კავშირი კლიმატის ცვლილებასთან და გლობალურ მიზნებთან;<br>(ს.მ.1,2; ი.მ.1)</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან;<br>4. სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება;<br>5. სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს.<br>**ინიციატივა და მეწარმეობა.**<br>**შედეგები:**<br>**საბაზო საფეხური: 5, 6, 7.**<br>1. პირადი/საზოგადოებრივი საჭიროებების განსაზღვრა ნებისმიერი ინიციატივის საფუძველია; | **ეტაპი 2.** კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა. სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება.<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> *როგორ შევასრულო მოცემული დავალება?*<br><br>**აქტივობა 1**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** წაიკითხე ამბავი 1, (გვ. 133) და უპასუხე შეკითხვებს:<br>1. რა პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ მეცხვარეები და რატომ?<br>2. სად ჩანს მოცემულ სიტუაციაში კლიმატის ცვლილება?<br>3. შენ ხედავ თუ არა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ პრობლემებს შენ გარშემო?<br><br>**აქტივობა 2**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** გაეცანი მასალას „მნიშვნელოვანი საკითხები“ (გვ. 133). გააანალიზე ტექსტი კითხვა-ნიშანთა სისტემის დახმარებით.<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:**<br>სასურველია, მოსწავლეებთან ერთად შევიმუშაოთ რამდენიმე სიმბოლო. მაგალითად:<br>გაუგებარი სიტყვა — ?<br>ნაცნობი ინფორმაცია — +<br>მნიშვნელოვანი ცნობა — !<br><br>**აქტივობა 3**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** ქვემოთ წარმოდგენილია ცხრილი 1, (გვ. 135), რომლის პირველ სვეტში მოცემულია ადამიანების საქმიანობები, რომლებმაც გამოიწვია კლიმატის ცვლილება. დაფიქრდი რა ალტერნატიული ქმედებებით უნდა ჩანაცვლდეს პირველ სვეტში მოცემული რეალობა და შევსე ცხრილის მეორე სვეტი. მოიაზრე, რა წვლილს შეიტან არსებული რეალობის შესაცვლელად, როგორც მოქალაქე და შეავსე ცხრილის მესამე სვეტი.<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** ამ ცხრილის საშუალებით მოსწავლეები დაფიქრდებიან ადამიანის რომელი ქმედებები იწვევს კლიმატის ცვლილებებს, შეაფასებენ საკუთარ ქმედებებს ამ მიმართულებით, შეიმუშავებენ პრაქტიკულ რეკომენდაციებს, გააცნობიერებენ საკუთარ როლს.<br><br>**აქტივობა 4**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** გაეცანი წყარო 1, 2 (გვ. 135). დაფიქრდი გლობალური დათბობისა და კლიმატის ცვლილების შედეგებზე. მოცემული სქემა გადაიტანე რვეულში. დაფიქრდი, ცალკეულმა სუბიექტმა რა როლი უნდა შეასრულოს ამ პრობლემის დაძლევაში? | • ეკოლოგიური პრობლემის აქტუალურობა და მისი მოგვარების აუცილებლობის დასაბუთება; (ს.მ.3; ი.მ.2)<br>• შენეული ხედვა ამ პრობლემის მოგვარების ეტაპების თაობაზე; (ი.მ.4)<br>• რესურსები, რომელიც პრობლემის გადაჭრას დასჭირდება, მათი დაახლოებითი რაოდენობა; (ს.მ.3,4; ი.მ.4,5)<br>• რა საზოგადოებრივი სარგებელი მოჰყვება პეტიციაში აღწერილი პრობლემის მოგვარებას, როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ დონეზე. (ს.მ.1)<br>**პრაქტიკული რეკომენდაციები:** პეტიციის შექმნამდე გაეცანი დამხმარე მასალას რა მეთოდებით ცდილობენ ქვეყნები მოქალაქეების წახალისებას გარემოს დასაცავად“. შენს მუნიციპალიტეტში გამოვლენილი პრობლემის შესწავლისთვის გაქვს უფლება გამოითხოვო საჯარო ინფორმაცია: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან https://mepa.gov.ge/Ge/SubscribePublicInfo |

| | | |
|---|---|---|
| 2. მეწარმე არის ადამიანი, რომელსაც აქვს საზოგადოებისთვის სასარგებლო იდეა და მზად არის რისკი გასწიოს საკუთარი იდეის განვითარებისთვის;<br>3. მკაფიო მიზნების დასახვა, რესურსებისა და მოქმედებების დაგეგმვა და დროში განაწილება წარმატებული საქმიანობის აუცილებელი პირობაა;<br>4. მოქმედებებისგან მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრა გვეხმარება გაუთვალისწინებელი რისკების შემცირებაში;<br>5. გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია ზნეობრივი და საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინება; შედეგის მისაღებად პროცესზე დაკვირვებაა საჭირო. | **აქტივობა 5**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** იმუშავეთ წყვილებში. უპასუხე კითხვებს (გვ. 136). პასუხები დაწერე ფურცელზე.<br>• რომელ გარემოს დამცველ ორგანიზაციებს იცნობ?<br>• რატომ გახდა საჭირო სამთავრობო სექტორთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა გარემოსდაცვით საქმიანობებში?<br>• გაგიგია ან მიგიღია თუ არა მონაწილეობა გარემოს დაცვის მიზნით განხორციელებულ რომელიმე აქტივობასა თუ პროექტში?<br>შეკითხვებზე მიღებული პასუხები დააკავშირე ქვემოთ მოცემულ ინფორმაციასთან „მწვანეთა მოძრაობის შესახებ“. დაფიქრდი, რატომ არის მნიშვნელოვანი გახდე მოხალისე ა/ო-ს მიერ ინიცირებულ და დაგეგმილ მსგავს ღონისძიებებში ან თავად გახდე ინიციატორი შენს თემში, ქალაქში, მუნიციპალიტეტში.<br><br>**აქტივობა 6:**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** ყურადღებით წაიკითხე (გვ. 137) „მნიშვნელოვანი საკითხები“, ამოწერეთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ფურცლებზე.<br><br>**აქტივობა 7:**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** დაგეგმე და წარმართე დისკუსია-აქტივობა 4-ში (გვ. 139) მას შემდეგ, რაც ერთმანეთთან დააკავშირებ საქართველოში გარემოსდაცვითი საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობის ხელისშემშლელ ფაქტორებს და მათი გაუმჯობესების გზებს/საშუალებებს.<br><br>**ჯგუფური მუშაობა – პრაქტიკული რჩევები**<br>მოსწავლეებს სთხოვეთ იმუშაონ ჯგუფებში და ყურადღება გაამახვილონ შემდეგ საკითხებზე:<br>• დაფიქრდით და გაითვალისწინეთ, რა მიზნით და ვისთვის ქმნით კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტს;<br>• დაფიქრდით, რა რესურსები გჭირდებათ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად;<br>• შეადგინეთ პროდუქტის სავარაუდო გეგმა;<br>• განიხილეთ ჯგუფებში.<br><br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლე მზაობითაა კომპლექსური დავალების პროდუქტის შესაქმნელად. | გახსოვდეს! 2013 წლიდან სამინისტროს სისტემაში შეიქმნა გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ცხელი ხაზი – 153.<br><br>**B ვარიანტი**<br>**რატომ უნდა გვაღელვებდეს კლიმატის ცვლილება?**<br>რადგან 1880-დან 2012 წლამდე შუალედში დედამიწაზე საშუალო გლობალური ტემპერატურა 0.85°C-ით გაიზარდა. ჩვენ ყველა მონაწილე ვართ ამ პროცესების!<br>პლანეტაზე უკვე შესამჩნევი ცვლილებები გამოიწვია ამ ფაქტმა – საგანგაშო სისწრაფით შემცირდა მყინვარების ზომები; არქტიკის ზღვის ყინული და ჩრდილოეთ ნახევარსფეროს თოვლის საფარი განაგრძობს შემცირებას. |

| | | |
|---|---|---|
| | **კომპლექსური დავალების წარდგენა საერთო საკლასო მუშაობის ფონზე:**<br>• მასწავლებელი ამზადებს მსმენელის დღიურს და აცნობს კლასს, უხსნის, რომ წარდგენისას, მსმენელები მოუსმენენ თითოეულ პრეზენტატორს და თან ე.წ. მსმენელის დღიურში ჩაინიშნავენ სათქმელს.<br><br>**მსმენელის დღიური:**<br>• რაში ვეთანხმები გამომსვლელს?<br>• რა შევამჩნიე პრეზენტაციის დროს ისეთი, რაზეც არ უსაუბრია გამომსვლელს?<br>• ან პირიქით, რა ისეთ დეტალზე ილაპარაკა, რომელსაც მე არ მივაქციე ყურადღება?<br><br>**განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული შემდეგ ნიუანსებზეც:**<br>• კომპლექსურ დავალებაზე ერთობლივად მუშაობის დროს რა საერთო მიზანი, საზრუნავი და ინტერესი გვაერთიანებდა?<br>• გაგვიჭირდა თუ არა ურთიერთშეთანხმება? რა გზებით და საშუალებებით მივაღწიეთ საბოლოო მიზანს?<br>• განიცადა თუ არა ცვლილება ჩვენმა შეხედულებებმა საკითხზე, შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს საკუთარ გარემოში პოზიტიური ცვლილებების განხორციელება?<br>• რას შეცვლიდით მომავალში სხვა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში და წარდგენისას?<br><br>**შეაფასე შენი ნამუშევარი და გამოკვეთე:**<br>• იყო თუ არა ეს საკითხი ჩემთვის საინტერესო და რატომ?<br>• გამომადგება თუ არა მომავალში, რა გამოცდილებაც შევიძინე და რა არის ასეთი კონკრეტულად?<br>• რა დამეხმარა კომპლექსური დავალების შესრულებაში ყველაზე მეტად? | ყინულის მასების სწრაფი კლება შეინიშნება გრენლანდიასა და ანტარქტიდაშიც; დაიწყო სხვადასხვა ვირუსული ინფექციების სწრაფი გავრცელება-ეპიდემია, პანდემია, გლობალურ დონეზე გაიზარდა ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენების სიხშირეც.<br>ეს ცვლილებები ადამიანის ცხოვრებაზე დრამატულ ზეგავლენას იქონიებს.<br>დროა, ყველა დავფიქრდეთ საკუთარ წვლილზე და პრობლემის მოგვარებაზე.<br>დაგეგმე კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საინფორმაციო კამპანია, რომელიც წარმოდგენილი იქნება პრაქტიკული აქტივობებით (მაგ.: პანტომიმა, ფლეშმობი, პერფომანსი, თეატრალური ინსცენირება და ა.შ.). კამპანიის შემდეგ დაწერე ანგარიში სახელწოდებით **„ერთად შევაჩეროთ კლიმატის ცვლილება“. ანგარიშის წარდგენისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>• საინფორმაციო კამპანიის და კლიმატის ცვლილების აქტუალურობა, მისი მოგვარების აუცილებლობის გზების დასაბუთება; (ს.მ.3; ი.მ.2) |

- შენეული ხედვა ამ პრობლემის მოგვარების ეტაპე-ბის თაობაზე; (ი.მ.3,4)
- საზოგადოებრივი სარგებელი, როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ დონეზე, რომელიც პრობლემის წარმატებით მოგვარებას მოჰყვება; (ს.მ.1,2)
- გლობალური საფრთხე კლიმატის ცვლილებასთან კავშირში, რომელიც შეიძლება მოსდევდეს საზოგა-დოების კონკრეტულ ქმედებებს. (ს.მ.5; ი.მ.5)

**C ვარიანტი**

წარმოიდგინე, შენ ცხოვრობ იმერეთში, კერძოდ, ზე-სტაფონის რაიონში, სადაც ფეროშენადნობი ქარხანა აქტიურად მუშაობს. თემში ქარხნისგან წარმოქმნი-ლი გამონაბოლქვი შენ და შენს თანაქალაქელებს, ზოგადად მოსახლეობას უქმნის ჯანმრთელობის პრობლემას. როგორც აქტიურმა მოქალაქემ, შენს თანამოაზრეებთან ერთად, პრობლემის მოსაგვარებ-ლად **შექმენი პეტიცია** და წარადგინე ადგილობრივ თვითმართველობაში.

**ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე:**
- რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოების პოზიციის დაფიქსირებას პრობლემის გადაჭრისათვის; (ს.მ.2,3)
- რომელი პრობლემის მოგვარებისკენ არის მიმარ-თული პეტიცია? (ი.მ.1,2)
- რა ზეგავლენას ახდენს ჰაერის გამონაბოლქვი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე? (ს.მ.3)
- მიზეზები, რატომ უნდა შეუერთდნენ თემში მც-ხოვრები ადამიანები პეტიციას? (ს.მ.3,4)
- როგორია ჰაერის დაბინძურების პრობლემის გა-დაჭრის შენეული ხედვა? (ს.მ.2; ი.მ.3,4.)

**პრაქტიკული რეკომენდაცია:**
გაეცანი მოცემულ რესურსს გარემოსდაცვითი ნე-ბართვები-ლიცენზიები http://www.eiec.gov.ge/Teme-bi/permissions-and-licenses.aspx

<table>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td>
<td>საკითხი/საკითხები<br>რატომ გახდა საჭირო ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენება ადამიანის მიერ? რატომ არის მნიშვნელოვანი ნარჩენების შემცირება და მათი მეორადი გადამუშავება?<br>მოსწავლის წიგნი §4.2.</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/საკვანძო შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება/დავალებები<br>შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ქვეცნებები:<br>•გარემოს დაცვა;<br>•ალტერნატიული ენერგორესურსები;<br>•ენერგოეფექტურობა;<br>•ნარჩენების მართვა;<br>•რესურსების რაციონალიზაცია;<br>•მწვანე ეკონომიკა.</td>
<td>• რატომ არის ენერგოეფექტურობა საუკუნის გამოწვევა?<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი ინდივიდმა გააცნობიეროს ენერგოეფექტურობა პლანეტის გადასარჩენად?<br>• როგორ ვმართოთ ენერგორესურსებზე მოთხოვნილებები ეფექტურად?<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი ნარჩენების დახარისხება და გადამუშავება?</td>
</tr>
<tr>
<td>მდგრადი განვითარება<br>შედეგები:<br>საბაზო საფეხური:<br>7, 10, 11.<br>1. რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება;<br>2. ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს (მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიერთილენის პარკზე უარის თქმა)).</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები):<br><br>ეტაპი 1. კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია).<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?<br><br>რეკომენდაცია მასწავლებელს: დდეტალურად გააცანით მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და შეთანხმდით ვადებზე, თუ რა დროის განმავლობაში უნდა შესრულდეს კომპლექსური დავალების პროდუქტი. ასევე შეთანხმდით, თუ რა ფორმით მოხდება წარდგენა.<br><br>გადაამოწმეთ, ყველა მოსწავლემ სწორად გაიგო თუ არა კომპლექსური დავალების პირობა (დამაზუსტებელი და შემათანხმებელი ტიპის შეკითხვებით). შემდეგ კი მიზნობრივად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული კითხვები, რომელიც დაგეხმარებათ, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ თუ რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დაადასტურონ, თუ რა ისწავლეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით? ასევე დაგეხმარებათ კომპლექსური დავალების პროდუქტისთვის პრაქტიკული და ტექნიკური დეტალების დაზუსტებაში.<br><br>ინსტრუქცია მოსწავლეს: ყურადღებით მოუსმინე დასმულ შეკითხვებს და შეეცადე უპასუხოთ თითოეულ მათგანს:<br><br>1.როგორ ფიქრობ, რომელი რესურსი ამოიწურება ყველაზე ადრე?<br><br>2. რომელი რესურსი ამოიწურება ყველაზე გვიან?</td>
<td>A <u>ვარიანტი</u><br>სოციალურ ქსელში შენ ახლახან გაეცანი სტატიას ასეთი დამაინტრიგებელი სათაურით – „არაფერი ჩვენ შესახებ ჩვენ გარეშე!“<br>„თუკი გაღელვებს საქართველოში ალტერნატიული ენერგორესურსების სფეროს განვითარება, გთხოვ, დაგვეხმარე! თავადაც გახდი აქტიური მოქალაქე და მხარდაჭერა სთხოვე შენი ოჯახის წევრებს, მეგობრებს და სხვა ადამიანებს. გახდი „ალტერნატიული ენერგორესურსების რეინჯერი“. შენც გადაწყვიტე, გამოეხმაურო ამ მოწოდებას.<br><br>შექმენი „ცოცხალი ბარათები“ ელექტრონულად https://www.liveworksheets.com და რაც შეიძლება სწრაფად გაავრცელე სოც.ქსელში.<br>ბარათების შექმნისას და პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| **სამოქალაქო მონაწილეობა.**<br>**შედეგები:**<br>**საბაზო საფეხური:**<br>**8, 9, 12, 13.**<br>1. დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება;<br>2. სამოქალაქო მონაწილეობა საზოგადოებრივ საჭიროებებზე/ქვეყანაზე ზრუნვის საშუალებაა;<br>3. აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან; | 3. თუ დედამიწაზე ნავთობის მარაგი დაახლოებით 150 მლრდ ტონაა, მსოფლიოში კი ყოველწლიურად სამ მლრდ ტონა ნავთობს მოიპოვებენ, როგორ ფიქრობ, რამდენ ხანს ეყოფა კაცობრიობას ნავთობის რესურსი?<br>4. დაფიქრებულხარ თუ არა, რა მოხდება ნავთობის ამოწურვის შემდეგ? რა საწვავი რესურსი შეიძლება გამოვიყენოთ?<br>5. რისი გაკეთება შეგიძლია გლობალური მიზნების მისაღწევად?<br>6. ხომ არ დაფიქრებულხართ ოდესმე, როგორი იქნება სამყარო, ჩვენი პლანეტა, მსოფლიო 10-20-30-50 წლის შემდეგ?<br>7. რა უნდა შევცვალოთ, რომ უკეთესი მომავალი გვქონდეს? რა როლი და შესაძლებლობები აქვს მომავლის ცვლილებებში თითოეულ მოქალაქეს?<br>8. როგორ გესმის სიტყვა „ენერგია“ და როდის იყენებ ამ სიტყვას?<br>9. რა გვჭირდება წყლის გასაცხელებლად, მანქანების ასამუშავებლად?<br>10. გაიხსენე და ჩამოთვალე, ენერგიის რა წყაროებს იყენებ სახლში? აბინძურებენ თუ არა ისინი გარემოს?<br>11. რა ხდება, როცა ელექტროენერგია მოულოდნელად ითიშება?<br>12. რას ნიშნავს ენერგოდაზოგვა? როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ დედამიწის რესურსები დავზოგოთ და ნაკლები ენერგია მოვიხმაროთ?<br>13. როდის და როგორ ბინძურდება გარემო? როგორია შენი წვლილი ნარჩენების შესამცირებლად?<br>14. რა აბინძურებს გარემოს? სად ხდება ნარჩენების განთავსება? რა სახის ნარჩენებს ვხვდებით? როგორ შევამციროთ და ხელახლა გამოვიყენოთ ნარჩენები; შეგიძლიათ, დაასახელოთ ნივთები, რომლებსაც ყველაზე ხშირად ვხვდებით და რომლებიც ყველაზე მეტად საზიანოა ადამიანებისა და გარემოსთვის? როგორ ფიქრობ, იზრდება თუ არა დედამიწაზე ნარჩენების რაოდენობა? პასუხი დაასაბუთე. რა შედეგები მოჰყვება ნარჩენების რაოდენობის ზრდას? რაში ხედავ გამოსავალს?<br>15. ცდილობ თუ არა, დაზოგო წყალი და ენერგია. როგორ?<br>16. იყენებ თუ არა სახლში ენერგოდამზოგავ (ეკონომიურ) ნათურებს?<br>17. ახლო მანძილზე მისასვლელად ტრანსპორტს იყენებ თუ ფეხით დადიხარ?<br>18. თიშავ თუ არა ტელევიზორს, კომპიუტერს, როცა ისინი არ გჭირდება?<br>**ეტაპი 2.** კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა. სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება.<br>საკვანძო შეკითხვა: *როგორ შევასრულო მოცემული დავალება?*<br><br>**აქტივობა 1**<br>ინსტრუქცია მოსწავლეს: წაიკითხე ამბავი 1 (გვ. 141) და ურჩიე ელენეს, როგორ მოიქცეს, ვის დაუჯეროს: ბაბუს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, დედას თუ მამას? და რატომ? ხომ არ დადგა დრო შენც იფიქრო ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებაზე და რატომ? | • რა გლობალური საფრთხე/საფრთხეები შეიძლება მოსდევდეს ადამიანის/ადამიანთა ჯგუფის კონკრეტულ ქმედებებს; (მდგ.2; ს.მ.2,4)<br>• ლოკალური ქმედებები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მდგრადი განვითარების მიზნებზე; (მდგ.1; ს.მ.3)<br>• გამოვლენილი პრობლემის მოგვარების აუცილებლობა; (ს.მ.1,4)<br>• აღწერე, შენეული ხედვა ამ პრობლემის მოგვარების ეტაპების თაობაზე; (ს.მ.1,5)<br>• საზოგადოებრივი სარგებელი, რომელიც ეკოლოგიური პრობლემის წარმატებით მოგვარებას მოჰყვება. (მდგ.1; ს.მ.2)<br>**B ვარიანტი**<br>ჩაატარე კვლევა შენს თემში, რაიონში ენერგორესურსებისა და ნარჩენების მდგომარეობის შესახებ. ამ მხრივ რა ტიპის გამოწვევების წინაშეა შენი რაიონი? მონაცემთა შეგროვების შემდეგ **შექმენი პოსტერი** ილუსტრაციებითა და რეკომენდაციებით, გზავნილებით, თუ ვინ რა როლს ასრულებს „ენერგორესურსებისა და ნარჩენების ეფექტურ მართვაში“. |

| | | |
|---|---|---|
| 4. სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება;<br>5. სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს. | **აქტივობა 2**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** დაფიქრდი შემდეგ კითხვებზე;<br>ენერგიის რომელ ტრადიციულ წყაროებს იცნობ?<br>თუ გსმენია ენერგიის ალტერნატიული წყაროების შესახებ?<br>რატომ გახდა საჭირო ალტერნატიული ენერგორესურსები?<br>წაიკითხე (გვ. 141) **„მნიშვნელოვანი საკითხები“**<br>ცხრილში მოცემული ინფორმაცია მიზეზ-შედეგობრიობის გათვალისწინებით დააკავშირე ერთმანეთთან.<br><br><br>**აქტივობა 3**<br>მოსწავლეები აქტივობა 2, (გვ. 143) ცხრილის გაანალიზების შემდეგ დაფიქრდებიან და წარმოადგენენ პრეზენტაციას, რომელი ალტერნატიული წყაროს გამოყენებაა შესაძლებელი მათ რეგიონში?<br><br>**აქტივობა 4**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** წაიკითხე (გვ. 144) „მნიშვნელოვანი საკითხები“. დაფიქრდი მნიშვნელოვან შეკითხვებზე რატომ ანაგვიანებენ ადამიანები გარემოს?<br>რა ზიანს აყენებს ნაგავსაყრელები ეკოსისტემას?<br>მოცემული ინფორმაცია დაამუშავეთ ჯგუფებში და დაწერეთ არგუმენტები:<br>რატომ უნდა მოხდეს ნარჩენების ენერგიად გამოყენება? მოცემული ინფორმაცია და თქვენი არგუმენტები დააკავშირეთ რეალობას და საკუთარ პრაქტიკას.<br><br>**საშინაო დავალება:**<br>• გამოიკვლიე, რომელი ხელსაწყოები მოიხმარს შენს სახლში ელექტროენერგიას.<br>• გადაამოწმე მათი ტექნიკური პასპორტი და დაადგინე ამ ხელსაწყოების სიმძლავრე, რომელიც მის პასპორტშია მითითებული.<br>• გამოთვალე, რა რაოდენობის ელექტროენერგია სჭირდება ამ ხელსაწყოებს დღე-ღამის განმავლობაში. გამოთვლებისას გაითვალისწინე, რომ 1კვტ = 1000 ვტ-ს, ხოლო ენერგია = სიმძლავრე x მუშაობის ხანგრძლივობაზე. | მოქმედ სუბიექტებად ოთხი რგოლი აიღე, მოიკვლიე და შეისწავლე ამ მიმართულებით მათი საქმიანობა, მიზნები და მომავლის პერსპექტივები.შექმნილი პროდუქტი გააზიარე სკოლის ვებ. გვერდზე.<br><br><br>**პოსტერის შექმნისას და პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>• პრობლემა – კლიმატის ცვლილება, რომლის მოგვარებისკენაც არის მიმართული შენ მიერ განხორციელებული კვლევითი საქმიანობა და შექმნილი პოსტერი. (მდგ.1; ს.მ.1,2)<br>• კავშირი ლოკალურ ქმედებებსა და გლობალურ შედეგებს შორის კლიმატის ცვლილებაში; (მდგ.2;)<br>• თანამშრომლობის მაგალითები, რასაც ადგილი ჰქონდა კვლევის და პოსტერის ფარგლებში; (ს.მ.3,4)<br>• რა ზემოქმედებას მოახდენს ალტერატიული ენერგორესურსების გამოყენება, ნარჩენების დახარისხება და რატომ? გარემოზე? ეკონომიკაზე? ეკოლოგიაზე? მეცნიერებაზე?<br>(მდგ.1,2; ს.მ.5) |

| | | |
|---|---|---|
| | **აქტივობა 5**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** ეწვიე გვერდს (გვ. 145) და დაამზადე საინფორმაციო მინიბროშურა ან ბუკლეტი სახიფათო ნარჩენების შესახებ უმცროსკლასელთათვის. გაავრცელე სკოლაში, იკისრე ამ მიმართულებით თანაგანმანათლებლის როლი უმცროსკლასელებთან.<br><br>**აქტივობა 6**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეებს:**<br>იმუშავეთ წყვილებში, გამოთქვით მოსაზრებები: რატომ არსებობს ნარჩენების დახარისხების სისტემა?<br>1. სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი?<br>2. არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი?<br>3. ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელი?<br><br>**აქტივობა 7**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** (გვ. 145) მოიძიე https://www.matsne.gov.ge გვერდზე, შენი მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება დასუფთავების სამსახურის შესახებ და მარკირების მეთოდით ამოიღე უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:<br>1. მოსაკრებელი;<br>2. ნარჩენების ტრანსპორტირება;<br>3. დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება;<br>4. მომხმარებელთა უფლება-მოვალეობები;<br><br>**საშინაო დავალება:** (გვ. 145) დაწერე სავარაუდო გეგმა შენს სკოლაში ნაგავის დასახარისხებლად, ფერადი ურნების შეძენისა და განთავსების მიზნით, რომელსაც განიხილავ სკოლის თვითმმართველობასთან, წარუდგენ სკოლის სამეურვეო საბჭოს და დირექციას.<br><br>**ჯგუფური მუშაობა – პრაქტიკული რჩევები**<br>მოსწავლეებს სთხოვეთ იმუშაონ ჯგუფებში და ყურადღება გაამახვილონ შემდეგ საკითხებზე:<br>• დაფიქრდით და გაითვალისწინეთ, რა მიზნით და ვისთვის ქმნით კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტს;<br>• დაფიქრდით, რა რესურსები გჭირდებათ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად;<br>• შეადგინეთ პროდუქტი;<br>• განიხილეთ ჯგუფებში;<br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლე მზაობითაა კომპლექსური დავალების პროდუქტის შესაქმნელად. | **C ვარიანტი**<br>დაფიქრდი, როგორ შეუძლია ითანამშრომლოს შენმა სკოლამ მეზობელი რეგიონის სკოლასთან ნარჩენების პრობლემასთან დაკავშირებით, დაამყარე კომუნიკაცია ელექტრონული ფოსტის, Skype-ის ან TEAMS-ის პლატფორმის მეშვეობით. ერთად გახდით მოხალისეები, აქტიური მოქალაქეები და შექმენით **სტრატეგიული გეგმა** ერთობლივი საქმიანობის შესახებ, რომელიც შესაძლოა განხორციელებულ იქნას ერთობლივად ან პარალელურ რეჟიმში.<br><br>**სტრატეგიულ გეგმაში** ერთობლივი აქტივობების შესახებ იდეები უნდა მოიცავდეს შემდეგს:<br>• ნარჩენების დახარისხება და მართვა; გამოწვევები და დაძლევის გზები ორივე რეგიონში;<br>• დასუფთავების ინიციატივა. მუნიციპალური ნარჩენებით დაბინძურებული ტერიტორიის შერჩევა და ერთობლივად დასუფთავება.<br>თანამშრომლობა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ სტრუქტურებთან. |

| | | |
|---|---|---|
| | **კომპლექსური დავალების წარდგენა** საერთო საკლასო მუშაობის ფონზე:<br>» მასწავლებელი ამზადებს მსმენელის დღიურს და აცნობს კლასს, უხსნის, რომ წარდგენისას, მსმენელები მოუსმენენ თითოეულ პრეზენტატორს და თან ე.წ. მსმენელის დღიურში ჩაინიშნავენ სათქმელს.<br><br>**მსმენელის დღიური:**<br>• რაში ვეთანხმები გამომსვლელს?<br>• რა შევამჩნიე პრეზენტაციის დროს ისეთი, რაზეც არ უსაუბრია გამომსვლელს?<br>• ან პირიქით, რა ისეთ დეტალზე ილაპარაკა, რომელსაც მე არ მივაქციე ყურადღება?<br><br>**განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული შემდეგ ნიუანსებზეც:**<br>• კომპლექსურ დავალებაზე ერთობლივად მუშაობის დროს რა საერთო მიზანი, საზრუნავი და ინტერესი გვაერთიანებდა?<br>• გაგვიჭირდა თუ არა ურთიერთშეთანხმება? რა გზებით და საშუალებებით მივაღწიეთ საბოლოო მიზანს?<br>• განიცადა თუ არა ცვლილება ჩვენმა შეხედულებებმა საკითხზე, შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს საკუთარ გარემოში პოზიტიური ცვლილებების განხორციელება?<br>• რას შეცვლიდით მომავალში სხვა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში და წარდგენისას?<br><br>**შეაფასე შენი ნამუშევარი და გამოკვეთე:**<br>• იყო თუ არა ეს საკითხი ჩემთვის საინტერესო და რატომ?<br>• გამომადგება თუ არა მომავალში, რა გამოცდილებაც შევიძინე და რა არის ასეთი კონკრეტულად?<br>• რა დამეხმარა კომპლექსური დავალების შესრულებაში ყველაზე მეტად? | **სტრატეგიულ გეგმაში და მისი პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>• ნარჩენების არაეფექტური მართვა და მოსალოდნელი საფრთხეები ლოკალურ და გლობალურ დონეზე. (მდგ.1,2)<br>• რატომ გახდა საჭირო სტრატეგიული გეგმის შექმნა და მონაწილეობა; (ს.მ.1,2)<br>• სტრატეგიული გეგმის რეალიზებისთვის და შედეგების მდგრადობისთვის შერჩეული მონაწილეობის ფორმა; (ს.მ.3,4)<br>• თანამშრომლობის მაგალითები ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში; (ს.მ.5)<br>• რატომ არის მოხალისეობა ეფექტური საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარების დროს, ეს პროცესი ძალადობრივი თუ ნებაყოფლობითია? (ს.მ.4,5)<br><br>**პრაქტიკული რეკომენდაციები:**<br>გახსოვდეს და გაავრცელე! შენ და შენს მშობლებს, ახლობლებს, მეზობლებს შეგიძლიათ ელექტრონული შეტყობინების სერვისის ჩართვა. შეგიძლია პირველმა მიიღო ინფორმაცია გარემოსდაცვით სფეროში არსებული ახალი კანონისა თუ კანონქვემდებარე აქტების, მათში ცვლილებების შეტანის, გარემოზე ზემოქმედების შესახებ ანგარიშების საჯარო განხილვების, საჯარო დისკუსიებისა თუ ახალი სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების შესახებ, რომელიც მიზნობრივად შეგიძლია პრაქტიკაში გამოიყენო.<br>ინფორმაციის გამოსაწერად საჭიროა, შეავსო ქვემოთ მოცემული ველები და სურვილისამებრ, აირჩიო შენთვის საინტერესო ერთი, რამდენიმე ან ყველა კატეგორია. ელექტრონული მომსახურება უფასოა.<br>http://www.eiec.gov.ge/MenuCenter/AskQuestion.aspx<br>ნაგვის დაყრისთვის ჯარიმები იზრდება. |

<table>
<tr>
<td rowspan="2">სამიზნე ცნება და ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</td>
<td>საკითხი/საკითხები<br>უნდა მივიჩნიოთ თუ არა კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლების განზრახ დაზიანება კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად?<br>მოსწავლის წიგნი §4.3.</td>
<td>საკვანძო შეკითხვა/საკვანძო შეკითხვები</td>
<td rowspan="2">კომპლექსური დავალება/დავალებები შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები</td>
</tr>
<tr>
<td>ქვეცნება/ქვეცნებები:<br>•მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა;<br>•ზრუნვა; პასუხისმგებლობა; ტურიზმი; საზოგადოებრივი სარგებელი;<br>•მსოფლიო მემკვიდრეობა.</td>
<td>• რატომ და როგორ უნდა დავიცვა კულტურული მემკვიდრეობა?<br>• რა როლი აკისრია კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციაში ტურიზმს?</td>
</tr>
<tr>
<td>დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები).<br>შედეგები:<br>საბაზო საფეხური:<br>3, 4, 13.<br>1. ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით;<br>2. ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს;</td>
<td colspan="2">კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები):<br>ეტაპი 1. კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია).<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?<br>რეკომენდაცია მასწავლებელს: დეტალურად გააცანით მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და შეთანხმდით ვადებზე, თუ რა დროის განმავლობაში უნდა შესრულდეს კომპლექსური დავალების პროდუქტი. ასევე შეთანხმდით, თუ რა ფორმით მოხდება წარდგენა. გადაამოწმეთ, ყველა მოსწავლემ სწორად გაიგო თუ არა კომპლექსური დავალების პირობა დამაზუსტებელი და შემათანხმებელი ტიპის შეკითხვებითა, შემდეგ კი მიზნობრივად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული კითხვები, რომელიც დაგეხმარებათ, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ, თუ რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დაადასტურონ თუ რა ისწავლეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით? ასევე დაგეხმარებათ კომპლექსური დავალების პროდუქტისთვის პრაქტიკული და ტექნიკური დეტალების დაზუსტებაში.<br>ინსტრუქცია მოსწავლეს: ყურადღებით მოუსმინე დასმულ შეკითხვებს და შეეცადე უპასუხო თითოეულ მათგანს:<br>• შენს მიერ ნანახი რომელი ისტორიული ძეგლები გახსენდება?<br>• რა ინფორმაციას გვაწვდის ისტორიული ძეგლები გარემოსა და ჩვენი მხარის შესახებ?<br>• ვის და როგორ უნდა მივმართო კულტურული ძეგლების საფრთხეების შემთხვევაში?<br>• რატომ უნდა მიყვარდეს და ვზრუნავდე ჩემი ქვეყნის კულტურულ ძეგლებზე?<br>• რატომ უნდა გავუფრთხილდე ჩემი ქვეყნის კულტურულ ძეგლებს?<br>• რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს წესებისა და კანონების დარღვევას?<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის კულტურული მემკვიდრეობის წესების დაცვა და მოფრთხილება?</td>
<td>A ვარიანტი<br>შენ უკვე იცი, რომ იუნესკო საკუთარ დანიშნულებას ხუთი ძირითადი პროგრამით ახორციელებს, ესენია: განათლება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, სოციალური და ჰუმანური მეცნიერებები, კულტურა და კომუნიკაციები; ერთ-ერთი პროგრამა „კულტურა“ წელს საერთაშორისო ფორუმს მართავს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე და ვანდალიზმზე;<br>წარმოიდგინე, რომ მიწვეული ხარ ამ ფორუმზე, როგორც შენი ქვეყნის რეგიონული ოფისის წარმომადგენელი დელეგატი, ფორუმზე უნდა წარმოადგინო საჯარო სიტყვა.</td>
</tr>
</table>

<table>
<tr>
<td>3. დემოკრატიულ საზოგადოებაში/ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა;<br>4. დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, ხელისუფლების დანაწილება, სამართლიანი არჩევნები, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს.<br>სოციალიზაცია (პიროვნება, ინდივიდი და საზოგადოება).<br>შედეგები:<br>საბაზო საფეხური:<br>1, 2.<br>1. ადამიანი არის პიროვნება, საკუთარი მსოფლმხედველობითა (იდეები, ღირებულებები) და მისწრაფებებით; მას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება;</td>
<td>• როგორ ასახავს ცალკეული ნივთები/ძეგლები მაგ.: სურათი, ციხესიმაგრის ნანგრევები, ტაძარი ჩვენი ქვეყნის ისტორიას?<br><br>ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა. სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება.<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> როგორ შევასრულო მოცემული დავალება?<br>აქტივობა 1<br>რას ხედავ წყარო1-ში (გვ. 147) მოცემულ სურათებზე?<br>1. რატომ იქცევიან ადამიანები ასე?<br>2. არის ეს საქციელი დანაშაული? თუ არის, რატომ?<br>3. როგორ უნდა ვებრძოლოთ მსგავსი ტიპის დანაშაულებრივ ქმედებებს?<br><br>აქტივობა 2<br>გაიხსენე ისტორიის გაკვეთილებიდან მნიშვნელოვანი ცნობები კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.<br>1. გადაიტანე რვეულში ცხრილი (გვ. 147);<br>2. დაასრულე ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ნაირსახეობის სია (სვეტი 1), თითოეული მიაკუთვნე სვეტს და გაუკეთე აღნიშვნები.<br><br>აქტივობა 3<br>რეკომენდაცია მასწავლებელს: წინასწარ მოამზადეთ მატერიალური სახით ლოგიკური პირამიდა. პირამიდის ცალკეულ უჯრაში ჩაწერეთ შეკითხვები და დააფიქრეთ მოსწავლეები.<br><br>ინსტრუქცია მოსწავლეს:<br>წაიკითხე (გვ. 148)„მნიშვნელოვანი საკითხები“. ქვემოთ მოცემული კითხვების საშუალებით ააგე „ლოგიკური პირამიდა“ და პირამიდის თითოეულ სვეტში ჩაწერეთ კითხვა-პასუხები.<br>რა არის კულტურული მემკვიდრეობა?<br>რატომ არის მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება?<br>რა საფრთხეების წინაშე დგას ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა?<br>როგორ შეიძლება კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე ზრუნვა?<br>რა კონკრეტულ ქმედით ნაბიჯებს მოიაზრებს მატერიალური თუ არამატერიალური ძეგლების შენარჩუნებასა და დაცვაზე ზრუნვა?<br>რა როლი აკისრია კულტურულ მემკვიდრეობას ტურიზმის განვითარებაში?<br>რატომ არის მნიშვნელოვანი ტურიზმის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის?<br>რა შემიძლია გავაკეთო ჩემი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად?</td>
<td>საჯარო სიტყვის მომზადებისას და წარდგენისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:<br>• უწყობს თუ არა ხელს კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა ინდივიდის ურთიერთობას სხვა ადამიანებთან სოციალურ ჯგუფებთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან; (სოც.2,4)<br>• ვანდალიზმის ფაქტების შემთხვევაში, ასერტულობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვა; (სოც.4; დემ.2)<br>• კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მნიშვნელობა. გამოკვეთე მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ადამიანის უფლებებთან, გარემოსდაცვით სამართლებრივ დოკუმენტებთან და დემოკრატიის პრინციპებთან. (დემ.2,3,4)<br>• რატომ და როგორ უნდა ვიზრუნოთ ჩვენს ქალაქში/დაბაში/რეგიონში პრობლემების მოგვარებაზე/არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე? (სოც.1,3; დემ.4)<br><br>B ვარიანტი<br>მოიძიე შენს მხარეში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რომელსაც დაცვა ესაჭიროება. დაგეგმე და მოაწყვე გასვლითი ექსკურსია. ექსკურსიიდან დაბრუნების შემდეგ დაწერეთ ვიზიტის ანგარიში:<br>ანგარიშის შექმნისას და პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:<br>• კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მდგომარეობა და მისი გამომწვევი მიზეზები; (სოც.1,2)<br>• გვიზიტის მიზანი, შინაარსი და შედეგი; (სოც.2; დემ.3)<br>• რატომ და როგორ უნდა დავიცვა კულტურული მემკვიდრეობა? (დემ.2)</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| 2. ადამიანს გააჩნია სხვადასხვა (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური კონტაქტების და სხვა) მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე ის ვერ შეძლებს პიროვნულ განვითარებას;<br>3. სხვა ადამიანებთან/ სოციალურ ჯგუფებთან/ინსტიტუციებთან ურთიერთობა ადამიანს პიროვნულ განვითარებაში უწყობს ხელს;<br>4. ასერტულობა (ადამიანის უნარი თამამად გამოხატოს საკუთარი აზრი სხვისი შეურაცხყოფის გარეშე) ხელს უწყობს პიროვნების და სოციუმის ჰარმონიულ ურთიერთობას. | <br>**აქტივობა 4**<br>მოსწავლის წიგნი აქტივობა 3, (გვ. 151). წარმოიდგინე, რომ ხარ პირი, ვისაც ევალება კონკრეტული ისტორიული ძეგლის დაცვა, რომელსაც სტუმრობს ბევრი ტურისტი;<br>შეიმუშავე სქემა, რომელსაც დაურიგებ ტურისტებს ძეგლზე შესვლის წინ;<br>სქემაში აჩვენე ადამიანის ქმედებით გამოწვეული ზიანის მიყენების შესაძლო ვარიანტები; ქცევის წესები, რომლებიც უზრუნველყოფს შენ მიერ აღწერილი ზიანის პრევენციას;<br>სქემა შეგიძლია გამოსახო ნახატებით.<br><br>**აქტივობა 5**<br>წაიკითხე და გააანალიზე „მნიშვნელოვანი საკითხები“ (გვ. 148), 3-2-1 სტრატეგიით.<br><br>**აქტივობა 6**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეებს** (გვ. 148) წაკითხე „მნიშვნელოვანი საკითხები“, ჯგუფებში, ამონარიდი კანონიდან კულტურული მემკვიდრეობის შესახებ და ქვემოთ მოცემული სქემა მიზნობრივად შეავსეთ.<br>https://matsne.gov.ge/ka/document/view/21076?publication=15<br> | • მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ადამიანის უფლებებთან, გარემოსდაცვით სამართლებრივ დოკუმენტებთან და დემოკრატიის პრინციპებთან. (დემ.3,4)<br>• რატომ და როგორ უნდა ვიზრუნოთ ჩვენს ქალაქში/დაბაში/რეგიონში პრობლემების მოგვარებაზე/არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე? (სოც.3; დემ.4)<br>• ვანდალიზმით მიყენებული ზარალი და პრევენცია; რატომ არის მოვალეობები ადამიანის უფლებების განუყოფელი ნაწილი? (სოც.1,4; დემ.2)<br>**პრაქტიკული რეკომენდაცია:**<br>***გასვლით ექსკურსიაზე ყურადღება იქნეს გამახვილებული შემდეგ ნიუანსებზე:***<br>**ისტორია** (როდის და ვის მიერ აშენდა ძეგლი? როგორ იცვალა მან სახე დროთა განმავლობაში?);<br>**მშენებლობა** (როგორ არის ძეგლი აგებული? რა მასალაა გამოყენებული? როგორია სამშენებლო ტექნიკა?);<br>**დანიშნულება** (რა იყო მისი თავდაპირველი ფუნქცია? როგორ შეიცვალა მისი ფუნქცია საუკუნეების მანძილზე?);<br>**სტილი** (რომელმა სტილმა იქონია გავლენა არქიტექტურაზე? რა დამახასიათებელი ელემენტები აქვს ამ შენობას? როგორია მისი მორთულობა?);<br>**დაცვა** (დაზიანებულია თუ არა ძეგლი? შესამჩნევია თუ არა დაზიანების ან რესტავრაციის კვალი, სად? რაში მდგომარეობს ძეგლის და მისი მიმდებარე ტერიტორიის დაცვის პრობლემები?) |

| | | |
|---|---|---|
| | **აქტივობა 7**<br>**საშინაო დავალება:** (გვ. 153) აირჩიეთ კატეგორია და განაწილდით სამ ჯგუფად:<br>I. ჯგუფი – ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლი;<br>II. ჯგუფი – არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი;<br>III. ჯგუფი – მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.<br>1) მოიძიეთ თქვენს ქალაქში, სოფელში, მუნიციპალიტეტში, თემში ნაკლებად ცნობილი თქვენი კატეგორიის შესაბამისი მემკვიდრეობის ძეგლი.<br>2) მოიძიეთ საინტერესო ფაქტები და ცნობები ამ ძეგლის შესახებ, გამოკითხეთ უფროსები, ეწვიეთ არქივს, ესაუბრეთ მუზეუმის თანამშრომლებს და ა.შ.<br>3) გაარკვიეთ, აკმაყოფილებს თუ არა ძეგლი კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭების შემდეგ კრიტერიუმებს: რამდენად ძველია, უნიკალურია ან ავთენტიკურია (ნამდვილი, სარწმუნო, პირველწყაროზე დამყარებული, დედნის შესაბამისი). | **ღირებულება** (გააჩნია თუ არა ძეგლს განსაკუთრებული ღირებულება ან მნიშვნელობა მოსწავლეთათვის? და თუ კი, კონკრეტულად რა?<br><br>**C ვარიანტი**<br>წარმოიდგინე, რომ ხარ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს მოხალისე და გადაწყვიტე გადაიღო სოციალური ვიდეორგოლი ისეთ ძეგლზე, რომელსაც არ აქვს სტატუსი მინიჭებული.<br>**შენ კარგად იცნობ იუნესკოს 10 კრიტერიუმს** – *იუნესკოს კრიტერიუმები.*<br>შენ, როგორც სააგენტოს ახალგაზრდა მოხალისე სპეციალისტმა, გადაწყვიტე მოგზაურობა საქართველოს შორეულ სოფლებში. საქართველოს ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში მიაკვლიე უძველეს ნაგებობას, საინტერესო წარსულითა და ისტორიით (ზემო იმერეთი, ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ***სკინდორი*** უძველესი მცირე ზომის ეკლესია-სალოცავი „ბარევანი“). ნანახმა იმხელა შთაბეჭდილება მოახდინა, გადაწყვიტე მოამზადოთ 10-წუთიანი ***ვიდეორგოლი*** და ნაგებობის შესახებ იუნესკოს აცნობო.<br>დაფიქრდი რა პროცედურებია საჭირო და როგორ, რომ ნაგებობას სტატუსი მიენიჭოს კრიტერიუმების საფუძველზე? |

| | | |
|---|---|---|
| | 4) შექმენით მიღებული და გაანალიზებული ინფორმაციის გამოყენებით პოსტერი, პრეზენტაცია ან ვიდეორგოლი თქვენ მიერ მოძიებული ძეგლის პოპულარიზაციისათვის და წარუდგინეთ კლასს, სასკოლო საზოგადოებას.<br>**ჯგუფური მუშაობა – პრაქტიკული რჩევები**<br>მოსწავლეებს სთხოვეთ იმუშაონ ჯგუფებში და ყურადღება გაამახვილონ შემდეგ საკითხებზე:<br>• დაფიქრდით და გაითვალისწინეთ, რა მიზნით და ვისთვის ქმნით კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტს;<br>• დაფიქრდით, რა რესურსები გჭირდებათ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად;<br>• შეადგინეთ პროდუქტის სავარაუდო გეგმა;<br>• განიხილეთ ჯგუფებში.<br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლე მზაობითაა კომპლექსური დავალების პროდუქტის შესაქმნელად.<br>**კომპლექსური დავალების წარდგენა** საერთო საკლასო მუშაობის ფონზე:<br>» მასწავლებელი ამზადებს მსმენელის დღიურს და აცნობს კლასს, უხსნის, რომ წარდგენისას, მსმენელები მოუსმენენ თითოეულ პრეზენტატორს და თან ე.წ. „მსმენელის დღიურში“ ჩაინიშნავენ სათქმელს.<br><br>**მსმენელის დღიური:**<br>• რაში ვეთანხმები გამომსვლელს?<br>• რა შევამჩნიე პრეზენტაციის დროს ისეთი, რაზეც არ უსაუბრია გამომსვლელს?<br>• ან პირიქით, რა ისეთ დეტალზე ილაპარაკა, რომელსაც მე არ მივაქციე ყურადღება?<br>**განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული შემდეგ ნიუანსებზეც:**<br>• კომპლექსურ დავალებაზე ერთობლივად მუშაობის დროს რა საერთო მიზანი, საზრუნავი და ინტერესი გვაერთიანებდა?<br>• გაგვიჭირდა თუ არა ურთიერთშეთანხმება? რა გზებით და საშუალებებით მივაღწიეთ საბოლოო მიზანს?<br>• განიცადა თუ არა ცვლილება ჩვენმა შეხედულებებმა საკითხზე, შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს საკუთარ გარემოში პოზიტიური ცვლილებების განხორციელება?<br>• რას შეცვლიდით მომავალში სხვა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში და წარდგენისას? | **ვიდეორგოლში ხაზგასმით გამოკვეთე:**<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნება მთლიანი საზოგადოებისთვის. (დემ.2; სოც.2)<br>• რატომ და როგორ უნდა ვიზრუნოთ ჩვენს ქალაქში/დაბაში/რეგიონში პრობლემების მოგვარებაზე/არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე? (დემ.4; სოც.1)<br>• ვანდალიზმით მიყენებული ზარალი და პრევენცია; რატომ არის მოვალეობები ადამიანის უფლებების განუყოფელი ნაწილი? (დემ.2; სოც.1)<br>• რატომ სჭირდება ინდივიდს საზოგადოება და საზოგადოებას კი — ინდივიდი კულტურული ძეგლების დასაცავად და შესანარჩუნებლად? (დემ.1; სოც.3)<br>• როგორ ვიურთიერთოთ კულტურული ძეგლების გადასარჩენად საერთაშორისო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან? (დემ.2; სოც.3)<br><br>**D ვარიანტი**<br>მოიძიე შენს მხარეში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რომელსაც დაცვა ესაჭიროება. დადგი პერფორმანსი-მონოლოგით „როცა ძეგლი ლაპარაკობს.“ ძეგლის მონოლოგი წარმართე შემდეგი მიმართულებით – რა მესაჭიროება? რა მინდა ვუთხრა ადამიანებს? საიდან მოვდივარ და რა გვაქვს საერთო ჩვენი მომავლისთვის? |

| | | |
|---|---|---|
| | **შეაფასე შენი ნამუშევარი და გამოკვეთე:**<br>• იყო თუ არა ეს საკითხი ჩემთვის საინტერესო და რატომ?<br>• გამომადგება თუ არა მომავალში, რა გამოცდილებაც შევიძინე და რა არის ასეთი კონკრეტულად?<br>• რა დამეხმარა კომპლექსური დავალების შესრულებაში ყველაზე მეტად? | ბილეთების გაყიდვით შეგროვებული ფული გადარიცხე *„ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდში“.*<br>**განხორციელებულ ღონისძიებებზე შექმენი რეპორტაჟი სახელწოდებით „როცა ძეგლი ლაპარაკობს“ და წარმოადგინე.**<br>**რეპორტაჟის შექმნისას და წარმოდგენისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>• კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვის საჭიროება და აუცილებლობა; (დემ.2)<br>• ამ მიმართულებით საზოგადოების ინტერესები და ღირებულებები; (სოც.2)<br>• რატომ არის მოვალეობები ადამიანის უფლებების განუყოფელი ნაწილი? ვანდალიზმით მიყენებული ზარალი და პრევენცია; (დემ.2; სოც.1)<br>• რატომ არის კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა ჩვენი ქვეყნის მდგრადი მომავლისთვის მნიშვნელოვანი? (დემ.4; სოც.3)<br>• სამართლებრივი დოკუმენტების როლი და მნიშვნელობა, რომლებიც ხელს უწყობს მათ შენარჩუნებასა და დაცვას; (დემ.1,2)<br>• რატომ და როგორ უნდა ვიზრუნოთ ჩვენს ქალაქში/დაბაში/რეგიონში პრობლემების მოგვარებაზე/არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე? (სოც.1,4) |

| **სამიზნე ცნება და ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები** | **საკითხი/საკითხები**<br>როგორ შემიძლია ხელი შევუწყო გარემოს დაცვას საერთაშორისო დონეზე?<br>**მოსწავლის წიგნი §4.4.** | **საკვანძო შეკითხვა/საკვანძო შეკითხვები** | **კომპლექსური დავალება/დავალებები**<br>**შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები** |
|---|---|---|---|
| | **ქვეცნება/ქვეცნებები:**<br>•მდგრადი განვითარების მიზნები;<br>•გარემოსდაცვითი სამართალი:<br>•ეკოლოგია; | • რატომ გახდა აუცილებელი მდგრადი განვითარების მიზნების შემუშავება მსოფლიოს მიერ?<br>• როგორ შემიძლია ხელი შევუწყო გარემოს დაცვას საერთაშორისო დონეზე?<br>• როგორ ეხმარება გლობალური პრობლემების მოგვარებას მსოფლიოში საერთაშორისო სამართალი? | |
| **დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)**<br>**შედეგები:**<br>**საბაზო საფეხური:**<br>**3, 4, 13.**<br>1. ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით;<br>2. ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს; | **კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები):**<br>**ეტაპი 1.** კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია).<br>საკვანძო შეკითხვა: *რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?*<br>**რეკომენდაცია მასწავლებელს:** დეტალურად გააცანით მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები და შეთანხმდით ვადებზე, თუ რა დროის განმავლობაში უნდა შესრულდეს კომპლექსური დავალების პროდუქტი. ასევე შეთანხმდით, თუ რა ფორმით მოხდება წარდგენა.<br>გადაამოწმეთ ყველა მოსწავლემ სწორად გაიგო თუ არა კომპლექსური დავალების პირობა დამაზუსტებელი და შემათანხმებელი ტიპის შეკითხვებითა, შემდეგ კი მიზნობრივად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული კითხვები, რომელიც დაგეხმარებათ, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ, თუ რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დაადასტურონ თუ რა ისწავლეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით? ასევე დაგეხმარებათ კომპლექსური დავალების პროდუქტისთვის პრაქტიკული და ტექნიკური დეტალების დაზუსტებაში.<br>**ინსტრუქცია მოსწავლეს:** ყურადღებით მოუსმინე დასმულ შეკითხვებს და შეეცადე უპასუხო თითოეულ მათგანს:<br>• რას ვაკეთებ გარემოს დასაცავად?<br>• შეგვაძლია თუ არა ლოკალური ქმედებებით გლობალური შედეგების მიღება გარემოსდაცვითი მიმართულებით?<br>• რატომ და როგორ უნდა ვიზრუნოთ ჩვენს ქალაქში/დაბაში/რეგიონში გარემმოსდაცვითი პრობლემების მოგვარებაზე/ არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე?<br>• მნიშვნელოვანია თუ არა რესურსების მოხმარებისას საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება? რატომ? პასუხი დაასაბუთე? მოიყვანე პრაქტიკული მაგალითები. | | როგორც იცი მდგრადი განვითარების მიზნები მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და შესაბამისად, მათი მიღწევისათვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობა, როგორც სფეროების, ისე ქვეყნების დონეზე. მათ აქვთ როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური ხასიათი.<br>გაეცანი ქვემოთ მოცემულ პრობლემებს:<br>მსოფლიო ოკეანის პრობლემა;<br>ატმოსფეროს დაბინძურება;<br>ეკოსისტემების განადგურება;<br>კლიმატის ცვლილება;<br>სიღარიბის პრობლემა;<br>ენერგეტიკული პრობლემა.<br>შექმენი **საინფორმაციო ბუკლეტი** შენთვის და შენი მუნიციპალიტეტისათვის ყველაზე მწვავე ერთ პრობლემაზე.<br>ბროშურის შექმნის დროს გაითვალისწინე სამი კომპონენტი: |

| | | |
|---|---|---|
| 3. დემოკრატიულ საზოგადოებაში/სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა;<br>4. დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, ხელისუფლების დანაწილება, სამართლიანი არჩევნები, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს.<br>**მდგრადი განვითარება. შედეგები:**<br>**საბაზო საფეხური:**<br>**7, 10, 11.**<br>1. რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება; | **ეტაპი 2.** კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა. სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება.<br><u>საკვანძო შეკითხვა:</u> *როგორ შევასრულო მოცემული დავალება?*<br><br>**აქტივობა 1**<br>წაიკითხე სიტუაციები და გააანალიზე (გვ. 155):<br>როგორ უკავშირდება ჩამოთვლილი ლოკალური პრობლემები გლობალურ პრობლემებს.<br><br>**აქტივობა 2**<br>**ინსტრუქცია მოსწავლეებს:** დაფიქრდი და გაიხსენე 17 მიზანი (გვ. 155) ამოარჩიე ამ მიზნებიდან ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და მნიშვნელოვანი. მოიძიე ინფორმაცია მოცემული ელექტრონული რესურსის/ლინკის დახმარებით. დაგეგმე და გაწერე კონკრეტული ქმედებები, რომლითაც დაეხმარები მსოფლიოს ამ მიზნის მიღწევაში.<br><br>**აქტივობა 3**<br>იმუშავეთ ჯგუფებში სეგმენტურ მეთოდზე. თითოეულ სეგმენტზე დაიტანეთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია (გვ. 155).<br>1) 1972 – სტოკჰოლმის კონფერენცია<br>2) 1992 – რიო-დეჟანეიროს კონფერნეცია<br>3) 1998 – ორჰუსის კონფერენცია<br>4) 2015 – პარიზის კონფერენცია<br>5) კონფერენციების მნიშვნელობა და როლი გარემოსდაცვით სამართალში.<br><br>**აქტივობა 4**<br>საშინაო დავალება, ეწვიე გარემოს დაცვის სამინისტროს ვებგვერდს: https://mepa.gov.ge/; (გვ. 157).<br>გაეცანი საქართველოში განხორციელებულ საერთაშორისო პროექტებს.<br>მოამზადე პრეზენტაცია ერთ-ერთი რომელიმე პროექტის მიზნებისა და შედეგების შესახებ და წარუდგინე კლასს.<br><br>**ჯგუფური მუშაობა – პრაქტიკული რჩევები**<br>მოსწავლეებს სთხოვეთ იმუშაონ ჯგუფებში და ყურადღება გაამახვილონ შემდეგ საკითხებზე: | კონკრეტული პრობლემის გამომწვევი მიზეზები;<br>ლოკალური ქმედებები;<br>ქმედებები, რომელიც ხელს შეუწყობს არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას.<br>**საინფორმაციო ბუკლეტებში და ბუკლეტების პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>• შენს მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები ლოკალურ დონეზე და მათი კავშირი გლობალურ დონეზე 17 მიზანთან; (მდგ.1,2)<br>• გამოვლენილი პრობლემების არსსა და მნიშვნელობაზე, დაასაბუთე მათი შესრულების საჭიროება; (მდგ.2; დემ.2)<br>• გლობალური საფრთხე/საფრთხეები, რომლებიც შეიძლება მოსდევდეს ადამიანის/ადამიანთა ჯგუფის კონკრეტულ ქმედებებს შენს მუნიციპალიტეტში, მსოფლიოში; (მდგ.1; დემ.4)<br>• შენს მუნიციპალიტეტთან დააკავშირე მდგრადი განვითარების მიზნებზე ორიენტირებული ლოკალური ქმედებები, რომელსაც შეუძლია გლობალური შედეგების მოტანა. (მდგ.2; დემ.3) |

<table>
<tr>
<td>2. ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს (მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა)).</td>
<td>• დაფიქრდით და გაითვალისწინეთ, რა მიზნით და ვისთვის ქმნით კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტს.<br>• დაფიქრდით, რა რესურსები გჭირდებათ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად.<br>• შეადგინეთ პროდუქტის სავარაუდო გეგმა;<br>• განიხილეთ ჯგუფებში;<br><br>რეკომენდაცია მასწავლებელს: დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლე მზაობითაა კომპლექსური დავალების პროდუქტის შესაქმნელად.<br><br>კომპლექსური დავალების წარდგენა საერთო საკლასო მუშაობის ფონზე:<br>» მასწავლებელი ამზადებს მსმენელის დღიურს და აცნობს კლასს, უხსნის, რომ წარდგენისას, მსმენელები მოუსმენენ თითოეულ პრეზენტატორს და თან ე.წ. „მსმენელის დღიურში ჩაინიშნავენ სათქმელს.<br><br>მსმენელის დღიური:<br>• რაში ვეთანხმები გამომსვლელს?<br>• რა შევამჩნიე პრეზენტაციის დროს ისეთი, რაზეც არ უსაუბრია გამომსვლელს?<br>• ან პირიქით, რა ისეთ დეტალზე ილაპარაკა, რომელსაც მე არ მივაქციე ყურადღება?<br><br>განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული შემდეგ ნიუანსებზეც:<br>• კომპლექსურ დავალებაზე ერთობლივად მუშაობის დროს რა საერთო მიზანი, საზრუნავი და ინტერესი გვაერთიანებდა?<br>• გაგვიჭირდა თუ არა ურთიერთშეთანხმება? რა გზებით და საშუალებებით მივაღწიეთ საბოლოო მიზანს?<br>• განიცადა თუ არა ცვლილება ჩვენმა შეხედულებებმა საკითხზე, შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს საკუთარ გარემოში პოზიტიური ცვლილებების განხორციელება?<br>• რას შეცვლიდით მომავალში სხვა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში და წარდგენისას?<br><br>შეაფასე შენი ნამუშევარი და გამოკვეთე:<br>• იყო თუ არა ეს საკითხი ჩემთვის საინტერესო და რატომ?<br>• გამომადგება თუ არა მომავალში, რა გამოცდილებაც შევიძინე და რა არის ასეთი კონკრეტულად?<br>• რა დამეხმარა კომპლექსური დავალების შესრულებაში ყველაზე.</td>
<td>პრაქტიკული რეკომენდაციები:<br>მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული პოსტერების ნახვა შესაძლებელია ბმულზე: www.unicef.org/georgia;<br>ნებისმიერ გარემოსდაცვით პრობლემაზე, რომელსაც შენს საცხოვრებელ გარემოში წააწყდები, შეგიძლია დასვა შეკითხვა და გახდე მწვანე ასისტენტი. http://www.eiec.gov.ge/MenuCenter/MessagesLaw.aspx<br>ნებისმიერი სახის ინფორმაციის და გარემოსდაცვითი განათლების სფეროში კომპეტენციების შესაძენად შეგიძლია ეწვიო შემდეგ გვერდს: http://www.eiec.gov.ge</td>
</tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="2">

**საგანი და სამიზნე ცნება – მდგრადი განვითარება, სამოქალაქო მონაწილეობა;**<br>
**საკითხი** – ნარჩენების მართვა;<br>
**კომპლექსური დავალების პირობა:**<br>
დაფიქრდი როგორ შეუძლია ითანამშრომლოს შენს სკოლას მეზობელი რეგიონის სკოლასთან **ნარჩენების პრობლემასთან** დაკავშირებით? დაამყარე კომუნიკაცია ელექტრონული ფოსტის, Skype-ის ან TEAMS-ის პლატფორმის მეშვეობით.<br>
ერთად გახდით მოხალისეები, აქტიური მოქალაქეები და **შექმენით სტრატეგიული გეგმა** ერთობლივი საქმიანობის შესახებ, რომელიც შესაძლოა განხორციელებულ იქნას ერთობლივად ან პარალელურ რეჟიმში.<br>
**სტრატეგიულ გეგმაში** ერთობლივი აქტივობების შესახებ იდეები უნდა მოიცავდეს შემდეგს:<br>
• ნარჩენების დახარისხება და მართვა; გამოწვევები და დაძლევის გზები ორივე რეგიონში;<br>
• დასუფთავების ინიციატივა. მუნიციპალური ნარჩენებით დაბინძურებული ტერიტორიის შერჩევა და ერთობლივად დასუფთავება.<br>
• თანამშრომლობა მუნიციპალიტეტის ალმასრულებელ სტრუქტურებთან.<br>
**სტრატეგიულ გეგმაში** და მისი პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:<br>
• ნარჩენების არაეფექტური მართვა და მოსალოდნელი საფრთხეები ლოკალურ და გლობალურ დონეზე.<br>
• მდგრადი განვითარების მიზნებზე ორიენტირებული ლოკალური ქმედებები.<br>
• რა არის მოხალისეობა?<br>
• ვის შეუძლია გახდეს მოხალისე?<br>
• რატომ არის მოხალისეობა მნიშვნელოვანი და ვისთვის?<br>
• რატომ არის მოხალისეობა ეფექტური საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარების დროს, ეს პროცესი ძალადობრივი თუ ნებაყოფლობითია?

</td></tr>
<tr><td>სამიზნე ცნება<br>კრიტერიუმი</td><td>სამიზნე ცნება</td></tr>
<tr><td>

**აბსტრაქტული დონე**<br>
მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. განსახილველ საკითხს უკავშირებს საკუთარ პირად გამოცდილებას.

</td><td>

**აღწერილობა, კომენტარი**<br>
მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ რამდენიმე/ყველა სამიზნე ცნებაზე. მოსწავლე ასახელებს ყველა იმ მნიშვნელოვან პუნქტს, რომლის გარეშეც სტრატეგიული გეგმა ვერ განხორციელდებოდა, რომელიც საჭიროა ზუსტად მოხალისეობრივ საწყისებზე ორი რეგიონის თანამშრომლობისთვის ადგილობრივი პრობლემების ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, ნარჩენების მიმართულებით გასაერთიანებლად. იკვეთება ზუსტი სამოქმედო სტრატეგია საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთთანამშრომლობისთვის. ასევე არგუმენტების საფუძველზე ასაბუთებს, თუ რატომ არის ეს თანამშრომლობა მნიშვნელოვანი. მსჯელობს, თუ როგორ ატარებს სახელმწიფო გლობალურ მიზნებზე რეალიზებულ და დაფუძნებულ სახელმწიფო პოლიტიკას. მისი მსჯელობა სტრუქტურირებულია, ლოგიკური, მიზეზ-შედეგობრივი და ყოველი ასპექტი ურთიერთმიმართებული ერთმანეთზე. მოსწავლის მსჯელობაში მოყვანილია ბევრი პრაქტიკული მაგალითი რეალური ცხოვრებიდან და მის მსჯელობაში იკვეთება ცალკეული ცნების მიმართულებით შინაარსობრივი კონცეპტები, რომ სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ეფექტური თანამშრომლობისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი სამართლებრივი დოკუმენტების ცოდნა, დაცვა და პრაქტიკაში გამოყენება. ასევე დიდ ყურადღებას უთმობს ამ მიმართულებით მოხალისეობის მნიშვნელობას, როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ დონეზე. მსჯელობს, რომ აუცილებელია აქტიური სამოქალაქო საზოგადოება. მსჯელობს ორივე მხარის პასუხისმგებლობაზე და ინიციატივებზე, რომელიც მიმართული იქნება დემოკრატიული პროცესების მდგრადობისკენ.

</td></tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| | აყალიბებს ჰიპოთეზებს, თუ როგორი იქნება სამყარო მაგალითად 2030 წელს, იმ შემთხვევაში, თუ ყველა სახელმწიფო და თითოეული მოქალაქე გააცნობიერებს მოსალოდნელ საფრთხეებს ნარჩენების მართვის და სეგროვების, მეორადი გადამუშავების მიმართულებით და იმ შემთხვევაშიც თუ ეს საფრთხეები სათანადოდ შეფასებული არ იქნება. | |
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | **აღწერილობა**<br>მოსწავლე ასახელებს სტრატეგიული გეგმის ყველა იმ მნიშვნელოვან პუნქტს, რომელიც საჭიროა ორ მეზობელ რეგიონს შორის სკოლების თანამშრომლობისთვის ისეთ მნიშვნელოვან პრობლემაზე, როგორიცაა ნარჩენების ეფექტური მართვა.<br>ასევე არგუმენტების საფუძველზე ასაბუთებს თუ:<br>• რატომ არის ნარჩენები XXI საუკუნის გამოწვევა?<br>• რატომ არის მნიშვნელოვანი ინდივიდმა გააცნობიეროს მოხალისეობრივ საწყისებზე საკუთარი აქტიურობა და მონაწილეობა პლანეტის გადასარჩენად? მდგრადი განვითარების პრინციპების დასაცავად?<br>ასახელებს მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით რატომ არის მნიშვნელოვანი ნარჩენების დახარისხება და გადამუშავება?<br>როგორ ვითანამშრომლოთ ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ სტრუქტურებთან.<br>თითქმის სრულად სცემს პასუხს მსჯელობით, ანალიზით, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ნარჩენების შემცირება და მათი მეორადი გადამუშავება?<br>მისი მსჯელობა სტრუქტურირებულია, ლოგიკური, მიზეზ-შედეგობრივი და ყოველი ასპექტი ურთიერთმიმართებული ერთმანეთზე.<br>თუმცა უჭირს შეფასება, არგუმენტების მოშველიებით განზოგადება, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მომავალში ამ პრობლემისადმი გულგრილ დამოკიდებულებას, უჭირს ჰიპოთეზების ფორმულირება, ალტერნატიული მომავლის დაგეგმვა. | **კომენტარი**<br>მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს განმავითარებელ კომენტარს ზუსტი და მკაფიო აღწერილობით, ის ძირითადად ეფუძნება შეფასების კრიტერიუმებს,მოსწავლის პასუხიდან გამომდინარე რეკომენდაციებს აძლევს დარჩენილ კრიტერიუმებზე, რომელიც მისი ყურადღების მიღმა დარჩა.<br>მაგ., შენ არაჩვეულებრივად გაართვი თავი დავალებას. შენ მიერ შექმნილ კრებულში გამოკვეთილია კრიტერიუმები:<br>• მდგრადი განვითარების მიზნებზე ორიენტირებული ლოკალური ქმედებები.<br>• რა არის მოხალისეობა?<br>• ვის შეუძლია გახდეს მოხალისე?<br>• რატომ არის მოხალისეობა მნიშვნელოვანი და ვისთვის?<br>• რატომ არის მოხალისეობა ეფექტური საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარების დროს, ეს პროცესი ძალადობრივი თუ ნებაყოფლობითია?<br>• თანამშრომლობა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ სტრუქტურებთან.<br>თუმცა, ნაკლებად ჩანს აქცენტი შემდეგ კრიტერიუმზე:<br>• ნარჩენების არაეფექტური მართვა და მოსალოდნელი საფრთხეები ლოკალურ და გლობალურ დონეზე. იქნებ გეცადა დაგესახელებინა, ამოგეცნო საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებიდან, მოსმენილიდან, წაკითხულიდან, რა შეიძლება მოჰყვეს მსოფლიოში და იქ, სადაც შენ ცხოვრობ ნარჩენების არაეფექტურ მართვას? |
| **მულტისტრუქტურული დონე** მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | **აღწერილობა**<br>მოსწავლე ასახელებს რამდენიმე პუნქტს გეგმიდან, ასევე ჩამოთვლის ნარჩენების არაეფექტური მართვის შედეგად მოსალოდნელ საფრთხეებს ლოკალურ დონეზე, ასახელებს რას ნიშნავს მოხალისეობა, | **კომენტარი**<br>მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს განმავითარებელ კომენტარს ზუსტი და მკაფიო აღწერილობით, ის ძირითადად ეფუძნება შეფასების კრიტერიუმებს, მოსწავლის პასუხიდან გამომდინარე რეკომენდაციებს აძლევს დარჩენილ კრიტერიუმებზე, რომელიც მისი ყურადღების მიღმა დარჩა. |

| | | |
|---|---|---|
| **მიმართებითი დონე**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | იხსენებს მდგრადი განვითარების მიზნებიდან რამდენიმე მიზანს, თუმცა მათ შორის კავშირს ვერ ამყარებს, ისინი ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში არ არის. იკვეთება უსისტემო მსჯელობა.<br>მოსწავლეს ვერ მოჰყავს არგუმენტები, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ნარჩენების შემცირება და მათი მეორადი გადამუშავება?<br>რა როლის აქვს ამ სფეროში სახელმწიფოს და საზოგადოებას? როგორია სახელმწიფო პოლიტიკა, არის თუ არა მდგრადი განვითარების პრინციპებისკენ მიმართული და როგორ?<br>გეგმაში არ ჩანს როგორ ითანამშრომლოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ სტრუქტურებთან.<br>ვერ აკეთებს დასკვნებს კონკრეტული არგუმენტებით, თუ რატომ არის ეს თანამშრომლობა ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანი. | მაგ.: შენ სწორად გაიგე დავალების პირობა. პარაგრაფში მოცემული მასალაც წაგიკითხავს და დავალებასთან დაგიკავშირებია, თუმცა, გთხოვ, დავალებაში ხაზგასმით გამოკვეთო არგუმენტები, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ნარჩენების შემცირება და მათი მეორადი გადამუშავება?<br>რა როლი აქვს ამ სფეროში სახელმწიფოს და საზოგადოებას? როგორია სახელმწიფო პოლიტიკა, არის თუ არა მდგრადი განვითარების პრინციპებისკენ მიმართული და როგორ? შეეცადე ამ ნიუანსებს შორის კავშირები იპოვო და ყოველი მოსაზრება წინა მოსაზრებისგან არგუმენტირებულად გამომდინარეობდეს. |
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | **აღწერილობა**<br>მოსწავლემ დავალების პირობა შექმნა სტრატეგიული გეგმის რამდენიმე ჩამონათვალი, თუმცა პროდუქტი არ აკმაყოფილებს გეგმის სრულ მოთხოვნებს. მოსწავლე ასახელებს მხოლოდ ერთ პუნქტს, რომელიც სჭირდება საზოგადოებას და სახელმწიფოს ნარჩენების ეფექტური მართვისათვის, თუმცა ამ პუნქტის ჩამოყალიბებისას მოსწავლეს არასტრუქტურირებული წარმოდგენა აქვს. | **კომენტარი**<br>მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს განმავითარებელ კომენტარს ზუსტი და მკაფიო აღწერილობით, ის ძირითადად ეფუძნება შეფასების კრიტერიუმებს. მოსწავლის პასუხიდან გამომდინარე რეკომენდაციებს აძლევს იმ კრიტერიუმებზე, რომელიც ვერ დაძლია.<br>მაგ.: კარგია, რომ სწორად გაიგე დავალების პირობა, თუმცა უკეთესი იქნებოდა გაკვეთილზე ამ საკითხების განხილვის დროს ჩაგენიშნა მნიშვნელოვანი დასკვნები თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ნარჩენების შემცირება და მათი მეორადი გადამუშავება? – ეს პროდუქტის შექმნაში დაგეხმარებოდა. გთხოვ, ყურადღებით წაიკითხო სასწავლო მასალა და ნაშრომში წარმოადგინო.<br>ასევე გთხოვ, ელ.რესურსი/ლინკი გახსნა და გაეცნო, თუ როგორ მზადდება სტრატეგიული გეგმა. |
| **პრესტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | **აღწერილობა**<br>მოსწავლემ ვერ გაიგო დავალების პირობა, არ აქვს შექმნილი **პროდუქტი – სტრატეგიული გეგმა**, ასევე მასწავლებლის დასმულ შეკითხვაზე, რომელიც კონკრეტულ საკითხს ეხება – თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ინდივიდმა გააცნობიეროს ნარჩენების გონივრული მართვა, – სამწუხაროდ არარელევანტურ პასუხს სცემს. | **კომენტარი**<br>მასწავლებელი კიდევ ერთხელ უხსნის რას მოიაზრებდა პროდუქტი და ასევე უთითებს რესურსებს და კონკრეტულ ნაბიჯებს, რომელიც დაეხმარება საკითხის არსის დაძლევაში.<br>მაგ.: გაიხსენე რა გსმენია გარემოს დაბინძურების შესახებ? ნარჩენების შესახებ? ამ მხრივ სახელმწიფოსა და საზოგადოების თანამშრომლობის შესახებ? |

| | | |
|---|---|---|
| | | მოიძიე დამატებითი ინფორმაცია ან დაფიქრდი, საიდან შეიძლება გაიგო უფრო მეტი.<br>გაიხსენე შემთხვევა, როდესაც შენმა ოჯახმა ან ნაცნობებმა ამ მიმართულებით კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად მიმართეს სახელმწიფოებრივ ინსტიტუციებს.<br>შეეცადე დავალება ამ ორი ფაქტორის გათვალისწინებით შეასრულო. |

**საგანი: მოქალაქეობა**
**სამიზნე ცნება – სამოქალაქო მონაწილეობა, ინიციატივა და მეწარმეობა;**
მოიკვლიე შენს მუნიციპალიტეტში გარემოსდაცვითი მიმართულებით მომუშავე ა/ო-თან ერთად ეკოლოგიური პრობლემა, რომელიც კავშირშია კლიმატის ცვლილებასთან, გლობალურ მიზნებთან.
შექმენი მისი მოგვარების მოთხოვნით პეტიცია და გაუგზავნე ადგილობრივ თვითმმართველობას. პეტიციის შესახებ ინფორმაციას შეგიძლია გაეცნო ვებ-გვერდზე: https://ichange.gov.ge
**პეტიციაში/პეტიციის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე:**
რომელი პრობლემის მოგვარებისკენ არის მიმართული პეტიცია (2)
- რა ზეგავლენას ახდენს ეკოლოგიური პრობლემა მოსახლეობაზე/ბუნებაზე; (3)
- მიზეზები, რატომ უნდა შეუერთდნენ თემში მცხოვრები ადამიანები პეტიციას; (3.4.)
- რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოების პოზიციის დაფიქსირებას პრობლემის გადაჭრისათვის; (1,2,4,5)
- როგორია ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრის შენეული ხედვა. (2)

**პრაქტიკული რეკომენდაციები:** პეტიციის შექმნამდე გაეცანი დამხმარე მასალას.
რა მეთოდებით ცდილობენ ქვეყნები მოქალაქეების წახალისებას გარემოს დასაცავად?
შენს მუნიციპალიტეტში გამოვლენილი პრობლემის შესწავლისთვის გაქვს უფლება გამოითხოვო საჯარო ინფორმაცია: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან https://mepa.gov.ge/Ge/SubscribePublicInfo
გახსოვდეს! 2013 წლიდან სამინისტროს სისტემაში შეიქმნა გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ცხელი ხაზი – 153.

| **სამიზნე ცნება კრიტერიუმი** | **სამიზნე ცნება – ინიციატივა და მეწარმეობა** |
|---|---|
| **აბსტრაქტული დონე** მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. განსახილველ საკითხს უკავშირებს საკუთარ პირად გამოცდილებას. | **აღწერილობა, კომენტარი**<br>მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ რამდენიმე/ყველა სამიზნე ცნებაზე. მოსწავლე ასახელებს ყველა იმ მნიშვნელოვან პუნქტს, რომლის გარეშეც პეტიცია ვერ განხორციელდებოდა, რომელიც საჭიროა ზუსტად ინიციატივებზე და მოხალისეობრივ საწყისებზე იქნას წამოწყებული.<br>იკვეთება ზუსტი სამოქმედო სტრატეგია საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთთანამშრომლობისთვის. ასევე არგუმენტების საფუძველზე ასაბუთებს, თუ რატომ არის ეს თაამშრომლობა მნიშვნელოვანი, სახავს გეგმას ამ თანამრომლობაზე, მსჯელობს მის მოსალოდნელ შედეგებზე და აქვე აანალიზებს რისკფაქტორებსაც.<br>მისი მსჯელობა სტრუქტურირებულია, ლოგიკური, მიზეზ-შედეგობრივი და ყოველი ასპექტი ურთიერთმიმართებული ერთმანეთზე. მკაფიოდ იკვეთება აქტიური მოქალაქის როლი და მნიშვნელობა დემოკრატიული პროცესების ეფექტიანობაში, სამართლებრივი სოციალიზაციის მიმართულებით და მდგრადი განვითარების პრინციპებს ეკოლოგიურ პრობლემას უკავშირებს. ყველაფერი ეს კი ხდება არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე.<br>მოსწავლის მსჯელობაში მოყვანილია ბევრი პრაქტიკული მაგალითი რეალური ცხოვრებიდან და მის მსჯელობაში იკვეთება ცალკეული ცნების მიმართულებით შინაარსობრივი საკვანძო დეტალები, რომ სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ეფექტური თანამშრომლობისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი სამართლებრივი დოკუმენტების ცოდნა, დაცვა და პრაქტიკაში გამოყენება.<br>ასევე დიდ ყურადღებას უთმობს ამ მიმართულებით მოხალისეობის მნიშვნელობას და ინიციატივებს, მათ მართვას, მონიტორინგს, შეფასებას.<br>მსჯელობს პასუხისმგებლობაზე, ინიციატივებზე, რომელიც მიმართული იქნება დემოკრატიული პროცესების მდგრადობისკენ.<br>აყალიბებს ჰიპოთეზებს, თუ როგორი იქნება სამყარო მაგალითად, 2030 წელს იმ შემთხვევაში, თუ ყველა მოქალაქე გააცნობიერებს და სახელმწიფოები მოსალოდნელ საფრთხეებს დროულად დაიიდენტიფიცირებენ. |

| **მიმართებითი დონე** | **აღწერილობა** | **კომენტარი** |
|---|---|---|
| მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე ქმნის პროდუქტს – პეტიციას ყველა იმ მნიშვნელოვანი პუნქტით, მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით, რომელიც საჭიროა ნებისმიერი ინიციატივისთვის, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივი საჭიროებებისთვის. პეტიციაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ეკოლოგიური პრობლემა, ასევე არგუმენტების საფუძველზე ასაბუთებს თუ:<br>• რატომ არის კონკრეტული ეკოლოგიური პრობლემის მოგვარება აქტუალური?<br>• მსჯელობს და აანალიზებს, რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ ინდივიდმა გააცნობიეროს მოხალისეობრივ საწყისებზე საკუთარი აქტიურობა და მონაწილეობა ეკოლოგიური პრობლემის გადასარჩენად?<br>• მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით ასახელებს როგორ ვითანამშრომლოთ ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ სტრუქტურებთან.<br>მისი მსჯელობა სტრუქტურირებულია, ლოგიკური, მიზეზ-შედეგობრივი და ყოველი ასპექტი ურთიერთმიმართებულია ერთმანეთზე. თუმცა უჭირს შეფასება, არგუმენტების მოშველიებით განზოგადება თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მომავალში ამ პრობლემისადმი გულგრილ დამოკიდებულებას, უჭირს ჰიპოთეზების ფორმულირება, ალტერნატიული მომავლის დაგეგმვა. | მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს განმავითარებელ კომენტარს ზუსტი და მკაფიო აღწერილობით, ის ძირითადად ეფუძნება შეფასების კრიტერიუმებს. მოსწავლის პასუხიდან გამომდინარე რეკომენდაციებს აძლევს დარჩენილ კრიტერიუმებზე, რომელიც მისი ყურადღების მიღმა დარჩა. მაგ., შენ არაჩვეულებრივად გაართვი თავი დავალებას. შენ მიერ შექმნილ კრებულში გამოკვეთილია კრიტერიუმები:<br>• რომელი პრობლემის მოგვარებისკენ არის მიმართული პეტიცია:<br>• რა ზეგავლენას ახდენს ეკოლოგიური პრობლემა მოსახლეობაზე/ბუნებაზე;<br>• მიზეზები, რატომ უნდა შეუერთდნენ თემში მცხოვრები ადამიანები პეტიციას;<br>• რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოების პოზიციის დაფიქსირებას პრობლემის გადაჭრისათვის;<br>• როგორია ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრის შენეული ხედვა.<br>• დაფიქრდი და ივარაუდე, გამოთქვი შენი მოსაზრება, რა შეიძლება მოჰყვეს მომავალში მოქალაქეების გულგრილ დამოკიდებულებას? როგორი შეიძლება იყოს ალტერნატიული მომავალი? |

| | | |
|---|---|---|
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | **აღწერილობა**<br>მოსწავლე ქმნის პეტიციას, თუმცა ასახელებს მხოლოდ რამდენიმე მახასიათებელს ეკოლოგიური პრობლემიდან, ასევე აღნიშნავს საკუთარ ინიციატივას, თუმცა აკლია დამაჯერებლობა და არგუმენტები, უჭირს ინიციატივის განხორციელებისას მოსალოდნელი საფრთხეების იდენტიფიცირება ლოკალურ დონეზე. ასახელებს, რას ნიშნავს მოხალისეობა, იხსენებს მდგრადი განვითარების მიზნებიდან რამდენიმე მიზანს, თუმცა მათ შორის კავშირებს ვერ ამყარებს, ისინი ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში არ არის. იკვეთება უსისტემო მსჯელობა.<br>მოსწავლეს ვერ მოჰყავს არგუმენტები, თუ თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემის გადასაჭრელად პეტიცია, რა როლი აქვს ამ სფეროში სახელმწიფოს და საზოგადოებას? როგორია სახელმწიფო პოლიტიკა, არის თუ არა მდგრადი განვითარების პრინციპებისკენ მიმართული და როგორ? რა როლი აქვს ამ ინიციატივის განხორციელებაში აქტიურ სამოქალაქო საზოგადოებას?<br>არ ჩანს კონკრეტულად როგორ ითანამშრომლოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ სტრუქტურებთან.<br>ვერ აკეთებს დასკვნებს კონკრეტული არგუმენტებით, თუ რატომ არის ეს თანამშრომლობა ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანი. | **კომენტარი**<br>მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს განმავითარებელ კომენტარს ზუსტი და მკაფიო აღწერილობით, ის ძირითადად ეფუძნება შეფასების კრიტერიუმებს. მოსწავლის პასუხიდან გამომდინარე რეკომენდაციებს აძლევს დარჩენილ კრიტერიუმებზე, რომელიც მისი ყურადღების მიღმა დარჩა.<br>მაგ.: შენ სწორად გაიგე დავალების პირობა. პარაგრაფში მოცემული მასალაც წაგიკითხავს და დავალებასთან დაგიკავშირებია, თუმცა, გთხოვ, დავალებაში ხაზგასმით გამოკვეთო არგუმენტები თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემის მოგვარება და ჩვენი ინიციატივების შემუშავება; ეს ყველაფერი კი პროდუქტის შექმნაში დაგეხმარებოდა.<br>ასევე გთხოვ, ელ.რესურსი/ლინკი გახსნა და გაეცნო, თუ როგორ იქმნება პეტიცია.<br>გამოკვეთე პეტიციაში საზოგადოებრივ საჭიროებაზე მიმართული შენი ინიციატივა, რომელიც ასევე საზოგადოებისთვის სასარგებლო იდეა იქნება და მზაობა შეიმუშავე რისკის გასაწევად საკუთარი იდეის განვითარებისთვის;<br>დაისახე მკაფიო მიზნები.<br>მოიფიქრე, რა რესურსები და რა დრო დაგჭირდება.<br>დაფიქრდი და აღნიშნე, რა მოჰყვება შენს ინიციატივას, ანუ მოსალოდნელი შედეგები.<br>გააანალიზე, არის თუ არა ეს შედეგები დაფუძნებული ზნეობრივ და საკანონმდებლო ნორმებზე. |

| | | |
|---|---|---|
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია / წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | **აღწერილობა**<br>მოსწავლემ დავალების პირობის მიხედვით შექმნა პეტიცია, თუმცა არასრული სახით, პროდუქტი არ აკმაყოფილებს პეტიციის სრულ მოთხოვნებს.<br>მოსწავლე ბუნდოვნად აყალიბებს ეკოლოგიური პრობლემის არსს, გამოკვეთს ერთ მახასიათებელს, არგუმენტს, პუნქტს, რომელიც სჭირდება საზოგადოებას და სახელმწიფოს ეკოლოგიური პრობლემის ეფექტური მართვისათვის, თუმცა ამ პუნქტის ჩამოყალიბებისას მოსწავლეს არასტრუქტურირებული წარმოდგენა აქვს. | **კომენტარი**<br>მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს განმავითარებელ კომენტარს ზუსტი და მკაფიო აღწერილობით, ის ძირითადად ეფუძნება შეფასების კრიტერიუმებს, მოსწავლის პასუხიდან გამომდინარე რეკომენდაციებს აძლევს იმ კრიტერიუმებზე, რომელიც ვერ დაძლია.<br>მაგ.: კარგია, რომ სწორად გაიგე დავალების პირობა, თუმცა უკეთესი იქნებოდა გაკვეთილზე ამ საკითხების განხილვის დროს ჩაგენიშნა მნიშვნელოვანი დასკვნები, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემის მოგვარება და ჩვენი ინიციატივების შემუშავება; ეს ყველაფერი კი პროდუქტის შექმნაში დაგეხმარებოდა. გთხოვ, ყურადღებით წაიკითხე სასწავლო მასალა და ნაშრომში წარმოადგინე. ასევე გთხოვ ელ.რესურსი/ლინკი გახსნა და გაეცნო, თუ როგორ იქმნება პეტიცია.<br>პეტიციაში გამოკვეთე საზოგადოებრივ საჭიროებაზე მიმართული შენი ინიციატივა, რომელიც ასევე საზოგადოებისთვის სასარგებლო იდეა იქნება და შეიმუშავე მზაობა რისკის გასაწევად, საკუთარი იდეის განვითარებისთვის;<br>დაისახე მკაფიო მიზნები: მოიფიქრე, რა რესურსები და რა დრო დაგჭირდება. დაფიქრდი და აღნიშნე, რა მოჰყვება შენს ინიციატივას, მოსალოდნელი შედეგები. გააანალიზე, არის თუ არა ეს შედეგები დაფუძნებული ზნეობრივ და საკანონმდებლო ნორმებზე. |

| | | |
|---|---|---|
| **პრესტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს საკითხ-თან დაკავშირებით არ აქვს რელევანტუ-რი ინფორმაცია. | **აღწერილობა**<br>მოსწავლემ ვერ გაიგო დავალების პირობა, არ აქვს შექმნილი **პროდუქტი – პეტიცია**, ასევე მასწავლებლის დასმულ შეკითხვაზე – თუ რა-ტომ არის მნიშვნელოვანი ინდივიდმა გააცნო-ბიეროს ეკოლოგიური პრობლემის არსი და მოსალოდნელი შედეგები – სამწუხაროდ არა-რელევანტურ პასუხს სცემს. | **კომენტარი**<br>მასწავლებელი კიდევ ერ-თხელ უხსნის, რას მოი-აზრებდა პროდუქტი და ასევე უთითებს რესურსებს და კონკრეტულ ნაბიჯებს, რომელიც დაეხმარება სა-კითხის არსის დაძლევაში.<br>მაგ.: გაიხსენე რა გსმენია გარემოს დაბინძურების შესახებ?რომელი პრობლემა გაწუხებს ამ მიმართულე-ბით შენს საცხოვრებელ გარემოში? რა ინიციატივას მიმართავ მის მოსაგვარებ-ლად და რატომ? შეიმუშავებ თუ არა გეგმას და რატომ? დაფიქრებულხარ თუ არა, მარტო შეძლებ ამ პრობლე-მის გადაჭრას?<br>მოიძიე დამატებითი ინფორ-მაცია ან დაფიქრდი, საიდან შეიძლება გაიგო უფრო მეტი.<br>გაიხსენე შემთხვევა, რო-დესაც შენმა ოჯახმა ან ნაცნობებმა მიმართეს რაღაც ინიციატივას და ამ მიმართულებით კონკრეტუ-ლი პრობლემის მოსაგვა-რებლად სახელმწიფოებრივ ინსტიტუციებს სთხოვეს დახმარება.<br>შეეცადე დავალება ამ ორი ფაქტორის გათვალის-წინებით შეასრულო. |

| სამიზნე ცნება<br>კრიტერიუმი | სამიზნე ცნება – სამოქალაქო მონაწილეობა |
|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. განსახილველ საკითხს უკავშირებს საკუთარ პირად გამოცდილებას. | **აღწერილობა, კომენტარი**<br>მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ რამდენიმე/ყველა სამიზნე ცნებაზე.<br>მოსწავლე ასახელებს ყველა იმ მნიშვნელოვან პუნქტს, რომლის გარეშეც პეტიცია ვერ განხორციელდებოდა, რომელიც საჭიროა ზუსტად ინიციატივებზე და მოხალისეობრივ საწყისებზე იქნას წამოწყებული.<br>იკვეთება ზუსტი სამოქმედო სტრატეგია საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთთანამშრომლობისთვის. ასევე არგუმენტების საფუძველზე ასაბუთებს თუ რატომ არის ეს თაამშრომლობა მნიშვნელოვანი, სახავს გეგმას ამ თანამრომლობაზე, მსჯელობს მის მოსალოდნელ შედეგებზე და აქვე აანალიზებს რისკ-ფაქტორებსაც.<br>მისი მსჯელობა სტრუქტურირებულია, ლოგიკური, მიზეზ-შედეგობრივი და ყოველი ასპექტი ურთიერთმიმართებული ერთმანეთზე. მოსწავლის მსჯელობაში მოყვანილია ბევრი პრაქტიკული მაგალითი რეალური ცხოვრებიდან და მის მსჯელობაში იკვეთება ცალკეული ცნების მიმართულებით შინაარსობრივი საკვანძო დეტალები, რომ სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ეფექტური თანამშრომლობისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი სამართლებრივი დოკუმენტების ცოდნა, დაცვა და პრაქტიკაში გამოყენება.<br>ასევე ამ მიმართულებით დიდ ყურადღებას უთმობს მოხალისეობის მნიშვნელობას და ინიციატივებს, მათ მართვას, მონიტორინგს, შეფასებას.<br>მსჯელობს პასუხისმგებლობაზე, ინიციატივებზე, რომელიც მიმართული იქნება დემოკრატიული პროცესების მდგრადობისკენ.<br>აყალიბებს ჰიპოთეზებს, თუ როგორი იქნება სამყარო მაგალითად 2030 წელს, იმ შემთხვევაში, თუ ყველა მოქალაქე გააცნობიერებს და სახელმწიფოები მოსალოდნელ საფრთხეებს დროულად დააიდენტიფიცირებენ. |

| მიმართებითი დონე | აღწერილობა | კომენტარი |
| --- | --- | --- |
| მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე ქმნის პროდუქტს – პეტიციას ყველა იმ მნიშვნელოვანი პუნქტით, მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით, რომელიც საჭიროა ნებისმიერი ინიციატივისთვის, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივი საჭიროებებისთვის. პეტიციაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ეკოლოგიური პრობლემა, ასევე არგუმენტების საფუძველზე ასაბუთებს თუ:<br>• რატომ არის კონკრეტული ეკოლოგიური პრობლემის მოგვარება აქტუალური? მსჯელობს და აანალიზებს, რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ ინდივიდმა გააცნობიეროს მოხალისეობრივ საწყისებზე საკუთარი აქტიურობა და მონაწილეობა ეკოლოგიური პრობლემის გადასარჩენად?<br>• მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით ასახელებს, როგორ ვითანამშრომლოთ ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ სტრუქტურებთან.<br>• მისი მსჯელობა სტრუქტურირებულია, ლოგიკური, მიზეზ-შედეგობრივი და ყოველი ასპექტი ურთიერთმიმართებულია ერთმანეთზე.<br>• თუმცა უჭირს შეფასება, განზოგადება არგუმენტების მოშველიებით, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მომავალში ამ პრობლემისადმი გულგრილ დამოკიდებულებას, უჭირს ჰიპოთეზების ფორმულირება, ალტერნატიული მომავლის დაგეგმვა. | მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს განმავითარებელ კომენტარს ზუსტი და მკაფიო აღწერილობით, ის ძირითადად ეფუძნება შეფასების კრიტერიუმებს. მოსწავლის პასუხიდან გამომდინარე რეკომენდაციებს აძლევს დარჩენილ კრიტერიუმებზე, რომელიც მისი ყურადღების მიღმა დარჩა.<br>მაგ.: შენ არაჩვეულებრივად გაართვი თავი დავალებას. შენ მიერ შექმნილ კრებულში გამოკვეთილია კრიტერიუმები: იქნებ გეცადა დაგესახელებინა, ამოგეცნო საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებიდან, მოსმენილიდან, წაკითხულიდან:<br>• რა საზოგადოებრივი სარგებელი შეიძლება მოჰყვეს, როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ დონეზე ეკოლოგიური პრობლემის წარმატებით მოგვარებას;<br>• ასევე გლობალური საფრთხე კლიმატის ცვლილებასთან კავშირში, რომელიც შეიძლება მოსდევდეს მოქალაქეების კონკრეტულ ქმედებებს. |

| | | |
|---|---|---|
| **მულტისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | **აღწერილობა**<br>მოსწავლე ქმნის პეტიციას, თუმცა ასახელებს მხოლოდ რამდენიმე მახასიათებელს ეკოლოგიური პრობლემიდან, ასევე აღნიშნავს აქტიური მოქალაქის მაგალითებს, თუმცა აკლია დამაჯერებლობა და არგუმენტები, უჭირს ინიციატივის განხორციელებისას მოსალოდნელი საფრთხეების იდენტიფიცირება ლოკალურ დონეზე. ასახელებს, რას ნიშნავს აქტიური მოქალაქეობა, თუმცა მათ შორის კავშირებს ვერ ამყარებს, ისინი ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში არ არის. იკვეთება უსისტემო მსჯელობა.<br>მოსწავლეს ვერ მოჰყავს არგუმენტები, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემის გადასაჭრელად პეტიცია, რა როლი აქვს ამ სფეროში სახელმწიფოს და საზოგადოებას? რა როლი აქვს ამ ინიციატივის განხორციელებაში აქტიურ სამოქალაქო საზოგადოებას?<br>არ ჩანს კონკრეტულად როგორ ითანამშრომლოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ სტრუქტურებთან.<br>ვერ აკეთებს დასკვნებს კონკრეტული არგუმენტებით, თუ რატომ არის ეს თანამშრომლობა ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანი. | **კომენტარი**<br>მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს განმავითარებელ კომენტარს ზუსტი და მკაფიო აღწერილობით, ის ძირითადად ეფუძნება შეფასების კრიტერიუმებს, მოსწავლის პასუხიდან გამომდინარე რეკომენდაციებს აძლევს დარჩენილ კრიტერიუმებზე, რომელიც მისი ყურადღების მიღმა დარჩა.<br>მაგ.: შენ სწორად გაიგე დავალების პირობა. პარაგრაფში მოცემული მასალაც წაგიკითხავს და დავალებასთან დაგიკავშირებია, თუმცა, გთხოვ, დავალებაში ხაზგასმით გამოკვეთო არგუმენტები, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემის მოგვარება და ჩვენი მხრიდან მონაწილეობის კონკრეტული ფორმის შერჩევა? ასევე გთხოვ ელ.რესურსი/ლინკი გახსნა და გაეცნო, თუ როგორ იქმნება პეტიცია.<br>გამოკვეთე პეტიციაში საზოგადოებრივ საჭიროებაზე მიმართული შენი მონაწილეობა, რომელიც ასევე საზოგადოებისთვის სასარგებლო იდეა იქნება და სხვა ადამიანების ინტერესებს, მორგებულიც.<br>დაფიქრდი, იქნება თუ არა შენი ინიციატივა აქტიური მოქალაქის განმსაზღვრელი?<br>მონაწილეობის რა ფორმას აირჩევდი და რატომ?<br>შეიმუშავებ თუ არა გეგმას და რატომ? დაფიქრებულხარ თუ არა, მარტო შეძლებ ამ პრობლემის გადაჭრას?<br>დაფიქრდი, ვინ გახსენდება მსგავსი მაგალითებით შენ გარშემო? |

| | | |
|---|---|---|
| **უნისტრუქტურული დონე**<br>მოსწავლეს აქვს მხო-<br>ლოდ ერთი არასტრუ-<br>ქტურირებული ასო-<br>ციაცია/წარმოდგენა<br>განსახილველ საკითხთან<br>დაკავშირებით. | **აღწერილობა**<br>მოსწავლემ დავალების პირობა შექმნა, თუმცა არასრული სახით. პროდუქტი არ აკმაყოფილებს პეტიციის სრულ მოთხოვნებს.<br>მოსწავლე ბუნდოვნად აყალიბებს ეკოლოგიური პრობლემის არსს, გამოკვეთს ერთ მახასიათებელს, რომელიც სჭირდება საზოგადოებას და სახელმწიფოს ეკოლოგიური პრობლემის ეფექტური მართვისათვის, თუმცა ამ პუნქტის ჩამოყალიბებისას მოსწავლეს არასტრუქტურირებული წარმოდგენა აქვს.<br>უჭირს დაასახელოს აქტიური მოქალაქისთვის დამახასიათებელი ნიუანსები. | **კომენტარი**<br>მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს განმავითარებელ კომენტარს ზუსტი და მკაფიო აღწერილობით, ის ძირითადად ეფუძნება შეფასების კრიტერიუმებს, მოსწავლის პასუხიდან გამომდინარე რეკომენდაციებს აძლევს იმ კრიტერიუმებზე, რომელიც ვერ დაძლია.<br>მაგ., კარგია, რომ სწორად გაიგე დავალების პირობა, თუმცა უკეთესი იქნებოდა გაკვეთილზე ამ საკითხების განხილვის დროს ჩაგენიშნა მნიშვნელოვანი დასკვნები, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემის მოგვარება და ჩვენი ინიციატივების შემუშავება; ეს ყველაფერი კი პროდუქტის შექმნაში დაგეხმარებოდა.<br>გთხოვ, ყურადღებით წაიკითხე სასწავლო მასალა და ნაშრომში წარმოადგინე. ასევე გთხოვ, ელ.რესურსი/ ლინკი გახსნა და გაეცნო, თუ როგორ იქმნება პეტიცია.<br>გამოკვეთე პეტიციაში საზოგადოებრივ საჭიროებაზე მიმართული შენი ინიციატივა, რომელიც ასევე იქნება საზოგადოებისთვის სასარგებლო იდეა და ქმედება.<br>დაფიქრდი, იქნება თუ არა შენი ინიციატივა აქტიური მოქალაქის განმსაზღვრელი?<br>მონაწილეობის რა ფორმას აირჩევდი და რატომ?<br>შენს ქმედებაში იქნება თუ არა სხვა ადამიანების ინტერესები გათვლილი?<br>შეიმუშავებ თუ არა გეგმას და რატომ? დაფიქრებულხარ თუ არა, მარტო შეძლებ ამ პრობლემის გადაჭრას?<br>დაფიქრდი, ვინ გახსენდება მსგავსი მაგალითებით შენ გარშემო? |

| პრესტრუქტურული დონე<br>მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია. | **აღწერილობა**<br>მოსწავლემ ვერ გაიგო დავალების პირობა, არ აქვს შექმნილი **პროდუქტი-პეტიცია**, ასევე მასწავლებლის დასმულ კონკრეტულ შეკითხვაზე – თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ინდივიდმა გააცნობიეროს ეკოლოგიური პრობლემის არსი და მოსალოდნელი შედეგები – სამწუხაროდ არარელევანტურ პასუხს სცემს.<br>დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება;<br>• სამოქალაქო მონაწილეობა საზოგადოებრივ საჭიროებებზე/ქვეყანაზე ზრუნვის საშუალებაა;<br>• აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან;<br>• სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება;<br>• სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს. | **კომენტარი**<br>მასწავლებელი კიდევ ერთხელ უხსნის რას მოიაზრებდა პროდუქტი და ასევე უთითებს რესურსებს და კონკრეტულ ნაბიჯებს, რომელიც დაეხმარება საკითხის არსის დაძლევაში.<br>მაგ.: გაიხსენე, რა გსმენია გარემოს დაბინძურების შესახებ? რომელი პრობლემა გაწუხებს ამ მიმართულებით შენს საცხოვრებელ გარემოში?რა ინიციატივას მიმართავ მის მოსაგვარებლად და რატომ? იქნება თუ არა შენი ინიციატივა საზოგადოებრივ საჭიროებებზე ზრუნვა?<br>იქნება თუ არა შენი ინიციატივა აქტიური მოქალაქის განმსაზღვრელი?<br>მონაწილეობის რა ფორმას აირჩევდი და რატომ?<br>შენს ქმედებაში იქნება თუ არა სხვა ადამიანების ინტერესები გათვლილი?<br>შეიმუშავებ თუ არა გეგმას და რატომ? დაფიქრებულხარ თუ არა, მარტო შეძლებ ამ პრობლემის გადაჭრას?<br>მოიძიე დამატებითი ინფორმაცია ან დაფიქრდი, საიდან შეიძლება გაიგო უფრო მეტი.<br>გაიხსენე შემთხვევა, როდესაც შენმა ოჯახმა ან ნაცნობებმა გამოიყენეს მონაწილეობის რაღაც ფორმა და ამ მიმართულებით კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად მიმართეს სახელმწიფოებრივ ინსტიტუციებს.<br>შეეცადე დავალება ამ ორი ფაქტორის გათვალისწინებით შეასრულო. |
|---|---|---|

# გამოყენებული ლიტერატურა და რესურსები

- _უხილავნი ჩვენს შორის_
- "დედა წითელი კაბით გაიქცა ომში, აგვისტოს ომ...
- 10 კონფლიქტი, რომელიც 2019 წელსაც გაჰყ...
- efta
- ადამიანის უფლებათა დაცვა_ გერმანული...
- აქტივობა2.1
- აქტივობა2.2
- ბორდერიზაცია
- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მ...
- ზოგადი ინფორმაცია მემკვიდრეობის შესახებ
- თანამშრ.რეგი ონ.დონეზე
- ლარის დამცავი ნიშნები
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
- მომხმარებლის უფლებები-მაცნე
- მშპ და ეკონომიკური ზრდა
- ნატო
- საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლი...
- საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელ...
- სამომხმარებლო კალათა
- საქართველოს ეროვნული ბანკი
- საქართველოს ეროვნული ბანკი1
- საქართველოს ექსპორტის პრობლემები და ექსპორტი...
- საქართველოს კანონი საერთაშორისო დაცვის შეს...
- საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შეს...
- საქართველოს კანონი სურსათის უვნებლობის...
- საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასა...
- საქართველოს რესპუბლიკის კანონი საკუთრების ...
- საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2019 წელს (1)
- საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2019 წელს
- საქართველოს სამხედრო ისტორია
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
- გაერო
- გაყალბებული ბანკნოტები
- გენმოდიფიცირებული პროდუქცია ქართულ ბა...
- დოკუმენტური ფილმი-სამშვიდობო მისიები
- ევროკავშირი
- ევროპარლამენტის და საბჭოს 2003 წლის 22 სექტემბრის ...
- ეკონომიკური პოლიტიკა 2.1
- რა არის გენეტიკურად მოდიფიცირებული საკვები_
- რადიო თავისუფლება-ტრეფიკინგი
- როდიდან არიან ქართველები საბანკო პრო...
- საარსებო მინიმუმი
- საგადასახადო კოდექსი
- საერთაშორისო მისიები
- საერთაშორისო უსაფრთხოება
- საქართველოს კანონი მომხმარებელთა უფლებებ...
- საქართველოს კანონი სურსათისა და თამბაქოს შე...
- საქართველოს კანონი ბავშვთა ბუნებრივი კვ...
- საქართველოს კანონი პროდუქციის და მომსახურ...
- საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ
- საქართველოს კანონი საბიუჯეტო სისტემისა დ...
- საქართველოს კანონი საშიში ქიმიური ნივთიერებებ...
- საქსტატი-საარსებო მინიმუმი
- ტექნიკური რეგლამენტის - გენეტიკურა...
- ფინანსური უსაფრთხოება
- ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმ...
- შინაგან საქმეთა სამინისტრო-ტრეფიკინგი
- ჩემი ფინანსური მეგზური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბახვის<br>მანიფესტი | გენდერული<br>თანასწორობა | ელექტრონულ<br>ი პეტიციების<br>წარსადგენად<br>ელექტრონუ... | ილია<br>ჭავჭავაძის<br>რჩეული<br>წერილები | ინფორმაციის<br>თავისუფლები<br>ს<br>განვითარები... | პრესის<br>თავისუფლება | საია |
| საქართველოს<br>კონსტიტუცია<br>(1) | საქართველოს<br>კონსტიტუცია | საქართველოს<br>კონსტიტუციის<br>განვითარების<br>ეტაპები და ა... | საქართველოს<br>ორგანული<br>კანონი | საქართველოს<br>რეიტინგი 2020<br>წლის პრესის<br>თავისუფლე... | საჯარო<br>სამსახურის<br>კარიერულ<br>განვითარება... | სიტუაციის<br>ანალიზის<br>მეთოდი და<br>მისი უპირატ... |
| სოციალური<br>მოძრაობა<br>საქართველოშ<br>ი_ 1905 წლის... | უსაფრთხოები<br>ს სექტორი | ღია<br>კონაცემების<br>სისტემა | ცისინათელები<br>ს ქვეყანა | წარადგინე<br>შენი იდეა | ჭკვიანი<br>თხილი | ელექტრონული<br>მმართველობა<br>საქართველოში:<br>მსოფლიო ტენ-<br>დენციებია |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| WWF | გაემოს დაც.<br>სამინისტ. | გარემოს<br>დამცველი<br>ორგანიზ. | გლობალური<br>დათბობა | გლობალური<br>მიზნები | გლობალური<br>პრობლემები |
| გრინპისი | ენერგოეფექტუ<br>რობა (1) | ენერგოეფექტუ<br>რობა | ვანდალიზმი | ვანდალიზმი2 | იუნესკო |
| კლიმატის<br>ცვლილებაა | კულტ და<br>ბუნებ მემკ | კულტ მემკ | მდგრადი<br>განვითარების<br>17 მიზანი | მწვანე<br>ეკონომიკა | მწვანეები |
| ნარჩენების<br>გადმუშავება | ნარჩენების<br>მართვა-აქტივ<br>ობა | ნარჩენების<br>მართვის<br>კოდექსი | უტილიზაცია | ფილმი<br>ისტორიული<br>ვანდალიზმი | ფილმი<br>მდგრადი<br>განვითარების<br>17 მიზანი |